# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 15 (2794) გამოცემის მე-60 წელი, 1991 12 აპრილი ფასი 40 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მის უწმინდესობას რომის პაპს
**იოანე პავლე მეორეს**

თქვენო უწმინდესობავ!

მოგმართავთ თქვენ, რადგან საბჭოთა კავშირში, რომელსაც სათავეში უდგას „გამოჩენილი" კომუნისტი მიხეილ გორბაჩოვი, სამართალი ვერ ვიპოვეთ. ბოლოს და ბოლოს დაპყრობილმა ქართველმა ერმა, დავიწყეთ რა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნებით ავირჩიეთ რა პირველი კანონიერი მთავრობა, კრემლმა და მისმა ლიდერმა უმალვე დაუნდობელი ბრძოლა გამოგვიცხადეს. მიმართეს არაერთხელ შემოწმებულ და ნაცად ხერხს, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ ბლოკადებს და, რაც მთავარია, ეთნოკრიზისებს. ამუშავდა პროპაგანდის ბოროტი მანქანა. მთელი ცენტრალური პრესა, რადიო და ტელევიზია გადავიდა ფაქტების არა მხოლოდ დამახინჯებაზე და უკუღმართად წარმოჩენაზე, არამედ ცილისწამებასა და დემაგოგიაზე. ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ბუნების ქართველ ხალხს, რომლებმაც იძმო და თავისი მიწა-წყალი გაუნაწილა ასზე მეტი ეროვნების შვილებს.

სამწუხაროდ, ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. თითქმის არ გაგვაჩნია ემიგრაცია და ვერაფერი დავუპირისპირეთ მათ ტოტალურ დეზინფორმაციას.

აგვიმხედრეს რა საქართველოში მცხოვრები ოსები, მთელს საბჭოეთსა და მსოფლიოში საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს ქართველები ხოცავენ, ჩაგრავენ. ავიწროებენ და დევნიან ოსებს.

31 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი. ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება, გამოვიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

რეფერენდუმს ახალი ძალით მოჰყვა პროვოკაციები მოსკოვის მხრიდან და მაშინ, როცა ქართველებისა და ოსების კონფლიქტი თითქმის მოგვარებული იყო, საბჭოეთში ჯერ დემაგოგიური ინფორმაციებით „მოამწიფეს" ნიადაგი და შემდეგ კი ჯარის საგანგებო ნაწილები შემოიყვანეს.

შემზარავი ფაქტები ფაქტებს ემატებოდა, მაგრამ რაც ამ დღეებში მოხდა, ალბათ სახელს ვერ მოუნახავს ცივილიზირებული სამყარო. 11 აპრილს, დილის ხუთ საათზე, სოფელ დვანში შეიჭრა საგანგებო დამსჯელი ჯარის 12 ჯავშანტრანსპორტიორი და დაწვეს ორი — წმინდა გიორგისა და სამების ეკლესია. იქ ჩადენილ სხვა ბოროტებებზე აღარაფერს მოგახსენებთ. და ეს მოხდა მას შემდეგ. როცა 9 აპრილს ქართველმა ხალხმა და მისმა დემოკრატიულად არჩეულმა პირველმა კანონიერმა პარლამენტმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ჩვენ თხოვნით მივმართეთ აგრეთვე ერთმორწმუნე რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქს და ვაუწყეთ ის ბარბაროსული ქმედება, საბჭოეთის საგანგებო დამსჯელმა რაზმებმა რომ ჩაიდინეს.

თქვენო უწმინდესობავ!

დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ, ქრისტიანული სამყაროს ყველაზე უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი სათანადოდ შეაფასებთ ამ გაუგონარ დანაშაულს ხალხისა და ღმერთის წინაშე. გვჯერა, მხარში ამოუდგებით მცირერიცხოვან ქართველ ხალხს და მის თავისუფლებას შეავედრებთ მაღალ ღმერთს.

გვფარვიდეს მაღალი ღმერთი!

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის
კათოლიკოს-პატრიარქს
**ალექსი მეორეს**

თქვენო უწმინდესობავ!

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ აშკარად და შეუნილბავად დაამტკიცა და დაასაბუთა ის, რის დამტკიცებას და დასაბუთებასაც ჩვენ ამაოდ ვცდილობდით საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო მასშტაბით. ამაოდ, რადგან ჩვენი პროტესტი და სამართლიანი არგუმენტაცია მხოლოდ საქართველოს რადიო-ტელევიზიით გადაიცემოდა. და მხოლოდ ქართულ პრესაში იბეჭდებოდა. ეს მაშინ, როცა საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია სიძულვილით და დემაგოგიური, ცილისმწამებლური გადაცემებით ცდილობდნენ ქართველი ერისათვის სახელი გაეტეხათ, ერისათვის, რომლის მიწაზე ასამდე ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ მშვიდად და მეგობრულად.

როგორც კი საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, როგორც კი დაპყრობილმა ქართველმა ერმა გადაწყვიტა დამოუკიდებლობის მოპოვება, ცენტრმა, პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა, უმალვე მიმართა ნაცად ხერხს — ეთნოკრიზისების გამწვავებას.

და აი, სულ ბოლო პერიოდში, როცა ლამის მთლიანად იყო მოგვარებული ქართველებისა და ოსების კონფლიქტის საკითხი, 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის საპასუხოდ ჯერ პრესა და ეთერი მოწამლეს ცილისმწამებლური ინფორმაციებით, თუ როგორ ხოცავენ ქართველები ოსებს, როგორ უწყობენ მათ ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ბლოკადებს, შემდეგ კი რეგიონში შეიყვანეს ჯარი. გათავხედებულმა ომონელებმა ჯერ რესპუბლიკის მილიციას ჩამოართვეს იარაღი და გამოყარეს შიდა ქართლიდან, შემდეგ კი დაიწყეს ქართული მოსახლეობის დაწიოკება.

ჯერ ქართველ ხალხს ისიც კი არ ჰქონდა გამოგლოვილი, ოთხი ქართველი ვაჟკაცი ცოცხლად როგორ დაწვეს ოსებმა, რომ 11 აპრილის დილის ხუთ საათზე, ჩვენმა „სახელოვანმა" არმიელებმა, ავღანეთის, ბაქოს, თბილისის, ბალტიისპირეთის, ომასა და სხვა ბატალიების „გმირებმა", ქარელის რაიონის სოფელ დვანში „ისახელეს" თავი. 12 ჯავშანტრანსპორტიორით შეიჭრნენ რა მძინარე სოფელში, დაწვეს სოფლის ორი („წმინდა გიორგისა" და „სამების") ეკლესია და სოფლის კანტორა.

თქვენო უწმინდესობავ, ერთმორწმუნე ქართველი ერი, რომელიც ქრისტიანობას მეოთხე საუკუნის დასაწყისში ეზიარა, მოგმართავთ თხოვნით თქვენ — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, შეფასება მისცეთ ამ გაუგონარ, ბარბაროსულ აქციას!

ვინაიდან დაპყრობილი ქართველი ერის კანონიერ სურვილს, მოიპოვოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ასე ხმალამოღებული, ზიზღითა და ბოღმით ავსებული ხვდება კრემლი და მისი დღევანდელი „ბელადი", იქნებ თქვენ მაინც, ქრისტიანული სამყაროს და ქრისტეს სჯულის უდიდესმა წარმომადგენელმა და მქადაგებელმა, ღმერთისა და სამყაროს წინაშე სწორად განსაჯოთ საქმის ჭეშმარიტი არსი და მიიღოთ ის ზომები, რასაც საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ჯარის გამიზნული მკრეხელური საქციელი იმსახურებს.

გვფარვიდეს მაღალი ღმერთი!

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**

# გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა



9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა. მის დაწყებამდე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს შვილების ხსოვნას, რომლებიც ემსხვერპლნენ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა მისი დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ამ საკითხის გამო მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ისტორიული ექსკურსის შემდეგ მან დაწვრილებით გააანალიზა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ყველა პერიპეტია, რომელიც დაიწყო მაშინვე, როგორც კი რუსეთის იმპერიამ გასული საუკუნის დამდეგს მოახდინა საქართველოს ანექსია და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. მის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ნინო ჯავახიშვილი, ალიკო მელაძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დეპუტატები გრიგოლ მარგიანი, მზექალა შანიძე, რუსლან ლონლაძე, ლევან ალექსიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი და თავისი ნება დაადასტურა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით. დარბაზში საზეიმოდ აგუგუნდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება".

ეს ღირსშესანიშნავი დღე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელით დამსწრეთ მიულოცა უზენაესი საბჭოს წევრმა, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა მამა არჩილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება დაემთხვა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას, რომლის პატივსაცემად დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლოცვას აღავლენს მცხეთაში. ეს უაღრესად სიმბოლურია, რადგან ივერიის ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს და სწორედ მან აჩუქა მას დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება.

სესიაზე მიიღეს მიმართვები მსოფლიოს ხალხებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, რომელთა ტექსტი წაიკითხა დეპუტატმა თედო პაატაშვილმა.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სახელით რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიესალმა მწერალი გურამ ბათიაშვილი. მან წაიკითხა ქართველ ებრაელთა მიმართვა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ყველა ებრაელისადმი და მოწოდება, მსოფლიო საზოგადოებრიობას გააგებინონ სიმართლე საქართველოზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მისი ხალხის ბრძოლაზე.

გულთბილად მიესალმა შეკრებილთ ინგუში ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისა კოძოევი და გულითადად მიულოცა ქართველ ხალხს ეს ღირსშესანიშნავი დღე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგუში ხალხი გულწრფელად სოლიდარობს ქართველ ძმებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მან მოუწოდა კავკასიის ყველა ქრისტიან და მუსლიმან ხალხებს მხარი დაუჭირონ თავისუფალ საქართველოს.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის წინადადებით სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმი

### საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, **ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე.
1991 წლის 9 აპრილი. 12 საათი და 30 წუთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი პრესკონფერენცია ახალ საქართველოში



საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ **ზვიად გამსახურდიასთან.**

საუბარი ძირითადად წარიმართა ეროვნული პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების თაობაზე, ამ მოვლენის შედეგებზე.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ ჩანს ოფიციალური რეაქცია მოსკოვის მხრიდან, მაგრამ საინფორმაციო საშუალებებით უკვე გადაიცემა სხვადასხვა დეზინფორმაცია. (მაგალითად, აჭარის ავტონომიის გაუქმების თაობაზე).

სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების შესახებ ითქვა, რომ სოფელ ოქონაში საბჭოთა ჯარი თავს დაესხა ქართულ მილიციას და დააპატიმრა 21 კაცი. თამარაშენში მილიციას იარაღი აჰყარეს, ერედვში თავს დაესხნენ მოსახლეობას. საბჭოთა ჯარი მოქმედებს როგორც ნამდვილი აგრესორი. ყოველივე ამის გამო საბჭოთა მთავრობას წარედგინა ოფიციალური ნოტა. საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პუგოს დეპეშა, რომ რესპუბლიკას არა აქვს უფლება ეროვნული გვარდიის შექმნისა, რომ ამგვარი ქმედება პრეზიდენტის ბრძანებულების დარღვევაა. ცენტრის უხეშ ჩარევას ჩვენს საშინაო პოლიტიკაში უნდა დავუპირისპიროთ მძლავრი საპროტესტო მოძრაობა. უკვე დაწყებულია გაფიცვა რკინიგზის ხაზზე, პორტებში, მოსალოდნელია აეროპორტის გაფიცვაც, დღეს ჩვენ ფაქტიურად ომის პირობებში ვიმყოფებით და ომში ხალხმა ყველაფერს უნდა გაუძლოს. ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზეც, რომ დასავლეთის მხრიდან მოსალოდნელია ჩვენთვის რეალური ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა, სოლიდური კრედიტების გაცემა.

უპასუხა რა ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვას, საქართველოში საბჭოთა ჯარის სტატუსის შესახებ, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ ეს მოხდება უზენაესი საბჭოს უახლოეს სესიაზე.

საქინფორმის კორესპონდენტის მამუკა ცინცაძის კითხვა შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ საბჭოთა მთავრობამ საქართველოსთან პრობლემები გადაჭრას მხოლოდ დემოკრატიული გზით. „ჩვენთვის ეს დამაიმედებელი ფაქტია. ბატონ ჯორჯ ბუშს გავუგზავნეთ დეპეშა, რომ საქართველოში მზადდება სამხედრო ინტერვენცია და შეიარაღებული ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში. ერთადერთი, მხოლოდ დასავლეთის რეაქცია დაგვიცავს ჩვენ“ — ითქვა პრესკონფერენციაზე.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დაინტერესდა, თუ როდის, რა გზით გახდება შესაძლებელი საქართველოს სრული განთავისუფლება საბჭოთა იმპერიისაგან. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მზად იქნება ცენტრი საქართველოსთან მოლაპარაკებისათვის, რამდენად აიღებს ხელს მისთვის დამახასიათებელი დიქტატის, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკაზე, დამოკიდებულია აგრეთვე დასავლეთის ქვეყნებზე, მათ პოზიციაზე. თავისუფალი სამყაროს მხარდაჭერის შემთხვევაში გვექნება გარანტია იმის, რომ უახლოეს ხანში მივაღწევთ სრულ დამოუკიდებლობას და საოკუპაციო ჯარების გაყვანას. საქართველოს ახალ კონსტიტუციას საფუძვლად დაედება დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არსებობდა 1918-1921 წლებში.

ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების ფაქტი. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ საქართველოში ჩატარდება პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნები. ამ პოსტის დაწესება ხელს შეუწყობს მეტროპოლიისაგან საქართველოს დამცავი მექანიზმების ამოქმედებას, ყველა თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი. სახელმწიფო[illegible] ცილებელია.

# დღე — სასწაული



9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დღეს, მთავრობის სასახლის წინ ჩატარდა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ **თემურ ქორიძემ.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** თანამემამულეებს მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მან თქვა: დე, იყოს ეს დღე დასაწყისი ქართველი ერის კონსოლიდაციისა, ერთ მუშტად შეკვრისა შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ. დღევანდელი დღე ცრემლნარევი სიხარულის დღეა, მართალია, ჩვენ ჯერ ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე, 9 აპრილს დაღუპულთა გლოვა, სამაჩაბლოში წამებულთა გლოვა დღესაც გრძელდება; უფალმა მოგვივლინა ეს დღე, ვითარცა დღე ცრემლნარევი სიხარულისა. ასეთი იყო საქართველოს ისტორია — ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ; საქართველოს გზა ეკლიანი გზაა ქრისტესი, გზა ჯვარცმისა, დაფლვისა და გარდაუვალი აღდგომისა. ამ დღეს დიდი დაფიქრება, გვმართებს, დიდი ურთიერთსიყვარული, დიდი პატიება, ურთიერთმიტევება... დღეიდან საქართველო მიმართავს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს, რათა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოს თავისუფალ ერთა თანამეგობრობაში. დღევანდელი დღე მოიტანა 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა, შემთხვევითი როდია, რომ დღევანდელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: ქალბატონი **ოლღა დემურია-კოსტავასი;** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **თენგიზ სიგუა;** საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **აკაკი ასათიანი;** საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **მანანა ძოძუაშვილი;** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე;** ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი **იხა კოძოევი;** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **ხანდრო ბრეგაძე.**

ეს დღე დაუვიწყარი იქნება ყოველი ქართველისათვის, გვიან ღამემდე გასტანა სადღესასწაულო განწყობილებამ თბილისის ქუჩებში, თავისუფალი სულის ზეიმი იყო სრულიად საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიდრე ქართველი ერი იარსებებს



1989 წლის 9 აპრილის როლსა და მნიშვნელობაზე ქართველი ერის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასა და ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაში გვესაუბრება 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ შავგულიძე.**



9 აპრილი, როგორც მოვლენა, შეიძლება განვიხილოთ ორი თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ის ტრაგედია იყო, რადგან უდანაშაულოთა სისხლი დაიღვარა, ათასობით ადამიანი მოიწამლა და რაც მთავარია, ქართველ ერს განუვითარდა კატასტროფაზე რეაქციის სინდრომი, რაც ფსიქიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით უფრო მძიმე შედეგს იძლევა, ვიდრე ფიზიკური დასახიჩრება. ეს ტრაგედია იმდენად დიდი იყო, რომ მან არ შეიძლება აქტუალობა დაკარგოს, ამ ტრაგედიით გამოწვეული ტკივილი შეუძლებელია ოდესმე განელდეს. მაგრამ ამ მოვლენას აქვს მეორე მხარეც — 9 აპრილის დღეებში მოხდა ეროვნული სულის აღზევება, აფეთქება, ხმამაღლა გაცხადდა ქართველი ერის სურვილი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვდა, ეს მოვლენა არ არის ლოკალური — არც სივრცისა და არც დროის თვალსაზრისით. 9 აპრილმა სწრაფად გადალახა საქართველოს საზღვრები, იგი გავრცელდა საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე, მან საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. იგი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც სწორედ აქ გამოვლინდა ყველაზე ძალუმად საბჭოთა სისტემის კრახის გარდაუვალობა. ამ მოვლენამ ცხადყო, რომ ხალხს აღარ შეუძლია აიტანოს ძველებური მართვა, ხოლო მმართველ პარტიას და მმართველ წრეებს — არ შეუძლიათ მართონ ძველებურად. ამიტომ, ყველა დანარჩენი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში და, მე ვიტყოდი, საქართველოს ფარგლებს გარეთაც ამ მოვლენის ფონზე მიმდინარეობს. ყველაფერი ის, რაც შემდეგ მოხდა — ეროვნული მოძრაობის გაძლიერება, ქართველი ერის კონსოლიდაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ — 9 აპრილის ლოგიკური შედეგია. ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ მისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა — თავისუფლებაა. ამ მოვლენამ განაპირობა 1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგები, კერძოდ ის, რომ ხალხმა ეროვნულ მოძრაობას მისცა ხმა და საბოლოოდ გადაწყვიტა კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის ბედი... ყოველივე ამას კარგად გრძნობს ცენტრი და სწორედ ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის პროკურატურამ შეწყვიტა საქმე ყველა დამნაშავის, ის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებმაც გაუგონარი საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინეს. ეს დანაშაული უმძიმესია საბჭოთა იმპერიის ისტორიაში, რადგან მოხდა ქიმიური იარაღის გამოყენება საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ფაქტს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი მსოფლიო ისტორიაში, როცა სადამ ჰუსეინმა მომწამვლელი ნივთიერება გამოიყენა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ... 9 აპრილს მოჰყვა ბაქო, ლიტვა, ლატვია, ის მოვლენები, დღეს რომ ვითარდება მოლდავეთში და თავად მოსკოვშიც კი.

ახლახანს, საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები უდავოდ 9 აპრილის გამოძახილიც იყო. ამ დღეს, არა მხოლოდ ქართველებმა, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელმა თითქმის ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას.

9 აპრილის მოვლენები, ის საშინელი სისხლიანი დღეები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გავლენას ახდენდა მათზე, ვინაიდან შეუძლებელია, ნორმალურად მოაზროვნე, კეთილი ნების ადამიანმა მხარი არ დაუჭიროს ხალხს, რომელმაც ამგვარი ტრაგედია გადაიტანა.

კანონზომიერია ის გარემოებაც, რომ ეროვნული პარლამენტის მიერ სწორედ ამ დღეს, 9 აპრილის 2 წლისთავზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ახე რომ, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო — 9 აპრილი, როგორც მოვლენა აქტუალური იყო ამ ხნის განმავლობაში, აქტუალურია დღესაც, აქტუალური იქნება მუდამ, ვიდრე იარსებებს ქართველი ერი.









# მეტეხის ციხე— 1923 - 1924

ალექსანდრე სულხანიშვილი



ვინ იყვნენ ილიას მკვლელები და რათ მოჰკლეს. ჩვენი ბრძოლების დროს, 1923 წ. ზაფხულში ხელში ჩაგვივარდა ილიას ფიზიკური მკვლელი ბერბიჭაშვილი. შეფიცულები ზიზღით უყურებდნენ და გაგლეჯა უნდოდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ იპატია და დაჰკითხა. თითქმის ყველა კითხვებზე პასუხს იძლეოდა და ძლიერ შეშინებული იყო, დიდი დაკითხვის შემდეგ ქაქუცამ გაანთავისუფლა, იმ მოსაზრებით თუ გავიმარჯვებდით საჯაროდ გველაპარაკებინა. ბევრი გავიგეთ მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ილიას. აი ვინ იყვნენ იმ ვერაგული ჯგუფის წევრები: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი. ჯიბლაძე, ისი. რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნ. ხომერიკი და პ. გელეიშვილი. ნოე ჟორდანიაც იყო მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესახებ იყო ის კრება სთქვა, მე ხელები დამიბანიათ ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანია წავიდა მაგრამ არაფერი გააკეთა რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა რომ გაეცა მასაც მოკლავდნენ. აი, ასე აშენეს ჩვენი ქვეყანა სოც. დემოკრატიულმა ლიდერებმა. ფიზიკური მკვლელები იყვნენ ჯაში და ბერბიჭაშვილი. აი თურმე ამათ გადაურჩენიათ საგურამოს გლეხკაცობა ილიას დუხჭირისაგან. შემდეგ სწერდნენ და ხმებს ავრცელებდნენ სოც. დემოკრატები ილიას სიკვდილს აბრალებდნენ რუსეთის საიდუმლო ჟანდარმერიას. მეორეს მხრივ მის მეზობელ გლეხკაცობას, იმისათვის რომ თვალები აებათ ილიას პატივისმცემელ და მოსიყვარულე ქართველებისათვის. ჩვენი რაზმი ხშირათ ვტრიალებდით საგურამოს ტყეებში, ილიას მეზობლები თითქმის თვითოეულად დავკითხეთ: გვეინტერესებოდა გაგვეგო სიმართლე თუ მართლა ილია აწუხებდა თავის მეზობლებს, როგორც ხმებს ავრცელებდნენ სოც. დემოკრატები. მაგრამ იმ მიდამოებში ერთი კაცისგან ვერ გავიგეთ ოდნავ მაინც ცუდი: პირიქით ყველა აღმერთებდა და ილიას მზესა ფიცავდნენ და განა შეიძლებოდა „გლახის ნაამბობის" დამწერი, კაცია ადამიანის?!, მგზავრის ნაამბობის, განდეგილის, ქვათა ღაღადის, მამულო საყვარელო, შენ როდის აყვავდები და მრავალი წმინდა პატრიოტულის დამწერს დუხჭირში ჰყოლოდა გლეხკაცობა? ილია მოჰკლეს ფიზიკურათ ერთმა ნაწილმა სოც. დემოკრატების ლიდერებმა, მაგრამ ეს არ აკმარეს, უნდოდათ მორალურათაც მოეკლათ, ვითომ დიდი მტერი იყო გლეხობისა. კომუნისტებმა კი ძეგლი დაუდგეს შუა თბილისში. ილიას მოკვლის ამბავი ზუსტად ვიცით ორი ერო. დემოკრატებისაგანაც, ესენი იყვნენ წევრები იმ სპეციალური კომისიისა, რომელსაც უნდა გამოეკვლია, ვინ იყვნენ ილიას მოკვლის განაჩენის გამომტანი. მე ეს ზევითაც მაქვს მოყვანილი, მაგრამ ამ ორმა კომისიის წევრმა ემიგრაციაშიც არ იკისრეს გამოქვეყნება და საიდუმლოდ ინახავდნენ საქართველოს განთავისუფლებამდე. რადგან ესენი უკვე ხანში იყვნენ შესულნი, როგორც უფრო ახალგაზრდას მათზე, მე გამიზიარეს ეს საშინელი ამბავი, და სიტყვა ჩამომართვეს საიდუმლოდ შემენახა საქართველოს განთავისუფლებამდე. მათ ეგონათ ჩემ სიბერემდე საქართველო განთავისუფლდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და მეც მოვბერდი ემიგრაციაში. ამისათვის რადგან ემიგრაციის ახალგაზრდობას შორის ვერა ვხედავ, ან შეიძლება მე ვერ ვიცნობ, რომ მეც შემეძლოს გადავცე ეს საიდუმლო და გულსაკლავი ამბავი: ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მე თვითონ გამოვაქვეყნო, უდიდესი ღალატი სამშობლოს წინაშე, პატარა ქართველების მიერ. ვაქვეყნებ რომ მთლად არ დაიკარგოს ეს უდიდესი ამბავი, და მომავალმა თაობამ იცოდეს სიმართლე, თუ ვინ მოჰკლა მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველი ილია ჭავჭავაძე. ვიცი, ჩემი წერილი ზოგიერთ ქართველებს არ ეპიტნავებათ, მაგრამ მე ეს სრულებითაც არ მაწუხებს. დიახ, მე ვწერ ნამდვილ ამბავს რომელიც აქამდის ბურუსით იყო მოცული და ვასრულებ ჩემ მოვალეობას (როგორც მუდამ) ჩვენი სამშობლოს წინაშე. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება ამას შევწირე ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ოჯახი, ჩემი ნათესავები, ჩემი საუკეთესო მეგობრები და ჩემი თანამებრძოლები ასევე დავამთავრებ ჩემ ცხოვრებას, სამშობლოს საკეთილდღეოდ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავს მე დიდიხანია ჩემ გულში ვატარებ, ეხლაღა მომეცა საშუალება რომ ახდილადა ვსთქვა ჩემი გულსნადები. ი. ჭავჭავაძის მკვლელობა იმისათვის არ დავწერე, რომ ვინმემ შური იძიონ ეხლა, ძლიერ დაგვიანებულია. ილიას მკვლელებმაც თავიანთი ვალი გადიხადეს. ზოგნი დაიხოცნენ, ზოგნი დახვრიტეს თავიანთ მოძმეებმა და ზოგი საფრანგეთში იყვნენ მოკლული. ამათი ხსოვნა ქართულ ისტორიაში ძალიან უფერულად იქნება მოხსენებული. მაგრამ ი. ჭავჭავაძის ხსოვნა და დიდება, საუკუნოებით წაუშლელი დარჩება საქართველოში.

საქართველოში, 24 წ. გამოსვლები დანიშნული იყო 29 აგვისტოსთვის. ქიათურა გამოვიდა 24 საათით ადრე, რა მიზეზითაც და-

ქიათურის უდროვო გამოსვლებს, ამით ჩვენ ჩირქსა ვცხებთ მთელ ეროვნულ ამბოხებას. ხიმართლის დაწერა ბატ. რედაქტორს თურმე ჩირქის მოცხებად მოსჩვენებია. უპირველესად ყოვლისა იმ დროს ბატ. რედაქტორი ალბათ მოკლე შარვლით დარბოდა, და მარქსიზმს იზეპირებდა. როგორ შეუძლიან მე კრიტიკა გამიწიოს, რა იცის იმ დროის მომხდარი ამბებისა! იმის გარდა რასაც ჩვენი მტრები ჩასძახებენ იმას ამოიძახებს გაბზარული ქვევრივით. ძალიან ხუსტს ქომაგობას უწევს თავის პარტიულ მეგობრებს. „გუშაგის" რედაქტორი, ვიმეორებ და ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ჭიათურის ნაადრევი გამოსვლები წმინდა ღალატი იყო სამშობლოსი, ნებით თუ უნებლივათ, მაგრამ როგორ გავიგოთ სინამდვილე? ღალატი იყო თუ შეცდომა? მე მგონია, პირველს უფრო ჰგავს. მაგრამ ჩვენ მესამე შემთხვევა ავირჩიეთ. რადგან ჩვენ კარგად ვიცნობთ ზოგიერთ ქართველებს, თუკი რამის იოლად შოვნა შეიძლება, შემთხვევას არ გაუშვებენ. ნაადრევი გამოსვლები ჭიათურაში სწორედ სამადნო სალაროს წახალებად მოახდინეს, რომ სხვებს არ დაესწროთ მისი წაღება და შეიძლება სხვა მიზეზიც იყო ამისი... გ. კონას ძე წერეთელი რომ პატიოსანი კაცი იყო, ჩვენ კარგად ვიცით, მაგრამ საშინელი რბილი და შეუფერებელი გამოსვლებისათვის. გ.კ. წერეთლის ჯგუფი გურიიდან იმისათვის ჩამოვიდნენ რომ ჭიათურის სალარო წაეღოთ, ამისათვის დიდი თავის ტეხვა არ არის საჭირო, მართალია გურიიდან ჩამოსულმა ჭიათურაში ათმა კაცმა ისარგებლეს, გ. კ. წერეთლის სახელით, მაგრამ მთავარი მომხრე და მბრძანებელი ნაადრევი გამოსვლებისა გახლდათ ნოე რამიშვილის დისწული, შალვა ბერიშვილი, როგორც ზევით დავწერე მგზავრობის დროს გემზე მუდამ ჩახუტებული ჰქონდა ჩემოდანი ჭიათურის ნადავლი სტერლინგებით. იქნებ ბატ. „გუშაგის" რედაქტორმა, მხურვალე დამცველმა ჭიათურის ნაადრევი გამოსვლებისა, გვიამბოს რანაირად მოხდა, რომ შალვა ბერიშვილი მთავარი მონაწილე ჭიათურის გამოსვლებისა, კომუნისტებს შეურიგდა? შალვა ბერიშვილი უწინაც იყო გადასული საქართველოში ვითომ კომუნისტების წინააღმდეგ სამუშაოთ. ეს ყველაფერი ხომ იცოდნენ კომუნისტებმა, მაშ რანაირად მოხდა, რომ თავზე ხელი გა-

რაიონი უნდა აელო. ბატ. ვ. ჩუბინიძეს თუ ასეთი მფრინავი რაზმი ჰყავდა, რაღა თბილისში მირბოდა, რატომ ჭიათურაში არ გამოვიდა, ხომ თვითონ ჭიათურელია! რაზე შეაწუხა გურიიდან ჩამოსული ვაჟკაცები. და ბოლოს სალაროს წაღების მეტი ჭიათურაში გამოსვლების დროს, სხვა რა გაკეთდა მნიშვნელოვანი? მგონი ბევრი არაფერი. ხოფიდან თუ რიზედან შეფიცულთა რაზმმა და გ. წერეთლის ჯგუფმა ერთი გემით ვიმგზავრეთ მარსელამდე (საფრანგეთამდე) თვეზე მეტი. ერთხელ არ უთქვამს გ. წერეთელს ან მის ჯგუფიდან ვისმე რომ მათ ჭიათურის სამადნო სალარო წამოიღეს. ამის შესახებ მარტო ქაქუცამ და მე ვიცოდით, რომ გ. წერეთლის ჯგუფს ერთი ჩემოდანი სავსე ვალუტით წამოუღიათ ჭიათურის სალაროდამ. დათიკო ელუმაიშვილს რომ არ ეთქვა ჩემთვის, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა. თვით დათიკო და მეც მომხრენი ვიყავით რომ ჭიათურიდამ წამოღებული ვალუტა ჩამოგვერთმივნა და საფრანგეთში მყოფი ქართველების სათვისტომოს სახელით შეგვენახა ბანკში. ქაქუცა წინააღმდეგ წავიდა, ლამაზი არ იქნება ტოლვილობაში ქართველებშორის უსიამოვნება მოხდესო. ეგენი ალბათ ალიარებენ რაც წამოიღესო. ამნაირად ელუმაიშვილმა და მე დაუთმეთ ქაქუცას, თუმცა დარწმუნებული ვიყავით, რომ ჭიათურის ნადავლს დაინაწილებდნენ. ასეც მოხდა. ბატ. ჟურ. „გუშაგის" რედაქტორი გვარწმუნებს რომ, ჭიათურის თანხიდან დიდი ნაწილი მეგზურისა და მგზავრობის ხარჯებს მოანდომესო და პარიჟში რომ ჩამოვიდნენ ანგარიში ჩააბარეს მთავრობასაო, რა ანგარიში, რის ანგარიში ან ვისი ანგარიში? მართალია ჭიათურის ნადავლიდან მცირე ნაწილი ყოფილ მთავრობას ჩააბარეს, რომ თვალები აებათ ქართველ საზოგადოებისათვის, თუ როგორ პატიოსნათ მოიქცნენ სალაროს წამომღები. პატარა ხანმა გაიარა და ამ ჯგუფიდან რამდენიმე კაცმა ტაქსების გარაჟი გახსნეს, რომელსაც კარგი თანხა სჭირდებოდა მანქანების შესაძენათ. რადგან ამათ არავითარი ცოდნა არა ჰქონდათ იმ საქმისა საქმე ცუდათ წაუვიდათ და ნაწილი ამ თანხისა დაკარგეს. საინტერესოა სად იშოვეს ასეთი თანხა რომ ტაქსების გარაჟი გაეხსნათ? ჩოხატაურიდან მოიტანეს? აი სწორედ

ილუპა ამბოხების მსვლელობა.

„გუშაგის" მესამე ნომერში ბატ. გ. წერეთელი დიდის აღშფოთებით სწერს ჭიათურის 24 საათით ადრე გამოსვლების შესახებ (შემდეგს). ასეთი დიდი ეროვნული ტრაღედიის დროს ჭიათურის საკითხი რაღა სახსენებელია, მაგრამ ამ საკითხზე იქნებ ისიც მიბიძგებს, რო მეც ჭიათურელი ვარო. ბატ. გ. წერეთელი ჯერაც ვერ მიხვედრილა, რომ ეროვნული ტრაღედია სწორედ ჭიათურის 24 სა. ადრე, უტვინო გამოსვლების მეოხებით მოხდა. ჩვენ გაკიცხვას ჭიათურის ნაადრევ გამოსვლაზე გ. წერეთელი დაუშვებლად და უმართებლოთა სთვლის. ჩემი გაკიცხვით ჩირქსა ვცხებ მთელ ეროვნულ ამბოხებას. ბატ. „გუშატის" რედაქტორი ამაშიც ვერ გარკვეულა, რომ ჩვენ ვკიცხავთ და ვგმობთ ჭიათურის ნაადრევის ვაჟკაცური გამოსვლების მონაწილეებს... ბატ. „გუშაგის" რედაქტორი ძლიერა სცდება, რომ რადგან ჩვენა ვკითხავთ

დაუხვეს კომუნისტებმა შ. ბერიშვილს. სამსახურიც მისცეს და არხეინად ცხოვრობს თბილისში. უდავოა, რომ შ. ბერიშვილს დიდი ხანია უმუშავნია წითლებთან. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ რომ პარიჟის სათვისტომოში დღესაც არის ვინმე წითლების მეთვალყურე რომელსაც დიდ ქართველ პატრიოტად უჭირავს თავი, და ზოგადათ შესაფერ წერილებსაცა სწერენ ჟ. „გუშაგში". ერთი რამეა გაუგებარი, ათი კაცი გურიიდან რას მორბოდნენ ჭიათურაში? განა თვით გურიაში არ იყო საჭირო გამოსვლები? ან ბათუმში, ხომ უფრო ახლო იყვნენ? ჰო მაგრამ დამავიწყდა, იქ ხომ სალარო არ იყო სტერლინგებით წახალები! განა ჭიათურაში ხალხი არ იყო? აი მაგალითად ვ. ჩუბინიძეს თურმე რვა კაციანი რაზმი ჰყოლია და თურმე თბილისში მნიშვნელოვანი

ეს თანხა იყო ჭიათურის სალაროდან წამოღებული. „გამოცდილმა" ყაჩაღმა ძალიან კარგად იცის ნადავლს როგორ მოუაროს. ბატ. გ. წერეთელი ძალიან ცუდ როლსა თამაშობს და გულმხურვალედ იცავს ჭიათურის მოღალატე გამოსვლებს. ჭიათურის გამოსვლების მოქმედნი პირნი რასაც ჩასჩიჩინებენ ბატ. გ. წერეთელი იმას იმეორებს, ცხადია ისინი რომ თავიანთ საწინააღმდეგოს ხომ არაფერს ეტყვიან! ძალიან ხუსტი დამცველია ჭიათურის დამღუპველი გამოსვლებისა. ბატ. „გუშ." რედაქტორი ვერავის დააჯერებს რომ გამოსვლები შეცდომით მოხდა. რას ქვიან შეცდომა ამისთანა საპასუხისმგებლო საქმეში? ამის მომწყობს რა ფასი უნდა ჰქონდეს თუ გამოსვლების რიცხვში და საათში ვერ გარკვეულა. ეს ხომ ნარდის თამაშობა არ იყო? ამისთანა უგუნური შეცდომის თუ ღალატის გამო აღმოსავლეთ საქართველომ, ნამეტნავად კახეთმა დიდი მსხვერპლი გაიღო, რამაც არავითარი სარგებლობა არ მოუტანა ამბოხებას, ჭიათურის დამღუპველი ნაადრევი გამოსვლების გამო. ამისთანა ამბოხების გაცემისთვის მონაწილენი ისვრიტებიან, ეს არის ბრძოლის კანონი. რომ უნაყოფო დიდი სისხლი დაიღვარა აღმოსავლეთ საქართველოში ბატ. „გუშაგის" რედაქტორს სრულებითაც არ აწუხებს, იმისათვის რომ [illegible] კაცია და ყოველმხრივ იცავს ამბოხების დამღუპველ, ჭიათურის ნაადრევ გამოსვლებს. აი ასე სწერს: ამ საკითხზე იქნება ისიც მიბიძგებს რომ მეც ჭიათურელი ვარო. არც ჭიათურის გამოსვლების ვაჟკაცები შეწუხდნენ დიდად, რომ ქართლ-კახეთში მრავალი სისხლი დაიღვარა სრულებით უსარგებლოდ, უგუნური ნაადრევი გამოსვლების გამო. ჩემ მოგონებაში მაქვს მოყვანილი და კიდევ ვიმეორებ, 22 წლის ხევსურეთის ამბოხება, დიდად ხელსაყრელი იყო საქართველოსთვის და აი რათა: რუსის ჯარი იყო ცოტა ათი ათასი მთელ საქართველოში დაფანტული. შტაბის უფროსი იყო მუსხელიშვილი, რომლისგანაც ვიცოდით, სად რამდენი იყო რუსის ჯარი, ქართველი ხალხი მალე მიხვდა კომუნიზმის უვარგისობაში, ხალხში ჯერ კიდევ იყო იარაღი. სამხედრო შტაბი გენერალ აფხაზის მეთაურობით დღე-ღამე მუშაობდნენ გამოსვლების მოსაწყობად. მთელი მაღალი რანგის ჩვენი მხედრობა ასი პროცენტით მხარს უჭერდა გამოსვლებს. ქართველი ხალხი მზად იყო საბრძოლველად და რაც მთავარია: რუსები მაშინ ძალიან ხუსტნი იყვნენ. ჩვენ რაზმს დიდი ძალები ჰყავდა დაგროვილი. მთელი აღმოსავლეთ საქართველოში, ესე იგი სადამდისინაც ჩვენ ვწვდებოდით. ამისათვის დიდი იმედი იყო ჩვენში გამარჯვებისა, რომ უმგზავს ღალატს არა ჰქონებოდა ადგილი. რუსების შტაბის უფროსმა მუსხელიშვილმა რამდენიმე ათასი რუსის ჯარი დაგვადევნა თანახმად გეგმისა, ვიწრო არაგვის ხეობაში. დამზადებული 350 კაცი რომლებსაც ზურგში უნდა დაერტყათ რუსებისათვის, ჩაკეტილნი იქნებოდნენ და ამნაირად, მათი გაჟლეტა ან განიარაღება აუცილებელი იქნებოდა. რა მიზეზი იყო რომ იმ მიწურულ ხანებში უარი განაცხადეს ამბოხებაში მონაწილეობის მიღებაზე სოც. დემოკრატებმა? იმ მიზეზით, რომ ნაადრევი გამოსვლებისათვის მზად არა ვართო. დამზადებული 350

(გაგრძელება იქნება)

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურულ საქართველო" № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიკვდილი ყველას ათანასწორებს

იქნებ დღეს არც კი ღირს ამ თემაზე ლაპარაკი, როცა მრავალ ფრონტზე უთანასწორო, უსვინდისოდ თავსმოხვეულ ბრძოლებში ვართ ჩაბმულნი, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლნოდეს", როცა მძაფრ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კოლიზიებს უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე ერწყმის და ბრძოლის უპირველეს იარაღად თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი, ერთად ყოფნა, პირსა შიგან გამაგრება და ღმერთთან და კაცთან ჩვენი სიმართლე გაგვიხდია, როცა გარეშე მტერზე არანაკლებ გვღრღნის და ეროვნულ ძალას გვიმცრობს შიდა აშლილობა, შუღლი, შური, ურთიერთგაუტანლობა.

მაგრამ, იქნებ სწორედ დღეს და, იმის გამო, რომ დიდი თავისუფლება წარმოუდგენელია პიროვნული თავისუფლების, მაღალი ზნეობისა და სიკეთის რწმენის გარეშე, ერის ესოდენი სულიერი დაძაბულობის ჟამს დაისვას ეს ერთის მხრივ უმნიშვნელო საკითხი.

ჩემს მეხსიერებას სამუდამოდ ჩაებეჭდა თბილისში მყოფი გერმანელი ტყვეები. ისინი ბარნოვისა და ფალიაშვილის ქუჩების დღევანდელ შუაწელში მაშინ არსებულ აგურის ქარხნებში მუშაობდნენ. ალბათ მუშაობდნენ სხვაგანაც. მახსოვს ისიც, მოკრძალებულნი და შეშინებულნი როგორ დააკაკუნებდნენ ბინების კარზე და ხის სათამაშოებს, „ტაბურეტკა" თუ „სარეცხის შპილკებს" შემოგვთავაზებდნენ ხოლმე, რომლებსაც ზედამხედველებისაგან მალულად ამზადებდნენ. ოჯახის უფროსები ჩვეულებრივ, კეთილგანწყობით, ქრისტიანულად ხვდებოდნენ, იძენდნენ მათ პატიოსნად ნაკეთებ-ნახელავს, მერე დიდხანს რომ შემორჩა თბილისურ ოჯახებში. ზოგი მათგანი ცოლ-შვილის სურათს ამოიღებდა და გვაჩვენებდა ხოლმე, ეს ცოლია, ეს ვაჟიშვილი და ეს ქალიშვილიო. ახლა ამდენი და ამდენი წლისანი იქნებიანო. ხვედრისა და ახლობელთა მონატრების ეს გაზიარება მათ წამიერ შვებას გვრიდა.

იყო ამ ურთიერთობაში რაღაც ადამიანური, ნაღვლიანი, მაგრამ კეთილშობილი. მე არ მახსოვს, რომელიმე ჩვენს მეზობელს მათთვის კარი არ გაეღოს, ან ვინმე წყევლა-კრულვით შეხვედროდეს. თუმცა, ზოგს ქმარი ჰყავდა ომში დაღუპული, ზოგს შვილი.

ერთი კი იყო, არ ვიცი, საიდან და როგორ, მაგრამ ეს პატარა ანცი ბავშვები ამ ტყვეებს უკან მივსდევდით ხოლმე შეძახილებით „გიტლერ კაპუტ", „გიტლერ კაპუტ", რისიც არაფერი გვესმოდა, თუმცა გვეგონა, რომ დიდ შეურაცხყოფას ვაყენებდით და გაკვირვებულნი ვრჩებოდით, როცა მშვიდად გვპასუხობდნენ „კაპუტ", „კაპუტ"-ო.

ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, როცა სამხედრო მეცადინეობისას დღევანდელი საბურთალოს კვარტლები რომაა, იმ მიდამოებში, სადაც სანგრებს გვათხრევინებდნენ, თბილისში გარდაცვლილ გერმანელ ტყვეთა დიდ სასაფლაოს წავაწყდი. რა ვიცი, იქნებ ისინიც კი იყვნენ მათ შორის, ვისი მალულად გაკეთებული სათამაშოებით ომისშემდგომი ბავშვობის გალამაზებას ვცდილობდით, ან ვისი დამზადებული სარეცხის „შპილკითაც" დედაჩემი ომამდე მამის ნაქონ და 15 წლის შემდეგ ჩემთვის გადაკეთებულ შარვალს რომ ფენდა გასაშრობად.

ზუსტად მახსოვს ის ადგილი — უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მიმდებარე ფერდობია მთლიანად; დღეს ამ ტერიტორიაზე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საკმაოდ მოზრდილი ფიჭვნარია გაშენებული. მაშინ, სტუდენტობისას ამ ადგილს საფლავების სახე თითქმის აღარც ჰქონდა, მხოლოდ ის იყო, რომ მთელ ამ მიდამოს შავი ყაყაჩოებივით შემზარავად მოდებოდა მცირე ზომის შავი ლითონის ფირფიტები, მიწაში რომ ჩაერჭოთ და ზედ რაღაც ნომრები დაეწერათ; ალბათ რომელიღაც ორგანოებში იცოდნენ ამა და ამ ნომრით ვინ იყო დასაფლავებული. მერე კი, როგორც მოგახსენეთ, ესენიც გაქრა და გაქრა შავი ლითონის ფირფიტაზე ნომრად გადასული ადამიანთა ფორმალური, დამაკნინებელი ხსოვნაც. დღეს ამას ალბათ ვეღარავინ აღადგენს. მახსოვს, შეცბუნებული და გაოგნებული საფლავების, უფრო სწორად, შავი ლითონის ფირფიტების დათვლასაც შევეცადე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, რამდენიმე ასეული ნამდვილად იყო, არ გამოვრიცხავ, რომ 2-3 ათასიც კი ყოფილიყო.

კაცმა არ იცის, ომში ვისთვის და რისთვის ასეულ ათასობით დაღუპული ქართველი ვაჟკაცების საფლავებს დღესაც მოწიწებით უვლიან ბელორუსიასა თუ უკრაინაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში თუ სხვაგან. ვფიქრობ, ცოდვას არ ჩავიდენთ, თუ ტყვე გერმანელების სასაფლაოს ცოტათი მაინც მივხედავთ, იმ ადგილს ღობეს შემოვავლებთ (ახლა იმ ფერდობზე ბილიკებიც გადის, არც მოხეტიალე ძაღლები აკლია, არ გამოვრიცხავ, სასაფლაოს ნაწილს იქვე ახლოს მცხოვრებლები მცირე ნაკვეთებად ამუშავებენ), სადმე საჩინო ადგილას მოკრძალებულ ნიშანს დავდგამთ და ქართველი კაცის დიდსულოვნების შესაფერ წარწერასაც გავუკეთებთ, იქნებ ასეთსაც — „აქ განისვენებენ მეორე მსოფლიო ომის დროს თბილისში გარდაცვლილი გერმანელი ტყვეები. ღმერთო მაღალო, დაიფარე მათი უგზოუკვლოდ დაკარგული სულები. ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ, ისე, როგორც უცოდველია ის მიწა, სადაც ისინი განისვენებენ".

მჯერა, ადრე გაზაფხულზე თუ თალხიანი შემოდგომის დღეს უნივერსიტეტიდან გამოსული ერთი შეყვარებული წყვილი მაინც მიიტანს ყვავილებს ამ ცრემლუნახავ საფლავებზე, ერთი მგლოვიარე ქართველი ქალი მაინც იგივეს გააკეთებს და ამით არა მარტო ღვთისნიერებას გამოიჩენს, არამედ მთელს ევროპას მოფენილი თავისი სისხლისა და ხორცის სახელიან თუ უსახელო საფლავებსაც გაათბობს. მჯერა, სხვებიც ამას იზამენ, რადგან ბალადა ვეფხისა და მოყმისა ქართველის სულიდანაა ამოსული, მისი ცხოვრების წესია, ლექსადქცეული ძეგლი და მრწამსია.

**ვაჟა გურგენიძე**

---

რედაქციისაგან: ბატონ ვაჟა გურგენიძის წერილში აღძრული საკითხი უთუოდ იმსახურებს ჩვენი საზოგადოების ყურადღებას. საქართველოში იციან ფასი ხსოვნისა, ამიტომაც ვერ ვიქნებით გულგრილნი უპატრონოდ მიგდებული სხვისი საფლავების მიმართ. არ იქნებოდა ურიგო, რომელიმე ორგანიზაციას ეკისრა ამ ადგილის მოვლა-პატრონობა, რითაც კიდევ ერთხელ დავამტკიცებდით, რომ ქართველი კაცი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტია თავისი ბუნებით.

## ტაგუ მეგურიშვილი

# სამი სონეტი საქართველოს თავისუფლებას

მერაბ კოსტავას +
ზვიად გამსახურდიას

I

ქანცგაწყვეტილო, ცოცხალმკვდარო ლოდინის მერე
შენ დაიბადე ერის ჯვარცმის აგონიიდან,
თავად ღვთის ნებით ანგელოსთა გუნდი გივლიდა
და ცა და მიწა იბრუნებდა წართმეულ ფერებს.

მოძმის სიცოცხლე ბლუჯა-ბლუჯა აღარ გაჰქონდა
ამიერიდან, მიწყივ მფეთქავ ოხვრას და კვნესას;
მკვდრეთით აღმდგარი მონასტრიდან ისმოდა მესსა
და ცაში ნათლის იწყებოდა ლურჯი ნამქრობა.

„მრავალჟამიერს" სიხარულის ცრემლები ჩქერად
ჩამოსდიოდა, როგორც ნატვრა და ბედისწერა.

ძველიც, ცხადია, მაგრამ ახლა ყველაზე უფრო
მე მენანება დღეს, გუშინ და გუშინწინ მკვდარი,
ვინც თავისუფალ საქართველოს ვერ მოჰკრა თვალი
და ვერ აფრინდა სიხარულით ზეცაში უფროოდ.

II

როგორ დაგაავადეს, როგორ დაგასნეულეს,
იხედები სარკეში, სხვა გიცქერის სარკიდან!
დაგაოსეს, მაგრამ მაგ ლაგმებს მაინც დაკვნიტავ,
კუდით ქვას ასროლინებ ასით ათასეულებს.

დაგავიწყეს ბევრი რამ, მაგრამ ძილშიც გახსოვდა:
რჯული, სარწმუნოება, ენა-წმინდათაწმინდა,
იბადები ხელახლა საუკუნო ჯვარცმიდან,
იხედები ხელახლა სასომიხდილ სასოდან.

დაიბადე! ატოკებს ქარი ალმებს, ტიარებს,
ბედის ბორბალს საწუთრო კვლავ წალმა ატრიალებს.
შენს გულმკერდზე, სამშობლოც, დადის თოთო ფეხებით

შენი თავისუფლება, შენი ხსნა და საშველი.
დიადზე უდიადესს, რას ინატრებ საშმვენისს,
რას ველირსეთ, დრო დადგა ზეიმის გამეფების.

III

სამშობლოვ ჩემო, ხნით ამ ცის და მზის თანატოლო
თავისუფლებამ, წამებულო, ხელი ჩაგბღუჯა,
ამიერიდან ვერ აგიგდებს ვერვინ აბუჩად,
ამიერიდან ვერვინ გაგცემს ხმას უბატონოდ.

არ დაგჭირდება ამიერით ნებართვა რუსთა.
ვის დაემტერო, ვის ემოყვრო-ენათესავო...
ისმინე, დატკბი საფიცარო და სავსავო.
ვერ მივა სხვა ხმა დედო ზარის ნაუნაუსთან.

ამიერიდან აღარ ჰკითხავ, ვისთან მიდიხარ,
თითქოს აქამდე ბავშვი იყავ და დღეს დიდი ხარ...
საითაც გნებავს, როცა გნებავს, ვისთანაც გნებავს

წადი, გასწიე, გინდ აღსავლით, გინდა დასავლით...
ღმერთია შენკენ და ოდეს გზას ღმერთი გასწავლის,
ვერ გაგიძნელებს თვით სატანაც ვზების გავნებას.

## ლადო სულაბერიძე

### ცეცხლის ძეგლს დავდგამთ

ოთხი ბიჭი დაუწვავთ, ოთხი ქართველი:
ჩაილვენთა, ჩაიფერფლა ოთხი კანდელი.
ხეზე მიუბაწრიათ, მიუსხიათ ბენზინი,
იქა მდგარან ოსების ნაზირ-ვეზირნი.
ცეცხლი ბრიალებდა, ხორცი შიშინებდა,
ქართ ეძინათ ღრუბლებთან, ცაზე
მიშლილებთან.
ქართ ეძინათ, ქართაც კი,
ცეცხლს არ უბერავდნენ.
უწინამძღვრეს სატანებმა, ოსებს უბელადეს.
მერეც, მერეც, უფალო,
როცა დამამიწო, ყველაფერი დამავიწყე,
ეს არ დამავიწყო.
აქ რო ცეცხლი დაინთო, მაღლა ავარდა.
ღმერთმა ცაზე ააყვავა, აიავარდა.
ცეცხლი ვერა, ხეზე ვერ მიათასმეს,
იქ გიზგიზებს, იქა, უფლის კალთაზე.
აქ ძეგლს დავდგამთ, ბიჭებო,
თქვენი ცეცხლის ძეგლს.
ცეცხლში თქვენი გულები ძგერს, ძგერს.
ძგერს.
ზე ავმართავთ ამ ცეცხლს, ზე, ზე, ზე!
ეს რა ხსოვნის ცეცხლი აგიზგიზეს!
მე ამ ლექსის ბოძზე
ვაკრავ ჯალათებს,
მათი ცეცხლით ჯოჯოხეთს
გადავანათებ.
ეს რა ხსოვნა ქვეყნად აწი უნდა ვატაროთ...
ფერმკრთალდება თქვენი ცეცხლი სპარსთა-
თათართა.
ფერმკრთალდება არაბების ცეცხლიც
რუალისა.
. . . . . . .
ეს ცეცხლია ქართლის დედა ქეთევანისა.
. . . . . . .
ჰა, ბიჭებო, ალი მოგწვდათ დედისა.
აუტანეთ ვარსკვლავს, ცად მიჭედილსა.
ცეცხლში თქვენი გული
ძგერს,
ძგერს,
ძგერს...
აქ ძეგლს დავდგამთ, ბიჭებო,
თქვენი ცეცხლის ძეგლს.



# საქართველოს ერთგული ეზგური

## ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი

1924 წლის ამბოხების გმირთა ბიოგრაფიების ძიებისას ხელში ჩამივარდა მოშცრო ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იყო ჩოხა-ახალუხითა და ფაფახით მორთული, იარაღში ჩამჯდარი, იშვიათი იერის ქართველი ვაჟკაცი. სურათის ზემო პლანზე მოჩანდა კიდევ ორი თოფ-იარაღიანი მეომრის ტორსი. დანარჩენი ნაწილი კი ამ უნიკალური დოკუმენტისა მოესრა დროსა და ვითარებას. ეს გახლდათ ფრაგმენტი გმირობის შარავანდით მოსილი ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილის ფოტოსურათისა, რომელიც ახახავდა მისი ყოფნის ჟამს საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში. ასევე ფრაგმენტული და ძირითადად დაუდგენელია მისი ცხოვრების ქარგაც. ამ მცირე ესკიზში ვეცდები ერთად შევკონო ყველა ის ცნობა, რისი მიკვლევაცა და მიგნებაც შევძელ, ვინძლო შევქმნა თუნდ სილუეტი ამ ღირშესანიშნავი პიროვნებისა.

დედაჩემის, ელენე ჯანდიერის ნათესავების, რუსიშვილი-ყორჩიბაშების ოჯახში 1950-იან წლებში თავს იყრიდნენ ქართველ თავადაზნაურთა უკანასკნელი მოჰიკანები: მაყაშვილები, ამირეჯიბები, ციციშვილები და სხვანი კეთილშობილნი, რომელთა შორის უმეტესობა მანდილოსნები იყვნენ, რადგანაც მათ მამებს, ძმებსა თუ მეუღლეებს არ ასცდენოდათ ბოლშევიკური რეჟიმის მსახვრალი ხელი. ამ უმშვენიერეს ქალბატონთა შორისაც გამოირჩეოდა ძველბერძნული ქანდაკების დარი ისია ნაზარიშვილი. როდესაც, პურობისას, ამ ბანოვანის სადღეგრძელოს შესვამდნენ, აუცილებლად მოიხსენიებდნენ მის მეუღლეს, ვანიჩკა ყარანგოზიშვილს და დასძენდნენ, რომ ის იყო ქართული ჯიშის სრულქმნილი გამოვლენა. რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ რეალისტი მხატვარი უჩა ჯაფარიძე ქართველი ტიპების გალერეის შექმნისას, ერთ-ერთ პირველთაგანს სწორედ ვანიჩკა ყარანგოზიშვილს ხატავს (საბედნიეროდ, შემორჩენილია ეს ნახატიც). მე მოგახსენებთ ამ პიროვნების გარეგნულ იერზე, სულიერების მხრივ, კი ამ ადამიანის ყველა მეტ-ნაკლებად მცნობელი სახავდა მას უკეთილშობილეს, უებრო რაინდად.

I მსოფლიო ომში გამოჩენილი სიმამაცისათვის თავადიშვილ ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილს აჯილდოებენ წმინდა გიორგის ჯვრით. მერმე იგი ცდას არ აკლებს ქართველი მხედრული ღირსების დაცვას. შემდგომ კი დგება დაპყრობილი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. მას დღენიადაგ დაეძებს ჩეკა. შინსახკომელები ისადგურებენ ყარანგოზიშვილის სახლში. „ისია იმ დროს ავად იყო, სიცხის ალში გახლდათ გახვეული — იგონებს ამ ქალბატონის ახლობელი, დარია რუსიშვილი, — ჩეკისტები კი თავთით უჯდნენ, იმ ფიქრით, იქნებ მას ბოდვის დროს გაეთქვა ქმრის ადგილსამყოფელი. მაგრამ ისიამ მტკიცედ ჩააგონა თავის თავს გაუთავებლად ეძახნა: „სადა ხარ ვანიჩკა? სადა ხარ ვანიჩკა? ამ ძახილმა გასჭრა და ტყავის ქურქიანებმა თავი ანებეს“.

აქვე დავსძენდით. მიმართვა „ვანიჩკა“ იმ დროისათვის სულაც არ გახლდათ ფამილარული. მაშინ რატომღაც ასე იყო მიღებული. მაგ: ვალერიან ჯუღელი ცნობილია უფრო, როგორც ვალიკო ჯუღელი, ნიკოლოზ ქვარიანი — როგორც კოლია ქვარიანი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი — როგორც სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი.

ეს უკანასკნელი შემთხვევით როდი ვახსენეთ. ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის გვარს ნახავთ 1923 წელს დახვრეტილ მეამბოხეთა „სამხედრო ცენტრის“ სიაში, თავად-აზნაურობის მარშალ კონსტანტინე აბხაზის, გენერალ ვარდენ წულუკიძის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის, პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის და სხვა ხელმძღვანელთა გვერდით. ის ყოფილა იმდენად ღირსეული და ხიბლიანი პიროვნება, რომ რუსი ჩეკისტი, ვინც იგი რუსეთიდან ჩამოიყვანა ბადრაგით, ეახლა მის მეუღლეს ქ-ნ ნინოს და განუცხადა: „მაგ დალოცვილის დახვრეტაზე უარესი ცოდვა რაღა იქნება. გაქცევა შევთავაზე, მაგრამ სასტიკ უარზე დადგა. ასე მომიგო, ჩემს ნაცვლად რომ უბედურება შეგხვდეს, რად მინდა თავი ცოცხალიო“.

ასეთ კაცს ფიც-ვერცხლი ჰქონდა ნაჭამი ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილთან. ძმადნაფიცთა ერთად გადაღებულ სურათს მათივე ხელით მიწერილი აქვს: „ჩვენ ერთად ვღვრიდით სისხლს და ერთად ვსვამდით ღვინოს“.

აღსანიშნავია, რომ უჩა ჯაფარიძეს, სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელიც არ გამორჩენია მხედველობიდან და დაუხატავს მისი სურათიც, რომელიც რაღაც სასწაულით შემორჩა დღემდე.

როცა მე უკვე ხარეცელს მიჯაჭვულ ბატონ უჩას ვუჩვენე ეს ფოტოსურათები, დიდად გაიხარა, გაიოცა და მითხრა: „როგორ მიავენი ამ სურათებს, რომ იცოდე რა ვაჟკაცები იყვნენ, მე ხომ ვერა და ვერ შევძელ მათი შინაგანი და გარეგნული ეშხისა და ლაზათის ჯეროვნად გადმოცემაო“.

ისინი ერთურთის ღვიძლ ძმათა დარად ერთად დაიტირა ისია ნაზარიშვილმა ნინო ბაგრატიონ-მუხრანელისადმი მიძღვნილ (რუსეთში აღზრდა-განათლება მიღებულ თავადიშვილთა ჩვევისამებრ რუსულად დაწერილ) ლექსში.

«Взвылися смелые орлята
В неравный бой вступили,
И жизнь была их смята,
Обоих их убили.

Скрутили крылья одному
Свинцом горячим
поразили
Другой взлетел но на лету
Враги настигли и убили.

И были братьями они.
У них своя была дорога,
Остались мы с тобой одни,
Ушли, погибли оба».

ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი ძალზე ღირსეულად არის მოხსენიებული ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“: „ვანიჩკას გულითადი მეგობრობა აკავშირებდა არა მარტო ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, არამედ ჩემთანაც“; „ვანიჩკას ისე ვენდობოდით, როგორც საკუთარ თავს“ და ა. შ.

იქ ნახავთ ასეთი რაინდული სცენის აღწერილობასაც: „ჩეჩნეთში გამგზავრების წინ შეფიცულებმა მწვადები შეგვიწვეს, პატარა გასაცილებელი სუფრა გაგვიშალეს, გზა დაგვილოცეს, ცხენები შეგვიკაზმეს და ერთმანეთთან დამშვიდობების ჟამიც დადგა. ამ დროს წამოდგა ვანიჩკა ყარანგოზიშვილი, წელიდან შემოიხსნა მშვენიერი, ოქროს ზარნიშით შემკული, თეთრტარიანი ხანჯალი და ამ სიტყვებით გადმომიწოდა: „შენი ფეშქაში იყოსო“. იმწამს გამახსენდა შოთას ნეთქვამი:

„მეფეთა შიგან სიუხვე
ვით ედემს, ალვა რგულია!“

მაგრამ ისიც გამეგონა, ჩუქებას ჩუქება უყვარსო და არც მე დავრჩენილვარ ვალში. ასე შემოირტყა ვანიჩკამ ჩემი ხანჯალი, მე კი — მისი და მუდამ თან ვატარებდი საუკეთესო მეგობრის სახსოვარს.“

ამავე წიგნში გადმოცემულია ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილის სიკვდილის ამბავიც. ალექსანდრე სულხანიშვილის ცნობით მას გახსნია ძველი ჭრილობა თავის არეში, შეუძლოდ გამხდარა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანის დროს ჩასაფრებულ კომუნისტებს მოუკლავთ რაზმელ ლუა კვალიაშვილთან ერთად.

მაგრამ არსებობს ამ ამბის მეორე ვარიანტიც. ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი გადასახლებაში მოხვედრილა ქართული სიტყვის დიდოსტატ, ჭეშმარიტ პატრიოტ, კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად. იქ ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს შიმშილობა გამოუცხადებიათ უკანონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ რაკილა ბანაკის მესვეურთ ეს აქცია აინუნშიაც არ ჩაუგდიათ, ტუსაღებს ხელი აუღიათ შიმშილობაზე. საჭმელს არ იკარებდა თურმე მარტოოდენ ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი. მაშინ ბატონ კონსტანტინეს თავად განუმარტავს მისთვის საქმის ვითარება და დაუყოლიებია კიდეც თავის ნებაზე. ოღონდ რომელიღაც პატიმარს გამოუჩენია საბედისწერო წინდაუხედაობა — შიმშილით დაძაბუნებულ, ნაწლავებგათხელებულ ადამიანისათვის მიუწვდია მოხარშული კვერცხი. ასე დაღუპულა ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი.

თუკი მხედველობაში მივიღებთ დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს წინამძღვრის, ზვიად გამსახურდიას (ვინც მომითხრო მამამისის მიერ გადმოცემული ეს ამბავი) უზადო მეხსიერებას და აგრეთვე იმ მომენტს, რომ ალექსანდრე სულხანიშვილის უშესანიშნავეს წიგნში არის ასეთი უზუსტობანი (იგი ხომ საქართველოში მომხდარ ამ ამბებიდან კარგა ხნის მერეა უცხოეთში დაწერილი), მაშინ უმეტეს სარწმუნოდ ეს მეორე ვერსია უნდა მივიჩნიოთ.

ერთი ლირიკული გადახვევაც. ერთხელ ჩემთან ყოფნისას ქართული ეროვნული მოძრაობის სიამაყესა და მშვენებას, მერაბ კოსტავას თვალში მოხვდა კედელზე გაკრული ამ უბადლო რაინდის ფოტოსურათი და ყურადღებით დააცქერდა მას. რაკილა დაინტერესება შევატყვე, განვუმარტე მისი ვინაობა, ვაჩუქე ფოტოსურათი (თქვენ ერთი ჯიშისა და მოდგმისა ხართ-მეთქი, დავსძინე) და იგი დიდხანს ამშვენებდა მერაბის სამყოფელს.

ამ ესკიზის ბოლოს მკითხველს ვთხოვ მიაწოდოს არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებას ცნობები ამ ორი ძმადნაფიცის შესახებ. ჩანაწერს კი გავასრულებ 1924 წლით დათარიღებული ერთი პასაჟით ისია ნაზარიშვილის დღიურიდან (რომელიც გადმოგვცა მისმა აღზრდილმა ქ-მა მარინემ). მეტყველებს იმაზე, თუ რარიგ სულიერ შვებას ჰპოვებდა ავბედითობისაგან ყოველმხრივ შეპირვებული ქართველი ქალი ძველ ქართულ ტაძარში და რა ძალას იძენდა მისგან:

„ბაგრატის ტაძარი! რა კარგია ეს დანგრეული კედლები. შიგ რომ შედიხარ, იგრძნობა წარსულის სიდიადე და სიმძლავრე. მაღლა ცაში შეჭრილან მისი დაშლილი სვეტები. კარგ ამინდში საუკუნეებით ნაქსოვი მათი არშია კვეთს ლურჯ ცას. მწვანე ხავსი და სურო დაჰხვევია მათ ათიროსით. იატაკი ბალახით მოფენილა. მასში ჩამალულ იებისგან მთელ მიდამოს იისფერი გადაკრავს. ქვებში ჩაქსოვილა ჩუქურთმა. შეჭრილა სურო და ჩვენი წარსული. რარიგ აღელვებულიც უნდა შევიდე ამ ტაძარში. მუდამ მამშვიდებს მისი სიდიადე. მოღრუბლულ ამინდშიც კი მესმის კედლების საყვედური: ათი საუკუნეა მტკიცედ ვდგავართ. წაგვბაძეთ ჩვენ! რამდენი ხანია რაც ვებრძვით წვიმას, ქარს, გრიგალს, თოვლსა და სეტყვას. ხავსისა და სუროს საფარველში მაინც ვუჭვრეტ ცას. მამუნათებს მერცხლების ჟივილიც. მართლაც რომ მაგრად შეუდუღაბებიათ ეს კედლები. ვინც იგრძნობს ბაგრატის ტაძრის სიმტკიცეს, მას გარდმოეცემა მისი კედლების მადლი და ძალა“.





უჩა ჯაფარიძის ნახატი — ვანიჩკა ყარანგოზიშვილი

**ედიშერ გიორგაძე**

არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე



ვანიჩკა ყარანგოზიშვილი და სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი

# საქართველოს ოკუპაცია და ევროპა

**ნესტან კირთაძე**

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რა დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალ-ყურს იმ ტრაგედიების გამოძახილს უცხოეთში, უკანასკნელ ხანს რომ დაგვატყდა თავს არა მარტო ჩვენ, არამედ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ სხვა ერებსაც. **რადგან მხოლოდ შიშველი სიმართლით მებრძოლები,** უპირველესად, საერთაშორისო თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ვეძებთ.

ასე იყო ამ სამოცდაათი წლის წინათაც.

16 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ უკანასკნელი სხდომა ჩაატარა ბათუმში და მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, რომელსაც სულ რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო დემოკრატიულმა ძალებმა დაუჭირა მხარი და, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1921 წლის 27 იანვარს საერთაშორისო დე იურე დასტური მისცა.

მეტადრე კი, საჭირო იყო იმ ყალბი ინფორმაციების მოხსნა, საქართველოს გასაბჭოების დღეებში მოსკოვმა რადიოთი რომ ამცნო ევროპას: „საქართველოში მუშათა და გლეხთა აჯანყება და სოციალისტური რევოლუცია მოხდა", ან კიდევ, „ამიერკავკასიაში მეზობელი ერები ერთმანეთს დაერივნენ და მოსკოვის მთავრობა არაფერ შუაშია"-ო და სხვა.

დაიწყო დემოკრატიული საქართველოს ემიგრირებულ მთავრობის წევრთა უაღრესად მძიმე, მაგრამ ენერგიული მოქმედება: ჩადიოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში, გამოდიოდნენ ხალხმრავალ მიტინგებზე, სხვადასხვა აუდიტორიების წინაშე და დოკუმენტურად ასაბუთებდნენ, რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში: რევოლუცია, აჯანყება-გადატრიალება თუ ომი. ვინ და რისთვის ომობდა...

მიგვაჩნია, რომ საუბრის ცალკე და უაღრესად საინტერესო თემაა — საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელსაც სამომავლოდ ვპირდებით მკითხველს, დღეს კი, ჩვენი დიდი ეროვნული ტრაგედიის იმ საერთაშორისო გამოძახილზე, მხარდაჭერაზე, მაგრამ ამავდროულად ღალატზეც, ანუ მომხდარის შეგნებულ გაყალბებაზეც გვექნება საუბარი, რამდენიმე საყურადღებო, ახლადმოძიებულ საარქივო დოკუმენტთან მიმართებაში.

მოგეხსენებათ, დემოკრატიული საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას სოციალისტები წარმოადგენდნენ. ამიტომაც, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს უფლებების დაცვის კამპანია, უწინარესად, ევროპის მუშათა კლასმა და სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს. ამასთან ბოლშევიკური რუსეთის იმპერიალისტური აქტის საწინააღმდეგო რეზოლუციები გამოიტანეს: ინგლისის ტრედ-უნიონების და მუშათა პარტიის შეერთებულმა საერთო კომიტეტმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთამ, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, დანიის, ბალტიის ქვეყნების, სამხრეთ სლავიანთა, იტალიის, ავსტრიის და პოლონეთის სოციალისტებმა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბორდოს სექციამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საზღვარგარეთულმა ორგანიზაციამ, მეორე ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა და სხვა. ამ მხრივ საინტერესო მასალებს გვაწვდის კ. გვარჯალაძის მიერ პარიზში 1936 წელს გამოცემული მცირეფორმატიანი წიგნი „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ". 1921 წლის 14 ივნისს ბრიუსელში, მუშათა სასახლეში გაიმართა ბელგიის მუშათა პოლიტიკური პარტიებისა და პროფესიული კავშირების საგანგებო სხდომა, სადაც კავშირების 600 000 წევრის სახელით გამოსული ორატორები აცხადებდნენ, რომ **„ბელგიის მუშები საქართველოს საკითხს გაიხდიან თავის საკუთარ საქმედ და მთელი თავისი ძალღონით იმოქმედებენ მის დასახმარებლად".**

1921 წლის 22 ივნისს ქალაქ ბრაიტონში გაიხსნა ინგლისის მუშათა პარტიის წლიური კონგრესი, რომელმაც ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: **„ეს კონგრესი უცხადებს რა ქართველ ხალხს თავის თანაგრძნობას, გამოთქვამს რწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება სამხედრო ძალდატანების გარეშე, თავისუფლად აირჩიოს ფორმა მმართველობისა, რომელიც მას სასურველად მიაჩნია...** („თავ. საქ." №3, 1921 წ.)."

5 ივლისს მემრავლესე სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილი იქნა მრავალრიცხოვანი კრება. ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში გერმანელი მუშები მოითხოვდნენ რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს დატოვებას და იქ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენას. („თავ. საქ." №4, №5, 1921 წ.).

22 ნოემბერს გაიმართა II ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც ერთხმად მიიღო ჰიუსმანსის რეზოლუცია:

**„...საქართველოს ტერიტორია დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და მოსკოვის მთავრობას დანიშნული ჰყავს საქართველოში ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომლისადმი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილნი; რომ მსოფლიო პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობაა ერთადერთი პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისა და იქ გამეფებული ტერორის რეჟიმისათვის...**

**— ამიტომ აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ დაჟინებით მოითხოვს:**

**რუსეთის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და მით შესაძლებლობა მისცეს ქართველ ხალხს თვით გახდეს თავისი ბედის პატრონი.** („თავ. საქ". № 13)."

1922 წლის მარტის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს **„არბაიტერ ცაიტუნგ"-ის** რედაქტორი **იულიუს ბრაუნტალი,** რომელსაც ამსტერდამის პროფესიული ინტერნაციონალის ბიუროსაგან დავალებული ჰქონდა ევროპელი მუშების ფულით ნაყიდი წამლები გადაეცა ქართველი ხალხისათვის. ამ დავალების შესრულების შემდეგ ბრაუნტალი რამდენიმე კვირა დარჩა საქართველოში, უკანდაბრუნებისთანავე ზემოხსენებულ გაზეთში მოათავსა სერიალი წერილებისა, რომელშიც დაუფარავად ამხელდა ბოლშევიკების ბოროტმოქმედებას ჩვენს ქვეყანაში და მათ ანტიხალხურ ბუნებას. მოგვიანებით ეს წერილები ცალკე წიგნადაც გამოიცა.

საქართველოს საკითხზე დებატები გაიმართა საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის პარლამენტებში.

1922 წლის სექტემბერში კი, ცნობილი ბელგიელი სოციალისტის **დებრიუკერის** წინადადებითა და შესატყვისი რეზოლუციით **ერთა ლიგამაც** განიხილა საქართველოს საკითხი და ერთხმად გამოიტანა მისდამი თანაგრძნობის დადგენილება, რაც 1924 წლის 25 სექტემბრის საგანგებო რეზოლუციით კვლავ დადასტურდა...

მართალია, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ჯიუტად უარყოფდა ომის გზით საქართველოს დაპყრობის ფაქტს, მაგრამ ეს საკითხი ბოლშევიკთა შორის, პირველად საჯაროდ აღიარებული იქნა კარლ რადეკის მიერ 1922 წლის აპრილში, სამი ინტერნაციონალის (მეორე, ორნახევარი და მესამე) ბერლინის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე: როდესაც **ემილ ვანდერველდემ და რამზეი მაკდონალდმა** ოფიციალურად მოითხოვეს ბოლშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლება, რადეკმა დაუფარავად განაცხადა, **რომ მათ დაარღვიეს საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ, რადგან საბჭოთა რუსეთს ნავთი სჭირდებათ** და სხვა...

საერთაშორისო დემოკრატიის იმავე მოთხოვნაზე კი **ლევ ტროცკიმ,** ამავე პერიოდში, სიტყვასიტყვით ასე უპასუხა: **„ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ დავტოვებთ მას ისე გავიჯახუნებთ კარს, რომ საქართველოდან არაფერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩება"**-ო.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დემოკრატიული საქართველოს ემიგრირებული მთავრობა დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის გადაჭრას თავდაპირველად მხოლოდ დემოკრატიული გზით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებით ფიქრობდა. მისსავე მოთხოვნის საფუძველზე, მსოფლიო დემოკრატიული ინსტიტუტები ბოლშევიკებისაგან მოითხოვდნენ შემდგარიყო საერთაშორისო კომისია კომუნისტების წარმომადგენლობის ჩათვლით, რომელიც გაემგზავრებოდა საქართველოში და მოაწყობდა რეფერენდუმს, ქართველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილის გამოსახატავად. რის თაობაზეც 1921 წლის 13 სექტემბერს ოფიციალური წერილით მიმართეს მოსკოვს.

სარეფერენდუმო კომისიის მოწყობაზე კატეგორიული უარით უპასუხა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს დაპყრობის საკითხის ზნეობრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები მთელი სიგრძე-სიგანით იქნა განხილული პარიზში, ე. წ. „მერაბიშვილის საქმის" სასამართლო პროცესზე (ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის გრ. ვეშაპელის მკვლელობის (1926 წ.) თაობაზე, რომლის შინაარსზეც, ცხადია დღეს ყურადღებას არ ვამახვილებთ). თანამედროვეთა თქმით, პროცესი სამი დღის განმავლობაში იპყრობდა მთელი ქვეყნის ყურადღებას და, დემოკრატიული სასამართლოს ნიადაგზე, წარმოადგენდა ნამდვილ დუელს მოსკოვსა და განთავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს შორის. მოსკოვის ქომაგი, **ვექილი ტორესი** აცხადებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქციაა, მოგონილი ხელისუფლების მოტრფიალე პოლიტიკოსების მიერ, რომ ბოლშევიკების მიერ წარმოებული დაპყრობითი ომი მოგონილი ოკუპაციაა, ხოლო 1924 წლის აჯანყება — მენშევიკთა ჩხირკედელაობა და სხვა. ბოლშევიკების ინტერესების დაცვისათვის თავგამოდებულ ტორესის ყალბ არგუმენტაციას დაუპირისპირდნენ მებრძოლი საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც დაწვრილებით გააცნეს მსაჯულთ ქვეყნის ბედი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის სწორ, ობიექტურ ორიენტირებაში დიდი როლი შეასრულა პროცესზე ორი მოწმე-დეპუტატის გამოსვლამ. ესენი იყვნენ: **ბორდოს ქალაქის თავი ადრიენ მარკე და საფრანგეთის ცნობილი პარლამენტარი და დიდი ტრიბუნი პიერ რენოდელი.**

— ბატონო ვექილო! ტალანტმა და ხელობამ კაცს არ უნდა აალებინოს ხელი სინდისზე-ო, მიმართა პიერ რენოდელმა ტორესს და ორივე ორატორი დამსწრეთა და საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელთა, ყურადღებას მიაპყრობდნენ, უწინარესად, ბოლშევიზმის, როგორც კაცობრიობისათვის საშიშ მიმდინარეობაზე, რომელმაც ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში მოკლა დემოკრატია და ხიშტებით გარეკა დამფუძნებელი კრება; დაწვრილებით მოუთხრობდნენ მსმენელთ მსოფლიო დემოკრატიული ძალების მიერ ოფიციალურად აღიარებულ საქართველოს დამოუკიდებლობაზე და იმ ძალმომრეობაზე, რომელიც დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მიმართ განახორციელა საბჭოთა რუსეთმა...

1924 წლის 31 აგვისტოს მოსკოვის ტელეგრაფის სააგენტომ მორიგი ყალბი ინფორმაცია მიაწოდა ევროპას. „კონტრრევოლუციური მიზნით, საქართველოში აჯანყება მოახდინა ძველი ოფიცრების, თავადების და მსხვილი ვაჭრებისაგან შემდგარმა მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ სასწრაფოდ იქნა ჩაქრობილი"-ო.

საქართველოს საკითხი ჯერ კიდევ იდგა საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების, მუშათა პროფესიული და პოლიტიკური ორგანიზაციების სამუშაო დღის წესრიგში, მით უფრო ახლა, როდესაც ბოლშევიკთა ძველ დანაშაულს ახალიც დაემატა, (სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობა) რაც იქვე ფართოდ გახმაურდა და შესაფერი შეფასებებიც მიეცა.

ამ ფაქტით საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტს კვლავ საფრთხე დაემუქრა, ამიტომ მოსკოვმა დიდხანს აღარც დააყოვნა და ენერგიულად აამოქმედა კიდეც ნაცადი პროპაგანდისტული მანქანა...

საბჭოთა კავშირში (საქართველოს რეგიონის უეჭველი გათვალისწინებით) დაიწყო ეგრეთ წოდებულ დელეგაციადას კამპანია. ან უკეთ რომ ვთქვათ, „რეალური" ვითარების გასარკვევად, მოსკოვის მოწვევით (ცხადია სათანადო მსუყე საზღაურის ფასად) მოგზაურობა დაიწყეს ეგრეთ წოდებულმა მუშათა დელეგაციებმა.

ამ მიზნით, 1924 წლის 30 ნოემბერს, სამი დღით საქართველოში ჩამოიყვანეს ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაცია **პერსელის** თავმჯდომარეობით, რომელსაც უკვე წინასწარ ჰქონდა გამოტანილი თავისი დასკვნები, თბილისში შემოსვლამდე მატარებელში რომ აუწყა გაზეთების: „კომუნისტის", და „ზარია ვოსტოკას" თანამშრომლებს. კერძოდ: „დასავლეთის ბურჟუაზიული და სოციალისტური პრესა საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ ტყუის და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება ლაპარაკობს სიმართლეს, მას მიჰყავს ქართველი ხალხი ბედნიერებისაკენ" და სხვ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, ინგლისელ ტრედუნიონთა დელეგაციის საქართველოში მოწვევით, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მიზანს ვერ მიაღწია.

საოკუპაციო ხელისუფლების განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კი ტრედუნიონების დელეგაციის შემდეგ, საქართველოში მოიპატიჟეს ინგლისელ მუშა ქალთა, საფრანგეთ-ბელგიის რკინიგზელთა და ტრანსპორტელთა, ორგზის გერმანელ მუშათა და ჩეხოსლოვაკელთა დელეგაციები. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აჯანყება მარცხით დასრულდა, გაანადგურეს „დამოუკიდებლობის კომიტეტი" და შექმნილი, უაღრესად რთული ვითარების გამო, წერტილიც დაესვა იმხანად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. იმედად ისევ საერთაშორისო დემოკრატიული ძალების სამართლებრივი ჩარევაღა დარჩა. ამიტომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი ცდილობდა გამოეყენებინა უცხოეთის დელეგაციების ვიზიტი საქართველოში და თითოეულ მათგანს ფარულად გადასცემდა საზღვარგარეთ გასავრცელებელ სპეციალურად შედგენილ მემორანდუმებს, მაგრამ ქართული სინამდვილით დაინტერესებულ დელეგაციებს კავშირი ჰქონდათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოებთან და პირებთან და ეს დოკუმენტები ადგილზევე რჩებოდა.

ცხადია, საკითხის — ვითარება საბჭოთა საქართველოში, ფარსი თუ სინამდვილე — გასარკვევად ზემოაღნიშნულმა დელეგაციებმა მეტ-ნაკლებად, მაგრამ პირნათლად შეასრულეს დამქირავებელი მოსკოვის დავალება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დამახინჯებული ფაქტები გადასცეს თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ამ დელეგაციის სავიზიტო ხარჯებს მოსკოვი იღებდა, რისთვისაც, ცხადია, სამაგიერო პოლიტიკურ სარგებელს ეძებდა დასავლეთში და ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ვარაუდი. ამ დელეგაციების მასკარადის უცხოელი მამხილებლები მაშინვეც ბლომად აღმოჩნდნენ. მრავალთა შორის კი, ზოგიერთ მათგანზე მივაპყრობ თქვენს ყურადღებას: რუსეთში, საკუთარი ხარჯებით მოგზაური, გერმანელი მოქალაქე **ფონ როსი,** გაზეთ „ჰომბურგე ტაგეს პოსტ"-ით აუწყებდა მკითხველს, თუ როგორ აბრიყვებდნენ რუსეთში დელეგაციებს. ამასთან დაწვრილებით განიხილავდა საკუთარი თვალით ნანახს... მაგრამ, ერთია წარჩინებული მოქალაქის აზრი, გამოხატული უკიდურესად რეაქციულ გაზეთში, მეორე და ფრიად საყურადღებო კი თვით გერმანიის მუშათა ორგანიზაციებისა. ამ მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი შინაარსის რეზოლუციები: **„არც ერთ პარტიის წევრს არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა რუსეთში მოგზაურობაში, რომელიც ბოლშევიკური მთავრობის ხარჯზე ხდება",** პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კი, თავის მხრივ, დაადასტურა, რომ: **„რუსეთში მიმავალ დელეგაციებში მონაწილეობა... შეადგენს საბუთს პარტიიდან გარიცხვისას ნორმალურ პარტიულ სამედიატორო სასამართლოს გზით..."** მაშასადამე, ბოლშევიკური ხელისუფლების ხარჯებით დელეგაციაში მონაწილეობის ფაქტის აღიარება მექანიკურად იწვევდა პარტიიდან გარიცხვას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია საქართველოს მშრომელთა ბედი „დაინტერესებულ" ევროპელ მუშათა დელეგაციების ვიზიტის შინაარსი და შედეგები. და ზოგჯერ, სწორედ ამიტომაც მახინჯდებოდა მაშინ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და რეალური ვითარების ფაქტები დასავლეთში და ევროპისათვის გასაცნობი სიმართლე, გამოხატული არალეგალურად საგანგებოდ შედგენილი მემორანდუმებით, რჩებოდა მხოლოდ ხმად მღაღადებლისად და ევროპაში კი არა, საქართველოს საზღვრებსაც არ სცდებოდა იგი და იქვე ჩეკას საქაღალდეებში იდებდა ბინას შესაბამისი რეზოლუციებით და წარწერებით: **„სრულიად საიდუმლოდ", „მხოლოდ პირადად", „სარგებლობას არ ექვემდებარება"** და სხვ.

დღეს, ათეული წლების განმავლობაში საგულდაგულოდ შენახული ერთ-ერთი ასეთ დოკუმენტს გთავაზობთ მცირედი შემოკლებით:

— **„მემორანდუმი გერმანიის მუშათა დელეგაციას, ამსტერდამის სოციალისტურ ინტერნაციონალს და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს",** რომელიც დანართითა და ღია წერილითურთ, 1925 წლის 6 აგვისტოს ფარულად გადაეცა გერმანიის დელეგაციას. აღნიშნულმა დოკუმენტმა წინამორბედთა ბედი გაიზიარა და დღეს პირველად გაეცნობა მას ჩვენი მკითხველი, იგი ზოგადად. მაგრამ შეუფარავად გამოხატავს საქართველოს იმჟამინდელ რეალობას და რაც მთავარია, დოკუმენტის ხელისმომწერნი არიან საქართველოს მუშებისა და გლეხების ინტერესების უპირველესი გამომხატველი ორგანიზაციები: არალეგალური პროფკავშირული ორგანიზაცია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, რაც ხაზგასმულად მიანიშნებს იმაზე, რომ დამოუკიდებლობის დაკარგვა თანაბრად ტრაგიკული იყო ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, იმისდა მიუხედავად, თუ რა სოციალური წარმოშობისა იყო იგი და რა ადგილი ეკავა საზოგადოებაში.

დოკუმენტი კიდევ ერთხელ ხსნის ნიღაბს „მშრომელთა განთავისუფლების" ყალბ ლოზუნგს ამოფარებულ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებას.

●

...საქართველოს თქვენი სახით ევროპის მუშათა მეოთხე დელეგაცია ეწვია. საქართველოს პროლეტარიატს ახარებს ასეთი სტუმრები, მეტადრე მაშინ, თუ ისინი მართლა ასრულებენ შემდეგს: ეცნობიან ჩვენი ტანჯული ხალხის და ქვეყნის პირობებს, სწავლობენ და შეფასებას აძლევენ მათს ცხოვრებას და აქ ნანახს ობიექტურად გადასცემენ ევროპის მუშათა კლასს, რომელსაც ახლა, რა თქმა უნდა, აინტერესებს თავისი თანამებრძოლის — საქართველოს პროლეტარიატის მდგომარეობა. სწორედ ეს იყო წინა დელეგაციების ამოცანა და მიზანი, მაგრამ ამ დელეგაციათაგან არც ერთმა არ გაამართლა საქართველოს მშრომელი ხალხის იმედები. დღემდე არაფერი ვიცით, გარკვეულად რა თქვა აქაურ მდგომარეობაზე საფრანგეთ-ბელგიის დელეგაციამ, რომელსაც ცალკე მემორანდუმად აუწერეთ საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა.

რაც შეეხება პერსელს და ინგლისელ მუშა ქალთა დელეგაციას, გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ მათ უღალატეს საქართველოს პროლეტარიატს, სიმართლე დაუმალეს [illegible] და მთელი ევროპის პროლეტარიატს და სამოთხედ დაუხატეს ჩვენი ქვეყნის ჯოჯოხეთური მდგომარეობა...

იყო ასეთი შემთხვევებიც: დელეგაციის წევრები, მეტადრე საფრანგეთ-ბელგიის დელეგაციისა, ფაბრიკებს ეწვივნენ და მთავრობისა და საგანგებო კომისიის წარმომადგენელთა თანდასწრებით შეეკითხნენ მუშებს, როგორ ეკიდებით მთავრობას და კმაყოფილი ხართ თუ არა საბჭოთა ხელისუფლებითო და ა. შ... გარწმუნებთ, რომ ასეთი ხერხები, რომელთაც მიმართავენ მუშების აზრისა და სულიერი დამოკიდებულების გასაგებად, სასაცილოა. განა შესაძლებელია, პატივცემულმა დელეგაციებმა არ იცოდნენ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის წინააღმდეგ რაიმეს თქმა და უკმაყოფილების გამოხატვა აკრძალულია? განა შესაძლებელია, მათ არ იცოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკა საგანგებო კომისიის დახშული საკნებით, საპყრობილით, გადასახლებით და დახვრეტით ისჯება? განა შესაძლებელია ასეთ პირობებში, როცა საგანგებო კომისია ნიადაგ გამზადებულია, მუშათა გამოკითხვის გზით გაიგო მათი გულწრფელად ნათქვამი, მათი გულის დარდი? თუ მათ ეს დღემდეც არ იციან და აქედან იმ შთაბეჭდილებით წასულან, რომ ამ გზით საბჭოთა ქვეყანაში შეიძლება სიმართლის შეტყობა, მაშინ მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ იმ ქვეყანაზე, სადაც ბოლშევიკთა პოლიციური დიქტატურა და ტერორია გამეფებული...

ეტყობა, თბილისის ქუჩებში გა[…]ულმა დიდმა დემონსტრაციებმა […]ლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს პერსელის დელეგაციაზე... მაგრამ სავსებით საკმარისია გადახედოთ იმდროინდელ გაზეთებს და გაიგებთ, რომ ეს დემონსტრაციები მთავრობისა და პროფკავშირების ბრძანებით გამართულა. **დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კომუნისტები ბუტაფორიულ ხერხებს ნაჩვევი ხალხია,** ამასთან ასეთ ხერხს დიდ მნიშვნელობას ის მიანიჭებს, ვისაც კომუნისტურ რეჟიმზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს. დემონსტრაციები სავალდებულოდ არის გამოცხადებული. თითოეული მუშა თუ მოსამსახურე მოვალეა მონაწილეობდეს დემონსტრაციაში და თუ არ გამოცხადდება, უკეთეს შემთხვევაში ამ მუშას თუ მოსამსახურეს სამსახურიდან დაითხოვენ.

მუშათა კლასს გულწრფელად ეგონა, რომ დელეგაცია მართლა მუშებსა და გლეხებთან ჩამოდიოდა და, თუმცა ერთობ ძნელია, მაგრამ მაინც რაღაცას შეიტყობდა საქართველოს მშრომელი ხალხის ავ-კარგზე. თუ მათ ამის არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ ევროპის მუშათა წარმომადგენლები (ოღონდ უმცირესობა) ასე აშკარად დადგებოდნენ წითელ იმპერიალისტ მკვლელთა საოკუპაციო ხელისუფლების მხარეზე, თუმცა შეეძლოთ დაემტკიცებინათ, რომ საქართველო ოკუპირებულია, რომ აქ ჩვენს ხალხზე მოსკოვის პოლიტიკური რეჟიმი, დიქტატურა ბატონობს, მოსპობილია თავისუფლება, გაანადგურეს 4000 მუშა, გლეხი, ძველი სოციალისტ-რევოლუციონერები, უსამართლოდ დახვრიტეს ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე წლობით და თვეობით ჰყავდათ დაპატიმრებული შარშან აგვისტოს აჯანყების დროს... ამიტომ მათ შეუძლიათ ამ დელეგაციებს მოუსპონ ის მცირედი ნდობა, რომლითაც აქამდე სარგებლობდნენ, რამეთუ მათ ყოვლად წარმოუდგენელი უმეცრებით მხარი დაუჭირეს მუშათა ჯალათებს და საქართველოს ოკუპაციას.

ვიმეორებთ: წინა დელეგაციებმა ცნობები ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის მდგომარეობაზე საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლებისაგან მიიღეს და წმინდა წყლის სიმართლედ მიიჩნიეს. ეს მათ თავიანთი უზრუნველობის გამო აღიარეს, ანდა თვალი დახუჭეს, რომ არ დაენახათ ის, რაც ჭეშმარიტია. განა შესაძლებელია, რომ რომელიმე მთავრობას ან პარტიას ეთქვას, დავიმორჩილე ეს ხალხი, მოვუსპე მას თავისუფლება და დამორჩილებული ქვეყანა კოლონიად გადავაქციე და ა. შ...

ჩვენ გაუწყებთ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მისწრაფებებს და აზრებს, თუ ამ ხალხს საშუალება არა აქვს მოვიდეს თქვენთან და გაგაცნოთ თავისი ცხოვრება; გითხრათ, თუ როგორ ატყუებდნენ კომუნისტები თქვენზე წინ ჩამოსულ სტუმრებს... კმაყოფილი არიან თუ არა ქართველი მუშები ახლანდელი რეჟიმით, სრული სიმშვიდე სუფევს თუ არა ახლა თბილისში და ყველაფერი წესრიგშია თუ არა...

... გაინტერესებთ სიმართლე საქართველოზე? სწორედ ამ სიმართლეს გაწვდით საიდუმლოდ საქართველოს მუშათა კლასი, ამასთან მოვალე ხართ გაითვალისწინოთ და შეაფასოთ იგი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პროლეტარიატის ხმას მიაწვდით ჩვენს ძმებს — გერმანიის მუშათა კლასს და მთელ პროლეტარიატს. თუ თქვენ ყველა არა, იქნებ რომელიმე თქვენგანი გულწრფელი აღმოჩნდეს და ეს ცნობა არ დარჩეს მდუმარედ და გაუგებლად.

1) 1921 წელს რუსეთმა ხელთ იგდო საქართველო, რომელიც დღემდე ატარებს მის უღელს. ეს ფაქტი ყველამ აღიარა, მოსკოვიც კი არ უარყოფს ჩვენი ქვეყნის დაპყრობას.

2) ქართველი ხალხი ვერ ურიგდება თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვას. მან ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა საოკუპაციო ხელისუფლებას. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება და კვლავაც არ შესუსტდება, გაძლიერდება კიდეც.

3) ოკუპაციას ებრძვის მუშათა კლასი და გლეხობა. ეს უკანასკნელი ვერ შერიგებია ეროვნების, კულტურული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას და სულ უბრალო თავისუფლების (პრესის, კრების, კავშირების, სიტყვის, სინდისის, რწმენის თავისუფლების) მოსპობას.

4) ეკონომიკურად საქართველო რუსეთის კოლონიაა. რუსეთს ამ ქვეყნიდან გააქვს ბუნებრივი სიმდიდრე... და არ აძლევს მას უცხოეთის ბაზარზე გასვლის საშუალებას. რუსეთმა ეს ქვეყანა გადააქცია თავისი საარაკო და გაუსავლიანი ქონების რეალიზაციის ადგილად.

5) ოკუპანტებმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაასუსტეს; მათ საქართველოს ჩამოაცილეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მისი უმდიდრესი ნაწილები: ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ყაზახი, ლორე-ზამბაკი და არდაგანი. ეს ტერიტორიები ოკუპანტებმა სომხეთს, თურქეთს და აზერბაიჯანს აჩუქეს. ოკუპანტები დაგიწყებენ მტკიცებას, დაპყრობის მერე ქართული კულტურა გაიფურჩქნაო. რა თქმა უნდა, ეს თავიდან ბოლომდე სიცრუეა... დამპყრობლებმა მას ვერაფერი შემატეს, პირიქით. ოფიციალურად ისინი ზრდიან სკოლებისა თუ სხვა სასწავლებლების რაოდენობას, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ხდება. ისინი თვითონაც არ უარყოფენ, რომ დაწყებით სკოლებში სწავლება მხოლოდ სანახევროა. დამპყრობლები ოფიციალურად მხოლოდ ქართულ კულტურას უჭერენ მხარს, რათა უცხოელებს აჩვენონ, აი, რას ვაკეთებთ საქართველოსთვისო. მოსკოვი ძველ მეფის პოლიტიკას განაგრძობს...

7) ნაციონალიზაცია მთლიანად დღემდე არ გატარებულა ყველა დაწესებულებაში, თუმცა ამაზე დამპყრობლები ყველგან გაჰყვირიან. ამის მიზეზი ის არის, რომ დაწესებულებები სავსეა უცხო ელემენტებით. ქართველების რაოდენობა სულ უმნიშვნელოა. სამსახურში მიღების დროს უცხოტომელი კომუნისტები დიდი უპირატესობით სარგებლობენ უპარტიო ქართველების წინაშე. ქართველი ინტელიგენცია, ისევე, როგორც მთელი ხალხი, კანონგარეშეა. ხალხზე გაბატონებულან ნაძირალები.

8) ჩვენი მშრომელი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ჩვენს პარტიას ეკუთვნის. მოწინავე მებრძოლებს — ძველ გამოჩენილ რევოლუციონერ მუშებს და გლეხებს რუსეთში ასახლებენ ან საგანგებო კომისიასა და ციხეში ამწყვდევენ იმის გამო, რომ საქართველოს დაპყრობას ვერ შერიგებიან და პოლიტიკურ დიქტატურას ებრძვიან.

9) კომუნისტები ანტიკომუნისტებს ტერორით, რუსეთს გასახლებით. ბნელი საკნებით და დახვრეტებით ებრძვიან. ამის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტი გვაქვს, რომლებსაც თვით ბოლშევიკები ვერ მალავენ.

10) თუ რამდენად კმაყოფილია ქართველი მშრომელი ხალხი საოკუპაციო რეჟიმით, ეს ცხადყო შარშანდელი აგვისტოს დიდმა აჯანყებამ საქართველოში. ასეთ პოპულარულ, დიდ, ნამდვილ მუშურ-გლეხურ აჯანყებას ძნელად შეხვდებით რევოლუციის ისტორიაში. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აჯანყების პოპულარულ ხასიათზე ისიც მეტყველებს, რომ აჯანყების დროს მოკლეს ან დახვრიტეს 4000 ქართველი, რომელთა 90% მუშები და გლეხები იყვნენ. ეს ცნობები საგანგებო კომისიასაც აქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გაჩვენებენ (ეს ცნობები მოყვანილია აგრეთვე პერსელის პატაკებში, რომელიც გამოქვეყნებულია აპრილის №7 „სოციალისტიჩესკიე იზვესტიაში").

11) საგანგებო კომისიის საკნებში აქამდე გრძელდება პატიმართა ცემა და წამება, რათა მათ გასცენ თავიანთი ორგანიზაციები და ამხანაგები. ხშირად ხდება, რომ პატიმარი გონებას კარგავს ან უკურნებელი სენით (ეპილეფსიით) ავადდება. საგანგებო კომისიასთან შედარებით ციხეში პატიმარი თავს ისე გრძნობს, როგორც სამოთხეში. ჩვენს „სოციალისტურ" ქვეყანაში 10 კაცი რომ მოკლა, ისე მკაცრად არ დაგსჯიან, როგორც ანტიკომუნისტური თუ მენშევიკური პარტიის წევრობისათვის. ერთი სიტყვით, საგანგებო კომისიის ინკვიზიცია აჭარბებს შუა საუკუნეების ინკვიზიციას.

12) უმუშევრობა, მეტადრე ქართველ მუშა-მოსამსახურეთა უმუშევრობა, დღითიდღე მატულობს, ეს კი ჩვენს მშრომელ ხალხს პოლიტიკური გადაგვარების საფრთხეს უქმნის. მთავრობას საშუალება არა აქვს დაეხმაროს უმუშევრებს, რადგან ხალხის დოვლათი არ ეყოფა კომუნისტურ პროპაგანდის და საგანგებო კომისიას, რომელსაც აგენტები ათასობით ჰყავს. ამას უნდა დაემატოს, რომ ხაზინის ფულის გაფლანგვა ბოლშევიკთა ბიუროკრატებს მანიად ექცათ. ასეთ პირობებში დახმარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

13) გლეხობას ისევე დიდ გადასახადებს სთხოვენ. ამას ერთვის ადმინისტრაციისა და კომკავშირის თავხედობა. კომუნისტების მიერ ადრე მოშლილ ეკლესიებს გლეხობა დიდი გაჭირვებით აღადგენს. აჯანყების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობას ეკლესიები დაუბრუნა, მაგრამ დანაპირები დანაპირებად დარჩა. ორი თვის წინათ შორაპნის მაზრაში კომუნისტებმა ღამით ორი ეკლესია დაუწვეს გლეხებს.

14) ამ ბოლო დროს საოკუპაციო ხელისუფლებს სურთ თავს დაესხან ქართულ უნივერსიტეტს. მათ განუზრახავთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მეცნიერთა მაგივრად გაუნათლებელ კომუნისტებს გადასცენ. მისაღებთა რაოდენობა 60%-მდე შეამცირეს. უნივერსიტეტში სტუდენტებს მეტწილად კომუნისტთა თავდებობით იღებენ.

15) მასწავლებლობას პოლიტიკურად დევნიან, არადა, ხელფასი წინანდელი ხელფასის 10%-ს ძლივს აღწევს.

16) კომუნისტები ალბათ გიამბობენ ანტიკომუნისტური პარტიების გახრწნა-დაშლაზე. მაგრამ თუ ამით დაინტერესდით, ჩვენ მოგაწვდით ცნობებს, თუ როგორ ახდენენ ისინი პარტიების ასეთ დაშლას: მოაწყობენ მასობრივ დაპატიმრებებს, აავსებენ ციხის და საქართველოს საგანგებო კომისიის საკნებს, გამოაქვეყნებენ გასასახლებელთა სიებს და შესთავაზებენ: მოგვეცი ვალდებულება, რომ თქვენი პარტია მიატოვეთ, თორემ ყინულოვან მხარეში გაგისტუმრებთო. ამავე დროისათვის შეხვედრას უნიშნავენ ნათესავებს, რათა ამ უკანასკნელებმა დაიყოლიონ ამაზე.

ჯალათებმა ასეთი სადისტური მეთოდით უამრავი ვალდებულება შეაგროვეს და შემდეგ გაზეთში გამოაქვეყნეს, მენშევიკთა პარტია გაიხრწნაო და სხვ. სამი წელია ასე იქცევიან ბოლშევიკები, მაგრამ აგვისტოს აჯანყებამ მათ უჩვენა, რომ სინამდვილეში ანტიკომუნისტური პარტიის არც ერთ წევრს თავისი პარტია არ მიუტოვებია, თუმცა კი ბევრი ხელმოწერაა შეგროვილი. კომუნისტებმა ანტიკომუნისტურ პარტიათა კონფერენციაც მოიწვიეს. მაგალითად, სიებით საგანგებო კომისიიდან გამოიძახეს პარტიათა წევრები. იქ პარტიის დაშლის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ მოღალატეები (ასეთებს რა გამოლევს რომელიც გნებავთ პარტიაში) ან პროვოკატორები, როგორც ეს სინამდვილეში აღმოჩნდა...

**...ეს ყველაფერი ძნელი დასაჯერებელია, რადგან ევროპელი მუშა ვერც კი წარმოიდგენს, სადამდე შეუძლია დაცემა კომუნისტურ პარტიებს. ასეთი ხერხებით ებრძვიან ანტიკომუნისტებს. მაგრამ ეს სიმართლეა და თუ სურვილი გაქვთ, შეიძლება ამის დამტკიცება. აი კიდევ [illegible] ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს როგორ ირღვევა ანტიკომუნისტური წრე.** შარშან მთავრობას მოუნდა კომუნისტების სასარგებლო მწერალთა დეკლარაცია. ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა ლომინაძემ გამოიძახა რამდენიმე მწერალი და წინადადება მისცა, ყველა მწერალი ასეთი დეკლარაციით გამოცხადდეს, თორემ ლუკმაპური აღარ ექნებათო. **მწერლებმა შიშით ხელი მოაწერეს საგანგებო კომისიაში შედგენილ დეკლარაციას, რომლითაც აცხადებდნენ, საბჭოთა პლატფორმას ვაღიარებთო და ა. შ. მაგრამ საოცარი ის არის, თუ როგორ აღმოაჩინეს ეს შემდეგ. ერთ-ერთი ამ მწერალთაგანი პარტიული კომიტეტის წევრია (მიხ. ბოჭორიშვილი, მწერალთა კავშირის ყოფილი მდივანი). ჩვენ ვბედავთ, გულწრფელია თუ არა ასეთი დეკლარაციები, ღირს თუ არა ისინი რაიმედ, თუ კომუნისტების შედგენილია და ტერორიზებული კაცის ხელმოწერილი. ეს დეკლარაციები ყალბი დოკუმენტებია და არა ის, რასაც კომუნისტები ეძებენ. ამაზე მეტს აღარ ვილაპარაკებთ. ზემონათქვამიდან ნათლად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მყარ ნიადაგზე დგას თუ არა საოკუპაციო ხელისუფლება და მოიპოვა თუ არა მან ქართველი მშრომელი ხალხის ნდობა.**

... გადაჭრით გეუბნებით, რომ ქართველი ხალხი ვერ იგუებს ამ ხელისუფლებას (შემოყვანილს საქართველოში რუსის ხიშტით და დღემდე ამ ხიშტებზე დაყრდნობით მოარსებეს **აგვისტოს აჯანყება რუსის ხიშტითაა ჩახშობილი**), როგორც თავის მოსისხლე მტერს და ჩვენი ხალხის მთავარი ამოცანაა ქვეყნის გათავისუფლება ამ მტრისგან და დამოუკიდებლობის აღდგენა...

**ამიტომ საერთაშორისო პროლეტარიატს ერთხელ კიდევ ვაუწყებთ, რომ საქართველოს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და არც შეწყვეტენ, ვიდრე ოკუპაციისა და ბორკილებისაგან არ გათავისუფლდებიან. ქართველი ხალხი წინათაც იბრძოდა და ახლაც იბრძვის თავისი თვითგამორკვევის უფლებისათვის, ხოლო საერთაშორისო პროლეტარიატს ამჟამად ძალუძს მიანიჭოს მას ეს უფლებები. ქართველ მუშებს აოცებს, რომ სოციალისტურ წრეებში აქა-იქ (თუმცა მარტოოდენ ნაწილი) ლაპარაკობენ ბოლშევიკებთან კავშირის შესახებ და თანაც სწორედ ახლა, როცა ბოლშევიკებმა ფეხქვეშ გათელეს სოციალიზმის და თვითგამორკვევის პრინციპები.**

**... თუ სიმართლე გაინტერესებთ, აი, ეს არის სიმართლე. ყურად იღეთ ხმა ქართველი მშრომელი ხალხისა. დამპყრობლები საკუთარი თავის წინააღმდეგ არაფერს იტყვიან. მეტს ამაზე აღარ ვილაპარაკებთ. და თუ ზემონათქვამი არ გჯერათ (არც იმას მოვითხოვთ, რომ ბრმად დაგვიჯეროთ), დავძენთ: თქვენ და მთელ ხალხს — პროლეტარიატს გაინტერესებთ საქართველოს მშრომელი ხალხის ბედ-იღბალი: ცნობს თუ არა ეს ხალხი საოკუპაციო ხელისუფლებას, ურიგდება თუ არა იგი საბჭოთა წყობილებას და დიქტატურას. ამიტომ მოდით აქ და ჩვენ განვუცხადებთ მთელ პროლეტარიატს: შექმენით საერთაშორისო კომისია, რომელშიც შევლენ კომინტერნის წარმომადგენლები, აგრეთვე ლონდონის სოციალისტური და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლები. ამ კომისიის წარმომადგენლად დარჩენა შეუძლია იმავე პერსელს. საქართველოში ნამყოფ დელეგაციის წევრებს, რომლებსაც შესწავლილი აქვთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ამ კომისიაში. მუშათა გამოკითხვა კომისიის მეთვალყურეობით უნდა ხდებოდეს ფარული კენჭისყრით. (კონსტიტუცია ხომ ანიჭებს მშრომელებს საარჩევნო უფლებას) და თუ ამ მუშათა ერთი მესამედი ხმას მისცემს კომუნისტთა საოკუპაციო ხელისუფლებას, ჩვენ მზად ვართ დავთმოთ ბრძოლის ველი და ვითანამშრომლოთ ჩვენს დღევანდელ მტრებთან. ამ წინადადებით ორი წლის წინათ მივმართეთ ჩვენს დამპყრობლებს და ახლაც იმასვე ვიმეორებთ.**

**... ეს ის სწორი შესაძლებლობაა, რომლის მეშვეობითაც ძალგიძთ თქვენ ჭეშმარიტების შეტყობა. ამხანაგებო! ამით დავამთავრებთ, მეტის თქმა აღარ შეგვიძლია. ვიმედოვნებთ, ეგებ თქვენმა ნაწილმა ანგარიში გაუწიოს ზემონათქვამს და ყურად იღოს სულის შემძვრელი გოდება საქართველოს მშრომელი ხალხისა.**

# ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე

მწერლის არქივიდან

## კობა იმედაშვილი

მე ახლა აფხაზეთში გახლდით, წუხელის ჩამოვბრუნდი და ჯერ კიდევ იქაური უსიამო შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. ალბათ იცით, რომ იქ დაიწერა ვრცელი წერილი — საჩივარი საკავშირო ცეკას სახელზე, რომლის ავტორები ბევრი არსებული თუ არარსებული ნაკლოვანებების გამოსწორებასთან ერთად, მოითხოვენ აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან შეერთებას.

ამ პროვოკაციას ათასობით ადამიანი აჰყვა, ეწყობა მრავალათასიანი მიტინგები აშკარად ანტიქართული ხასიათისა, მოკლედ, გასახარელი ცოტაა. მე უსიამოდ გამაოცა იმ ერთსულოვნებამ, რაც გამოავლინეს აფხაზებმა თავისი მცდარი მიზნების მიღწევაში.

მე არ ვიცი რამდენად ერთსულოვანნი და მტკიცენი ვიქნებით ჩვენ არა მცდარი მიზნების მიღწევაში, არა სხვა რომელიმე ერის უფლებათა უგულვებელყოფაში, არამედ ჩვენი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაცვაში.

დღეს ჩვენ ვიხილავთ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტს. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მოქმედი კონსტიტუციისაგან. ზოგ შემთხვევაში ამ განსხვავებებმა ასახეს რეალური მდგომარეობა. მაგალითისათვის დავასახელებ თუნდაც პიროვნების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის საკითხს, საკითხს ქართული სამხედრო გაერთიანებებისა და ა. შ.

ალბათ გახსოვთ, რომ ბოლო ქართული დივიზია 1956 წელს დაშალეს, თუმცაღა, კონსტიტუციაში მაშინ შესაბამისი ცვლილება არ შეუტანიათ. მოკლედ, ხდება დაკანონება არსებული ფაქტისა.

ახალი კონსტიტუციის პროექტში არის სხვა სიახლენიც, შეიძლება კამათი ამა თუ იმ მუხლის შესახებ, მთლიანად თუ ნაწილობრივ მისი გაზიარება ან უარყოფა. ყველას ყველაფერი ვერ მოეწონება. მაგრამ ყოველივე ამის გვერდით არის საკითხი, რომელიც არც უნდა გამხდარიყო საკამათო.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის უარყოფაზე მოგახსენებთ, რამაც ახალი კონსტიტუციის თითქოს მეორეხარისხოვან ცვლილებებს საკმაოდ დამაფიქრებელი აზრი მისცა.

მოქმედი კონსტიტუციის შოვნა ახლა ძნელია (ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგალითად, არ არის), ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ გაგახსენოთ მისი XIII თავის — „ენა, გერბი, დროშა და დედაქალაქი“ 156-ე მუხლი, რომელშიც წერია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა, როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში“.

შემდეგ ამას მოჰყვება 157-ე და 158-ე მუხლები, რომლებშიც დაკონკრეტებულია ქართული ენის ოფიციალური გამოყენების საზღვრები.

ახალი კონსტიტუციის პროექტში, მოგეხსენებათ, საერთოდ უარია ნათქვამი ისეთ ცნებაზე, როგორიც „სახელმწიფო ენაა“. ყოველივე ამას ოფიციალური პირნი სხვადასხვა მოტივით ამართლებენ. ვლადიმერ ლენინის სახელიც კი მოიშველიეს, კაცისა, რომლის დროსაც შეტანილ იქნა სწორედ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში „სახელმწიფო ენის“ ცნება. იმასაც ამბობენ, რომ რუსული ენა „სახელმწიფო ენად“ არ არისო გამოყოფილი არც საბჭოთა კავშირისა და არც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში. მაგრამ იმაზე კი დუმან, რომ თავის დროზე ლენინი რუსული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს დაუპირისპირდა იმიტომ, რომ ეს ენა ხალხთა დაპყრობის იარაღად გამოიყენებოდა რუსეთის იმპერიაში. იმაზე დუმან, რომ დღეს რუსული ენა არამხოლოდ რესპუბლიკათაშორისი ურთიერთობის ენა გახლავთ, არამედ საკავშირო მასშტაბით სახელმწიფო და პარტიული აპარატის ენა, საბჭოთა არმიის ენა, უცხოეთთან ოფიციალური ურთიერთობის ენა, და ბოლოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი სამუშაო ენაც. ამაზე მეტი ფუნქციები ენისთვის წარმოუდგენელია, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკისთვის ჰქონდეს ქართულს ამ ფუნქციათა ნახევარი და მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ისიც ხომ სათქმელია, რომ რუსული ენა ჩვენთვის ფაქტიურად მეორე საურთიერთობო ენაა? განა პროექტის მიხედვით საქართველოს გერბზე ქართული წარწერის გვერდით, რუსულის გამოჩენა ამ ფაქტს არ უსვამს ხაზს და არ აკანონებს ორენოვნებას? ასე რომ, რუსულ ენას არაფერი ემუქრება. მეტიც, 1970 წლისათვის საბჭოთა კავშირში არარუსი ერების წარმომადგენელნი, რომელთაც დედაენად რუსული მიიჩნიეს, 18 მილიონს აღწევდა, ანუ მთელი მოსახლეობის ათ პროცენტზე მეტს. თანაც ამ რიცხვს ზრდის ტენდენცია ახასიათებს (1926 წ. — 6,5 მილიონი, 1959 წ. — 10 მილიონი, 1970 წ. — 13 მილიონი).

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს ზოგჯერ საკმაოდ ავტორიტეტული დაწესებულებანი თუ პიროვნებანი უწყობენ შეგნებულად ხელს.

ბატონო დევი,* საქართველოს მწერალთა ყრილობაზე უკვე ითქვა, რომ უმაღლესი საატესტაციო კომისიის ახალი დებულება დისკრიმინაციული ხასიათისაა, რადგან თხოულობს დაცული დისერტაციის მასალებისა და თვით დისერტაციის მთლიანად რუსულად გადათარგმნასა და გადაგზავნას კომისიაში თხუთმეტი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაცვა ანულირებული იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისერტაცია ან უნდა დაწერო და დაიცვა რუსულად, ან მთარგმნელი დაიხმარო საკმაოდ დიდი მასალის სათარგმნელად. დღეს ჩვენ მეორე გზას ვარჩევთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მატერიალურად საკმაოდ საზარალოა, მაგრამ რა იქნება ხვალ და ზეგ? ეს ხომ ენების ის დისკრიმინაციაა, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი სამწუხაროდ ვერ დაუპირისპირდა?

საქართველოს მწერალთა ბოლო ყრილობაზე რევაზ ჯაფარიძემ ილაპარაკა ყოველივე ამის შესახებ. მაშინ იგი დატუქსეს. დღეს მისი ნათქვამი წინასწარმეტყველურად ჩანს.

ეტყობა, ზოგისთვის ორენოვნებაც არაა საკმარისი, ყველამ ერთ ენაზე უნდა ილაპარაკოს — რუსულად.

მცირე ერების ენებს დიაღაც რომ სჭირდება ფორმალურადაც და რეალურადაც სახელმწიფოებრივ სტატუსში აყვანა არა ვინმეს დაჩაგვრისათვის, არამედ თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. ბოლოსდაბოლოს, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია ხომ აკანონებს „სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებას“ (მუხლი 19)?

ამიტომ არამხოლოდ საქართველოს ახალ კონსტიტუციაში უნდა დარჩეს მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ, არამედ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებშიც უნდა იქნეს შეტანილი ანალოგიური ფორმულირება. საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის ავტორებმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იციან ყოველივე ის, რაც მე მოგახსენეთ, მაგრამ მათ მაინც მოინდომეს მოქმედი კონსტიტუციის ამ პრინციპული მუხლის შეცვლა.

რას გვთავაზობენ სანაცვლოდ ახალი კონსტიტუციის პროექტის ავტორები? წინააღმდეგობრივსა და არაფრისმთქმელ 75-ე მუხლს:

„საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

ამ სამი აბზაციდან პირველი და მესამე ერთმანეთს ეწინააღმდეგება: თუ „რაიმე პრივილეგიები“ „არ დაიშვება“, რატომ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ გამოყოფილად „ქართული ენის განვითარებაზე“, რატომაა გამოყოფილი შემდეგ სხვა ენებისგან რუსული ენა? მეორე აბზაცი კი ქმნის ენობრივი ქაოსის სიტუაციას: გაუგებარია, რა ენაზე იმუშავებს სახელმწიფო თუ პარტიული დაწესებულებანი (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლავე უკვე რუსულ ენაზე მუშაობს), დაწყებითი, საშუალო თუ უმაღლესი სკოლა, რა ენაზე იწარმოებს ძირითადად რადიო და ტელეგადაცემები. საქართველოში ორმოცზე მეტი ეროვნება ცხოვრობს და როგორ მოვიქცეთ, გავხსნათ ორმოცი უნივერსიტეტი, ორმოცი თეატრი, ორმოცი გამომცემლობა და ორმოც ენაზე ველაპარაკოთ ერთმანეთს — ვინც რაზე მოისურვებს? მოკლედ, ახალი მუხლი რეალურ საფრთხეს უქმნის სახელმწიფო აპარატის, კულტურულ დაწესებულებათა, სავაჭრო ორგანიზაციათა და ა. შ. ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა გამოსავალი ამ ქაოსიდან, ეტყობა, მაინც მოიძებნება სარესპუბლიკათაშორისო ურთიერთობის ენის — რუსული ენის გამოყენებით. მაშინ რაღა საჭიროა ქართული ენის განვითარებაზე ლაპარაკი? რისთვის უნდა განვითარდეს ენა და როგორ უნდა განვითარდეს, თუ იგი საოჯახო ურთიერთობის დონეზე დავა?

ბოლოსდაბოლოს, საქართველოში ქართული ენა რატომ არ უნდა იყოს სახელმწიფო ენა! ჩვენ დამპყრობელი ქვეყანა ხომ არა ვართ, ძალით ხომ არ შემოგვიერთებია ვინმე? ლენინის ცნობილი წერილი — «Нужны ли объязательный государственный язык!“ — რომელიც 1914 წელს დაიწერა, ჩვენს სიტუაციას კი არ გულისხმობს, იგი შავრაზმელებისა და შოვინისტების წინააღმდეგ დაიწერა, იქ რუსეთის იმპერიაზე იყო ლაპარაკი და არა საქართველოზე. ქართველებს არავინ არ დაუპყრიათ და არც იმპერია შეუქმნიათ. ჩვენ ყოველთვის გულმოწყალედ ვუღებდით კარს უცხო ტომის ლტოლვილთ. არ მოგვინდომებია ვისმეს დაევიწყებინა თავისი ენა. ჩვენ არათუ რამე მოგვემატება, არამედ აუნაზღაურებლად ბევრი დაგვაკლდება თუ სომეხი, რუსი, აფხაზი არ იარსებებს ან თავის ენაზე არ ილაპარაკებს. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკა ჰქვია, ეს კი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი არ გახლავთ, ისტორიულ-პოლიტიკური ცნებაცაა. სწორედ ამას ექმნება საშიშროება. დააკვირდით სხვა მუხლებსაც და დარწმუნდებით, მხოლოდ ერთ მუხლს გაგახსენებთ, 171-ს: „სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე“.

მოქმედ კონსტიტუციაში ეს მუხლი სხვაგვარადაა ფორმულირებული: „სასამართლო საქმეთა წარმოება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხდება ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ანდა ავტონომიური ოლქის ენაზე“.

თითქოს მხოლოდ ორი ასო შეიცვალა — „და“-ს ნაცვლად „ან“ ჩასწორდა, მაგრამ ამ ჩასწორებამ თანასწორუფლებიანობის ნაცვლად, ქართული ენა საქართველოში დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა: საქმე — საქმეზე რომ მიდგეს ახალქალაქისა და დმანისის რაიონში (სადაც თავშემოფარებული სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ) ქართველს თარჯიმანი დასჭირდება, ისე, როგორც ახლა ზოგჯერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთში სჭირდება ხოლმე. მერე ცოტა დროც გავა და იქ შესაბამისი ავტონომიური ოლქებიც ჩამოყალიბდება — სომხური და აზერბაიჯანული, რომელნიც ალბათ შეერთებასაც მოითხოვენ შესაბამის რესპუბლიკებთან. ასე, ჩვენ თვითონ, ნებაყოფლობით თუ იძულებით, კონსტიტუციურად ვუქმნით საფუძველს შემოფარებულ სტუმრებს, რომ მასპინძლის უფლებები მოითხოვონ.

171-ე მუხლში „ან“-ის ნაცვლად „და“ რომ იყოს, მაშინ ასე მწვავედ აღარ დადგებოდა საკითხი, მაგრამ ამ ცვლილებას უფრო მეტ სიმწვავეს ანიჭებს ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის უარყოფა.

სწორედ ამიტომ 75-ე მუხლი საფრთხეს უქმნის არამხოლოდ ქართულ ენას, არამედ, საერთოდ, ქართველი ერის არსებობასაც! ამდენი საუკუნის მანძილზე ქართველობა ენამ და რელიგიამ შემოინახა. დღეს ჩვენ ძირითადად ათეისტები ვართ და რელიგია ვეღარ გვაერთიანებს. ენაა არამარტო ჩვენი სულის გამოხატულება, არამედ ჩვენი ფარიც. ენა, რომლის გადარჩენასაც ამდენი ენერგია შეალიეს მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველებმა და რომლის სახელმწიფოებრივ რანგში აყვანას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

რატომ, რამ გამოიწვია იმ კონსტიტუციის ერთ-ერთი პრინციპულად აუცილებელი და ძირითადი მუხლის გაუქმება, რომლითაც ჩვენ მეგობრულად, ერთის მიზნით გამსჭვალულები ვცხოვრობდით და ვიბრძოდით, გავუძელით ომის ყველა განსაცდელსა და ომისშემდგომ ძნელ პერიოდს?.. ვინ იცის, წინ კიდევ რა გველოდება... ხომ ხედავთ, რა ხდება ჩინეთში, რა ხდება გარშემო, მსოფლიოში. მე ვფიქრობ, ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა, ეს არასაჭირო შელახვა ეროვნული თავმოყვარეობისა სახელმწიფო მასშტაბში, ბზარს დააჩენს სწორედ ხალხთა ნორმალურ ურთიერთობებს.

თუ დავაკვირდებით, 75-ე მუხლი ქართულ ენას საქართველოს სს რესპუბლიკაში თითქმის იმასვე ჰპირდება, რასაც მოქმედი კონსტიტუციის 156-ე მუხლი ჰპირდება საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს.

შეადარეთ 156-ე მუხლის: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება“... „დედაენის ხმარებისა, როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში“... და 75-ე მუხლის: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში“.

რა ხდება, განა ქართველები საქართველოში (სს) რესპუბლიკაში უკვე ეროვნულ უმცირესობად ვიქეცით?

ენის საკითხი, მოგეხსენებათ, ბევრად მეტს მოიცავს, ვიდრე კონკრეტულად ენაა. ესაა საკითხი ერის თავმოყვარეობისა, თავისთავადობის შენარჩუნებისა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და აქ ნაუცბათევი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება. ერი გაჭირვებას ითმენს, თავმოყვარეობის შელახვას — არა!

აფხაზეთით დავიწყე და აფხაზეთით დავამთავრებ.

ახლა აფხაზეთში ოთხ კლასამდე სწავლობენ აფხაზურად, მერე — რუსულად. იყო დრო, ბერიას მითითებით ქართულ სწავლებაზე გადაიყვანეს მთლიანად. ეს უდიდესი შეცდომა იყო და იმ შეცდომის შედეგებს დღეს ვიმკით. მათ ჩვენგან გამოყოფაც კი ისურვეს, თუმცა ოთხმოცი ათასამდე აფხაზს ორასიათასი ქართველისათვის არც კი უკითხავთ, სურდათ თუ არა მათ ეს გამოყოფა.

მართალია, ამ საბედისწერო შეცდომების გამოსწორებას შემდეგ დიდი ენერგია შეელია, მაგრამ როგორც ხედავთ, იმ უგუნური ნაბიჯის ექო დღესაც საკმაოდ ძლიერად ისმის.

მე არ მინდა ახლა გადაიდგას ის ნაბიჯი, რომელიც წლების და წლების მანძილზე ტკივილის ექოდ იხმიანებს ქართველი ერის ცხოვრებაში.

მე არ მინდა, რომ ქართულ ენას ოდესმე დაემუქროს რაიმე საშიშროება, ისევე, როგორც არ მინდა რომ რუსულს, სომხურს თუ აფხაზურს დაემუქროს იგი.

მე არ ვიცი, დღევანდელი მცდარი განზრახვანი რა იმპულსებს დაბადებს ქართველ ერში და ვინ იქნება ყოველივეზე პასუხისმგებელი? ნუთუ ვერ დავრწმუნდით, რომ ისტორია არაფერს არ ივიწყებს და არავის არაფერს არ პატიობს?

ამიტომ, ჩემი წინადადებაა: 1. ამოღებულ იქნას ახალი კონსტიტუციის პროექტიდან მუხლი 75.

2. დატოვებულ იქნას ძალაში და პროექტის შესაბამის ადგილას გადავიდეს მოქმედი კონსტიტუციის 156, 157, 158 მუხლები, ოღონდ დაემატოს, რომ „აფხაზეთის ასსრ-ში სახელმწიფო ენა ქართულთან ერთად არის აფხაზური“.

3. ახალი კონსტიტუციის პროექტის 171-ე მუხლი წარმოდგენილ იქნას მოქმედი კონსტიტუციის 124-ე მუხლის რედაქციით.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დადასტურებით ახალი კონსტიტუცია შესაბამისობაში მოვიდოდა საბჭოთა კავშირის მოქმედ კონსტიტუციასთან, სადაც ლაპარაკია „რესპუბლიკების ენებზე“ (იხ. მუხლი 159, 169) ლოგიკური გამართლება ექნებოდა იმ ფაქტსაც, თუ რატომ აწერია საბჭოთა კავშირის გერბსა და საქართველოს გერბს ქართულ ენაზე „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ რატომაა სამართალწარმოება ქართულ ენაზეც, რატომაა ჰიმნი ქართულად დაწერილი.

კონსტიტუციაში ისეთი მინიშნებები, ორჭოფულ სიტუაცას რომ შექმნის, დაუშვებელია. ყველაფერი უნდა ითქვას ნათლად.

ამ იურიდიულ დოკუმენტს კი სწორედ სიცხადე აკლია. მოქმედი კონსტიტუციის ნათელი დებულება მასში გაბუნდოვანებულია. დარღვეულია შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კონსტიტუციასთან. მისი მემკვიდრეობითობა. რაც მიუღებელია.

გავა წლები და ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მხოლოდ ჩვენს სინდისთან, არამედ იმ შთამომავლობასთანაც, რომელიც მხოლოდ კარგი თუ ცუდი საქმით გაგვიხსენებს. სწორედ ამიტომ ჩვენ არა გვაქვს უფლება დღეს უკმაყოფილო, მაგრამ უტყვი მოწმის როლში ვიყოთ. აქ ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე უნდა ითქვას — რა გვაწუხებს, რა გვსურს, რას ვფიქრობთ.

ბოლოსდაბოლოს, ერისთვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა გადასაჭრელი და ჩვენ არა გვაქვს გაჩუმების უფლება. ჩვენს სათქმელს და ჩვენი ინსტიტუტის სათქმელს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სათქმელს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე უნდა იდგეს, სხვა ვერვინ იტყვის!

სიტყვა, თქმული ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ღია პარტიულ კრებაზე 1978 წლის 5 აპრილს.

* სხდომას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი მდივანი იდეოლოგიის დარგში დევი სტურუა — კ. ი.

# შეართებულო შენიშვნათა გამო

(პასუხად ბ-ნ რევაზ თვარაძეს)

კორნელი დანელია

„ლიტერატურული საქართველოს" ა. წ. 22 მარტის ნომერში დაიბეჭდა მწერალ რევაზ თვარაძის ვრცელი წერილი მეტად შემაშფოთებელი სათაურით: „რას სჩადიხართ, ბატონებო?!" სიტუაციის გასამძაფრებლად მას ქვესათაურად ახლავს ასევე ავის მომასწავებელი ცნობა „ერთი უაზრო ექსპერიმენტის თაობაზე, ანუ წინასაინფარქტო მდგომარეობიდან — ინფარქტისაკენ". ძნელია იმის თქმა, ვინ როგორ აღიქვა ეს წერილი, მე კი პირადად ის წარმომიჩნდა, როგორც წინასაგამოცდო დაძაბული ვითარების შეგნებულად დრამატიზაციის მცდელობა, რათა, პირველ ყოვლისა, მე, შემდეგ უნივერსიტეტის რექტორატი და რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო სახელმწიფო დამნაშავეებად წარმოვჩნდეთ. მაგრამ მძაფრი ქარბორბალა არსებითად ჩემს თავზე ტრიალებს, როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის ახალი მოდელის ერთ-ერთ ავტორზე. ოპონენტის დაუფარავი სურვილია, რაღაც უნდა დაუჯდეს (დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით), დააჯეროს საზოგადოება ამ მოდელის უვარგისობაში და თითქოს ამით ათასობით აბიტურიენტი და მათი მშობლები დაიხსნას სტრესისა და მოსალოდნელი ინფარქტისაგან.

კარგი, ბატონო. ვიყო მე დამნაშავე და პატივცემული ოპონენტი — ბრალმდებელი. ვიკამათოთ საქმის-ჭეშმარიტოდ. ოღონდ ერთი პირობით: ორთავეს უზენაესი მსაჯული იყოს ხინდისი. გულწრფელად ვამბობ: ასეთი არაპროფესიული, ტენდენციური და აუგანზრახვითი წერილის ავტორი სხვა რიგითი მკითხველი ან სპეციალისტი რომ ყოფილიყო, პასუხის გაცემას წყლის ნაყვად ჩავთვლიდი. მაგრამ არ შემიძლია გულგრილი ვიყო იმ წერილის მიმართ, რომლის ავტორია მწერალი, მთარგმნელი და მეცნიერი ბ-ნი რევაზ თვარაძე და რომლის სიტყვას მავანისაზე მეტი რეზონანსი აქვს. ჩემგან დუმილი იმიტომაც არ ეგების, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აშკარა დეზინფორმაციასთან, რომელმაც შეიძლება ისედაც ათასი რამით უკმაყოფილო და აღელვებულ საზოგადოებას ზედმეტად კიდევ უფრო მტკივნეულად დაუძაბოს ნერვები. არადა, ძნელია მშვიდად იყვნენ ათასობით აბიტურიენტი და მათი გულშემატკივარნი, როცა მომავალი წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში „უაზრო ექსპერიმენტის" გამო მასობრივი ინფარქტის მომასწავებლადაა მიჩნეული. წერილში ვკითხულობთ: „რა ამბავი ტრიალებს ქალაქში, რა პანიკაა, რა თავის ქელა?!" მერედა, რატომ? იმიტომ, რომ წერითი გამოცდის ახალი მოდელით „ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს გადაუწყვეტიათ, „წინასაინფარქტო მდგომარეობა არ კმარა, ინფარქტი, ინფარქტი უნდა დავმართოთ იმ არამზადებსო". მჯერა, ამას სერიოზულ განცხადებად არ მიიჩნევს მკითხველი, თუმცა, სამწუხაროდ, მისი ავტორი სერიოზული სწავლული გახლავთ. ვერც იმას ირწმუნებს კაცი, რომ ხუთი თვის წინ დაბეჭდილ ჩემს სადისკუსიო წერილს ისეთი ძლიერი შოკი გამოეწვიოს საზოგადოებაში, რომ პარალიზებული ქართველობა გვიანობამდე ვერ მოსულიყო გონს. მართალია, არეული დრო კია, მაგრამ ყალბი პათეტიკა არც ახლა გადის. ამიტომ მეეჭვება, ვინმემ დაიჯეროს, რომ ოდენ ქართველების ჩვევა იყოს რაიმე საკითხის ნაჩქარევად, პაიპარად გადაწყვეტა, რომელიც თითქოს რატომღაც სხვაზე მეტად ორ ფაქტში გამოვლენილა: დიდი ხნის წინათ, რომელიღაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწე (ვისაც ვინ უნდა, ის იგულისხმოს) ნაჩქარევად დარწმუნებულა, რომ საქართველოს ურუსეთოდ არ გაეძლებაო, და მას შემდეგ არსმენილი უბედურება დასტეხია თავს ჩვენს ქვეყანას. ახლახან ისევ ნაჩქარევად მიუღიათ გადაწყვეტილება, ოღონდ უკვე თბილისის უნივერსიტეტის მესვეურთ, რომ წერითი გამოცდის არსებული მოდელი შეეცვალათ „ყოვლად უაზრო ექსპერიმენტით". შეუძლებელია ამ ორ ფაქტს არა თუ ლოგიკური, არამედ, საერთოდ რაიმე კავშირი ჰქონდეს ერთმანეთთან,

მაგრამ თუ ორივე ქართველთა დაუკვირვებელი მოქმედების ნიმუშად სახელდება, მხოლოდ იმიტომ, რომ წინასაგამოცდო ვითარება ავის მომასწავებლად წარმოჩნდეს ასეთი პარალელით: როგორც რუსეთთან ნაჩქარევად შეერთებამ დაღუპა საქართველო, ასევე წერითი გამოცდის ნაჩქარევად მიღებული ახალი მოდელი დაღუპავს უქადის საქართველოსო.

მართლა ასეა, ცხადია, ბატონმა რევაზმა კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ როგორც არასპეციალისტი (ვგულისხმობთ განათლების სისტემისას), მაგრამ მწერალი სიტუაციის ჰიპერბოლიზაციას მიმართავს, რომ ეფექტურად აამხედროს საზოგადოებრივი აზრი წერითი გამოცდის ასეთი მოდელის წინააღმდეგ და, თუ მაინც ძველებურად ჩატარდება გამოცდები, უნივერსიტეტის მესვეურთ სრული მარცხი უწინასწარ-

გარდაქმნას ისე მუშაობა, რომ მომავალ აბიტურიენტს მისცეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად საჭირო აუცილებელი ცოდნა, და შემდეგ ამის კვალობაზე ამაღლდეს მისაღებ გამოცდაზე მომთხოვნელობა. ეს თავისთავად სწორი აზრი კარგა ხანია ტრიალებს საზოგადოებაში, ათას ლონისძიებას ლებულობენ, მაგრამ საქმეს საშველი არ ადგას და, თუ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა, არც დაადგება საშველი. ამიტომ ვფიქრობთ: თუ უმაღლესი სასწავლებელი მისაღებ გამოცდაზე აამაღლებს მომთხოვნელობას და აბიტურიენტს დაავალდებულებს საპროგრამო მასალის არა ტრაფარეტულ, „დაშპარგალკებულ", არამედ რეალური, გააზრებული ცოდნის გამომჟღავნებას, სკოლაც შეეცდება მოსწავლეთათვის ასეთი ცოდნის მიცემას და აბიტურიენტიც შეეცდება

ნისტროს ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის რექტორატი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და მისი დეკანი ერთმანეთთან ბოროტი განზრახვით შეკრულან, რომ მსტოვრულად ჩაუსაფრდნენ ახალგაზრდებს და გამოცდებზე კისერი მოატეხინონ. დაიჯერებს ვინმე ამას?!

ცხადია, ახალი მოდელი პანაცეა არ არის დღეს არსებული დეფორმირებული საგამოცდო სისტემისა და არც იდეალურად სრულყოფილი. ამიტომ იყო ის უკვე თითქმის ორი წელია სამსჯავროდ გამოტანილი ფართო საზოგადოებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში წელსაც მესამედ ჩატარდება არა ტრადიციული თემებით, არამედ ტესტებით, რაზეც საზოგადოების უარყოფითი რე-

მეტყველოს ასეთი ნიშნისმიგებითი და მუქარაგარეული სიტყვებით: დღევანდელი პანიკის „ნაყოფს რომ მოისთვლით, მაშინ ვნახოთ კიდევ!" ან: „წერითი გამოცდის ახალი მოდელი რომ მიგიყვანთ, იმ ტაძრისკენ თქვენმა და ჩემმა მტერმა იაროს!" როგორ არ მინდა, რომ ამას მუქარა ვუწოდო, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს: ასეთმა განცხადებამ ისედაც აფორიაქებული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ხომ შეიძლება მართლაც „გაუთვალისწინებელი შედეგები" გამოიწვიოს, ბრბოს ფსიქოზის გამღვივებლის როლი შეასრულოს და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მისი ავტორი არა თუ უხერხულ, არამედ სახანებელ მდგომარეობაში ჩააყენოს?! ღმერთმა ნუ ქნას ეს!

მკითხველს თავს არ შევაწყენთ იმის შეხსენებით, თუ რას ვწერდით ჩვენ წერითი გამოცდის თაობაზე „ახალგაზრდა ივერიელის" გასული წლის 25 ოქტომბრის ნომერში. თანაც, მისი შინაარსი საკმაო სისრულითაა გადმოცემული ბატონ რევაზ თვარაძის ვრცელ კრიტიკულ წერილში. მე და ჩემს ოპონენტს შორის საერთო აზრი ასეთია. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლებში დაბალ დონეზეა. ასევე არასრულყოფილია უმაღლეს სასწავლებლებში ამ საგანში მისაღები გამოცდების მექანიზმი.

არ არის სადავო, რომ კარგა ხანია ჩვენში სასკოლო ცოდნისადმი ქარხმა მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ თითქმის ნულამდე დაიყვანა ქართული ენისა და ლიტერატურის შემეცნებითი მნიშვნელობა. დიდი ხნის მოარული ტრადიციული თემების ზეპირი თუ წერითი „შპარგალკების" მოხერხებულად გამოყენება გახდა ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილის უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის მთავარი პირობა. აბიტურიენტთა დიდი ნაწილი გადაჩვეულია ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობას, ვერ ამჟღავნებს ტექსტისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, ვერ შედის ლიტერატურული ძეგლების საოცრად მრავალფეროვან მხატვრულ სამყაროში და, ამდენად, ვერ ღებულობს უზარმაზარ ზნეობითს და ესთეტიკურ წვრთნას. წერითი გამოცდის ახალი მოდელი კი ახალგაზრდას ავალდებულებს არა მოარული თემების დაზეპირებას, არამედ უპირველესად ლიტერატურული მასალის საფუძვლიანად ფლობას და ქართული ენის გრამატიკის ელემენტარულ ცოდნას. დღეს კი რა ხდება? არასრულფასოვანი, ტრაფარეტული ცოდნის მქონე აბიტურიენტების დიდი ნაწილი ასევე არასრულფასოვანი, ტრაფარეტული გამოცდების მეოხებით ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში. ასე ვთქვათ, ბარი ბარს არიან სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი. სად უნდა გაირღვეს ეს მოჯადოებული წრე? ბევრს ჰგონია, რომ ჯერ სკოლამ უნდა

ასეთი ცოდნის შექმნას. ბატონო რევაზ, თქვენ კი ამის საპირისპიროდ ფიქრობთ, რომ „უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტს მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, რასაც სწავლობდა და როგორც სწავლობდა სკოლაში (ხაზგასმა ავტორისაა, კ. დ.). ამ ელემენტარული წესის დარღვევის უფლება არავის არ აქვს, რაგინდ მაღალი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელი უნდა ბრძანდებოდეს". კი, ბატონო, ერთი შეხედვით ეს სამართლიანი მოთხოვნა ჩანს, მაგრამ რეალურად გამოდის, რომ „ამ ელემენტარული წესით", თუ სკოლაში, ვთქვათ, ცოტას და ისიც ცუდად ასწავლიან, უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ ცოტა და სუსტად ანუ მხუბუქად უნდა მოეთხოვოთ ცოდნა. ესაა გამოსავალი? ოღონდ პარიტეტი არ დაირღვეს სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის და დარჩეს ორივე შეუფერებელ და ძნელად ასატან მდგომარეობაში? არა, საქართველოში დიპლომომანიის დამღუპველი ბუმის პირობებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ ზღვა მსურველთაგან თქვენთვის და საერთოდ ქვეყნისათვის სასურველი „მჭობნის მჭობნი" რომ შეარჩიე, შეგნებული ცოდნისადმი მომთხოვნელობა უნდა გაიზარდოს. მისაღები წერითი გამოცდების ტრადიციული მოდელი კი დღეს იმდენად დეფორმირებულია, რომ ის ამის საშუალებას არ იძლევა. ჩვენ, ცხადია, ვაწუნებთ არა თემებით წერის კლასიკურ იდეას, არამედ ბოლო წლებში მის გაყალბებულად რეალიზაციას, რომლის გამოსწორებაც ვერაფრით ხერხდება. ვერც თემების საგანგებოდ გართულებით და ვერც წერაზე თავმდგომთა ყურადღების გაძლიერებით. და რადგანაც დღეს კლასიკური თემებით წერის იდეის ჯანსაღად პატიოსნად განხორციელება გაძნელებულია, დროებით მაინც უნდა შევეშვით თვით თემებით წერის იდეას და შევცვალოთ ის კონკრეტული საკითხებით წერის იდეით. ბატონო რევაზ, გარწმუნებთ, ამაში არაფერია საგანგაშო და ზარების დასარისხებელი. წერითი გამოცდის ახალი მოდელი არ ვარგა, ამიტომ ისევ ძველი დავტოვოთო, ბრძანებთ, ე. ი. შეჩვეული ჭირი გვერჩივნოსო. ეს კი ვერაფერი წამალია საგამოცდო სენის განსაკურნავად.

აბიტურიენტის მრავალმხრივი ცოდნისა და სხვადასხვაგვარი ნიჭის გამოსავლინებლად შერჩეული კონკრეტული საკითხები, ცხადია, იმისათვის როდია შედგენილი, რომ გამომცდელი „მარჯვედ ჩაუსაფრდეს აბიტურიენტს და იმნაირი ხაფანგები დაუგოს, ეშმაკმა ვერ მოახერხოს იქიდან თავის დაღწევა". მართლაც, ეშმაკს წაუღია ადამიანის ახირებულობა. თორემ, როგორ უნდა იფიქროს კაცმა: უმაღლესი განათლების სამი-

აზირება სრულებით არ ყოფილა და რაზეც ახალი მოდელის ოპონენტები რატომღაც დუმან. ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე თემების კონკრეტული საკითხებით შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი ჩვენ ადრე დავსვით („სახალხო განათლება", 6 დეკემბერი, 1989 წ.) და მას აქეთ კიდევ ორჯერ შევეხეთ მას („თბილისი", 13 სექტემბერი, 1990 წ.; „ახალგაზრდა ივერიელი", 25 ოქტომბერი, 1990 წ.). არაერთგზის იყო მსჯელობა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე, რექტორატში საშუალო და უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა თათბირებზე სახალხო განათლების სამინისტროში, პრესაში გამოქვეყნდა როგორც ამ იდეის მოწინააღმდეგეთა (თ. ფანცულაიას, თ. ბურჭანაძის), ისე მომხრეთა (შ. ქურდაძის, ელ. ბაბუნაშვილის, ო. ურიდიას, ნ. ხოშტარიას, გ. ხორნაულის, კ. ელიზბარაშვილის, ტ. სულაბერიძის) წერილები. სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებით რამდენიმე სკოლაში ჩატარდა საცდელი წერა. სკოლების დიდი ნაწილი ამ სასწავლო წლიდან ახლებურად ატარებს წერას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ასე რომ, ბატონო რევაზ, „ჭიქურ" და ისიც ერთი კაცის ნებით წერითი გამოცდის ახალი მოდელი საზოგადოებისათვის ნაუცბათევად თავსმოხვეული არ გახლავთ. ის აპრობირებულია საგნის სპეციალისტებისა და განათლების სისტემის ხელმძღვანელობის მიერ. ამიტომ ძნელია კაცმა დაიჯეროს სისწორე თქვენი სიტყვებისა, რომ თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ „შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა", ვიდრე საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდებოდა. ვიდრე განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა საქმეში გაერკვეოდა, მიიღო „ფიცხელი გადაწყვეტილება" წერითი გამოცდის ახალი მოდელით ჩატარების შესახებ. არა, არ გეკადრებათ აჩქარება ბრალდებების წამოყენებაში. თქვენი უფლებაა, დაუჯეროთ თუ არ დაუჯეროთ მხარს ახალი მოდელის მიღებას. მაგრამ არა გაქვთ უფლება მრუდედ წარმოაჩინოთ ვითარება. თუ თქვენ გამოცდის დღევანდელი მოდელის სრულყოფა მართლა გსურდათ, ახალი მოდელის გულუცხად უარყოფის ნაცვლად უნდა გვეცადათ მაინც, შემოგვეთავაზებინათ კონსტრუქციული წინადადებანი არსებული წერითი საგამოცდო მოდელის მექანიზმის გასაუმჯობესებლად. ამის მაგიერ თქვენ მხოლოდ უარყოფთ (მეცნიერულ კამათში მიუღებელი ხერხებითაც) გამოცდის ახალ მოდელს, როგორც საზოგადოებისათვის ინფარქტის დამმართებელს. დამატებით უნდა მოგახსენოთ: ამა წლის 17 თებერვალს უნივერსიტეტში შემდგარ ღია კარის დღეზე მოსულ ათასობით აბიტურიენტსა თუ მათ გულშემატკივართ რაიმე შე-

მაშფოთებელი. [illegible] მიმანიშნებელი [illegible] ახალი მოდელის მიმართ. ამასთანავე, სახალხო განათლების სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას (უკვე ორჯერ) და ახლახან, 21 მარტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს სპეციალისტებთან ერთად ჰქონდათ თათბირი ამის თაობაზე. გამოთქმული შენიშვნებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ წელს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ახალი მოდელით ჩატარდეს მხოლოდ ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. ამის შემდეგ შეიძლებოდა საერთოდ შემეწყვიტა მსჯელობა ამ თემაზე, მაგრამ რომ არ იფიქროთ: პაექრობისას შეიძლება ათასიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ცდებოდეს და სწორი მხოლოდ ერთი იყოსო, იძულებული ვარ, მოკლედ მაინც შევეხო გამოცდის ახალი მოდელის უარსაყოფად მოყვანილ თქვენს არგუმენტებს.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდის არსებული მოდელის ნაკლი და მოძველებულობა, ბატონო რევაზ, თქვენი არ ვიცი და, სპეციალისტებისათვის კი საცილობელი არ გახლავთ. თქვენ კი გსურთ ზედმეტი გულმოდგინებით დააჯეროთ მკითხველი, რომ ვერც მე და ვერც სხვა სპეციალისტებმა ერთი არგუმენტიც კი ვერ მოვიყვანეთ ამ მოდელის უარყოფის საჭიროებისათვის. არ გამოვეკიდები „უბირი მკითხველის განაბრიყვებლად" (თქვენივე სიტყვებია) პათეტიკური წამოძახილებით გაჯერებულ თქვენეულ მტკიცებებს ტრადიციული თემების ხელუხლებლობის აუცილებლობაზე. ვიტყვი მოკლედ: ტრადიციული თემებით წერითი გამოცდა, როგორადაც იგი დღემდე ტარდება, ბევრ საზოგადოებრივ მანკიერებას აპირობებს: 1. ტრაფარეტიზმს ცოდნაში, 2. შპარგალკომანიას და 3. პროტექციონიზმს. თქვენი ნებაა, ჩათვლით თუ არა საკმარისად ამ ნაკლთ არსებული მოდელის უვარგისობის დასამტკიცებლად, მაგრამ ზედმეტად ნუ ირწმუნებთ, რომ თუ თქვენ ჩვენს მსჯელობას ბლეფს დაუძახებთ, ჭეშმარიტებას დაადგენთ. ვნახოთ თქვენი არგუმენტებიც.

1. ტრაფარეტიზმი ცოდნაში. უდავოა, რომ თემის წერამ ახალგაზრდა უნდა დააუფლოს ლიტერატურულ მასალას, გამოუმუშაოს მას ამ მასალის კრიტიკული ანალიზის ჩვევა. განუვითაროს ლოგიკური მსჯელობის უნარი. ესაა ამ კლასიკური მოდელის საუკეთესო გაგება. მაგრამ ასრულებს დღეს ამ დანიშნულებას თემებით წერა? ხომ გაყალბდა შეგნებული ცოდნის შეძენისა და გამოვლენის ეს კლასიკური მოდელი, ხომ გამოიწვია ამან ტრადიციული თემების ფაბრიკაცია? ვაღიაროთ, გაუკუღმართებულმა პრაქტიციზმმა ამ თავისთავად მშვენიერ მოდელს შინაარსი გამოაცალა, მიგვიყვანა თემების დაზეპირებისა და „დაშპარგალკების" საჭიროების მოთხოვნილებამდე (თემების წერაში კი თვით მასწავლებლების და რეპეტიტორების უდიდესი ნაწილია ჩართული!). ამანვე გადააჩვია ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უშუალოდ ტექსტზე მუშაობას. უზარმაზარი ესთეტიკური და ზნეობრივი ღირებულების მხატვრული ლიტერატურის ცოდნა შეიცვალა მოარული თემების ცოდნით (საუკეთესო შემთხვევაში!) ამან გამოიწვია ის, რომ შეიძლება ახალგაზრდამ „ვეფხისტყაოსანზე" ნაირგვარი თემა იცოდეს, მაგრამ თავად ტექსტი არა თუ იცოდეს, არამედ წაკითხულიც არ ჰქონდეს. რაღა მტკიცება უნდა იმას, რომ ტრადიციული თემების წერის პრაქტიკამ ლიტერატურის შეგნებული ცოდნა ტრაფარეტული სუროგატით შეცვალა. და, თუ ეს ნაკლი არ არის, ამ თემაზე ლაპარაკს საერთოდ აზრი არა აქვს.

2. „შპარგალკომანია". თემებით წერამ გამოიწვია სწორედ „შპარგალკების" ფაბრიკაცია, რაც ადასტურებს, რომ თემებით წერისას

(დასასრული მე-12 გვ.)

(დასასრული)

გამორიცხავია „შპარგალკების“ გამოყენება. ახაციან აუდიტორიაში ორი-სამი მკაცრი გამომცდელი არ არის გარანტი იმისა, რომ „შპარგალკის“ გამოყენება გამოირიცხოს. ჩვენ ვიცით, გასულ წელს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდიდან ოთხასზე მეტი აბიტურიენტი მოიხსნა „შპარგალკების“ გამოყენების გამო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სხვა ათი ათასი კაციდან რამდენი დარჩა შეუმჩნეველი. თუ თემებით წერაზე უარს ვიტყვით, „შპარგალკა“ ძალას დაკარგავს და გამოუყენებელი გახდება. ახობითი კონკრეტული საკითხის „დაშპარგალკება“ კი თითქმის შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანს ერთობ ძნელი იქნება. ცხადია, როცა ახალი მოდელიც ტრაფარეტულად გადაიქცევა, ისიც შეიცვლება სხვა მოდელით.

3. პროტექციონიზმი. თემებით წერის გაუკულმართებამ დაამკვიდრა სწორედ ფრიად გავრცელებული ე. წ. „პაროლომანია“, რომელიც უბიძგებს და აიოლებს აბიტურიენტის მიმართ მიკერძოებით დახმარებას. დღევანდელ ვითარებაში, როცა მორალური კატეგორიები დევალვირებულია და „ბიძაშვილ-მამიდაშვილობამ“ ლამის კაიკაცობის სოციალური სტატუსი მოიპოვა, იმის თქმა, გამოცდებზე არ უნდა ხდებოდეს მიკერძოებაო, არსებითად ლამაზი დაპირებაა, რადგან ადამიანური სისუსტე მეტ-ნაკლებად ყველას აქვს. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ტრადიციული თემებით წერაზე, ე. წ. პაროლების სისტემაც ძალას დაკარგავს და ეს იქნება რეალური დახმარება ღირსეული აბიტურიენტისათვის, რომ მას ულირსმა არ გაასწროს შეფასების მიღებაში, და გამომცდელისათვის, რომ მან თავი დააღწიოს მომრავლებულ პროტექეებზე ფიქრს და თავისი პროფესიული საქმე აკეთოს მიუკერძოებლად.

მაშასადამე, გამოცდაზე ტრადიციული თემებით წერამ, უკეთ: ასეთ წერით გამოცდაზე გამარჯვების შესაძლებლობამ არსებითად ჩაკლა თვით შეგნებული ცოდნის აუცილებლობის შეგნება, მშობლიური ენისა და ლიტერატურის რეალური ცოდნა შეცვალა მისმა უბადრუკმა სუროგატმა — დაზეპირებულმა ან გადასაწერმა „შპარგალკამ“. მანვე გააადვილა პროტექციონიზმი. ეს ქვეყანამ იცის, ბატონო რევაზ, მაგრამ თქვენ მაინც თავგამოდებით იცავთ ძველ მოდელს, რომ არ დაბრკოლდეს ვითომ ნიჭიერი ახალგაზრდა საპროგრამო მასალის საფუძვლიანად არცოდნის გამო. ჩვენ კი დაბეჯითებით ვამბობთ: ძველთან მიმართებით ახალ მოდელს ის უპირატესობა აქვს, რომ გამოცდაზე გამარჯვების შანსს აძლევს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, ვინც შეგნებულად და საფუძვლიანად ფლობს საპროგრამო მასალას და მხოლოდ საკუთარი თავის იმედით მოდის გამოცდაზე.

ბატონო რევაზ, თქვენ არ მოგწონთ აბიტურიენტის ცოდნის შემოწმება კონკრეტული საკითხების მოთხოვნით. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ასე „დაწიწილაკებულ“ საკითხებზე პასუხის გაცემა ახალგაზრდისაგან სიბეჯითით შეძენილ ღრმა ცოდნას მოითხოვს? შემიძლია გავიგოთ როგორც მამას, მაგრამ როგორც მოღვაწეს, ვერაფრით ვერ გაგიგებთ.

მაინც რა მოსაზრებით უარყოფთ წერით გამოცდაზე კონკრეტული საკითხების მიცემის საჭიროებას? იმით, რომ: კონკრეტული საკითხების ტიპებიდან სამი (1. ტექსტის შინაარსი. 2. ტექსტის კრიტიკული ანალიზი. 3. სოციალურ-პოლიტიკური და მასთან დაკავშირებული ლიტერატურული მოვლენები) ისედაც შემოდის ტრადიციული თემის მთლიანობაშიო. კი, ბატონო. ოღონდ აქედან თქვენთვის არასასურველი ფაქტიც ჩანს: ახალი მოდელი პრინციპულად არ ითხოვს საკითხთა ახალ წყებას (წინადადების გარჩევის გარდა), მაგრამ ძველი მოდელისგან განსხვავებით, ის საპროგრამო საკითხების უფრო საფუძვლიან და შეგნებულ ცოდნას ითხოვს. განა შეიძლება ახალი მოდელი ამის გამო მოინათლოს აბიტურიენტის კისრის მოსატეხად და მარჯვედ დაგებულ ხაფანგად?! გულდასაწყვეტია, რომ თქვენ, მწერალი, ურიგდებით იმ ობივატელურ აზრს, რომ ახალი მოდელით თითქოს ნიჭიერი, მაგრამ უცოდინარი აბიტურიენტი (მომავალი ჯავახიშვილები და მომავალი ინგოროყვები, თუ უზნაძეები) „დაიჩაგრებიან“ მცოდნე „გაწვრთნილ თუთიყუშებთან“ კონკურსში, რადგან მათ არ ეცოდინებათ, ვთქვათ, „ოთარაანთ ქვრივიდან“ ხუთი ქისა, ან ვერ გაარჩევენ ლექსს „ვისაც გსურთ“, ვერც რთულ ქვეწყობილ წინადადებას განასხვავებენ თანწყობილისგან და ა. შ. გამოდის, რომ შეიძლება „ნიჭიერმა“ აბიტურიენტმა არც ტექსტი იცოდეს, არც მისი ანალიზი, არც წინადადების გარჩევა, მაგრამ ღირსი იყოს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე მაღალი შეფასების მიღებისა. არა. ასეთი განცხადება არასწორი და არასამართლიანია. 'მიკვირს სწორედ: ასეთ უცოდინარ აბიტურიენტებს, მშობლებისაგან ნაადრევად „ნიჭიერებად“ ალიარებულთ, იმის ნაცვლად, რომ უთხრათ, შრომის გარეშე ნიჭი ფუჭია, რომ რუდუნების გარეშე 21 წლის პავლე ინგოროყვაც ვერ შეძლებდა კაპიტალური „ძველქართული სასულიერო პოეზიის“ გამოცემასო, ამაოდ აიმედებთ. თქვენ კარგად იცით, რომ ნიჭიერს ცოდნა არ დაამძიმებს, მაგრამ მაინც თუ ექომაგებით მცირემცოდნეთ, მხოლოდ ერთი მიზნით: ახალი მოდელი საფრთხობელად დაუსახოთ საზოგადოებას. ამ მიზნის მიღწევის ჭარბი სურვილი კი თქვენ უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ. მესამე საკითხის გამო, რომელმაც უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მსოფლმხედველობა, მისი ზოგადი ცოდნა სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული ლიტერატურული პროცესებისა, გაოცებული ბრძანებთ: 17-18 წლის ყმაწვილს რა მსოფლმხედველობა უნდა ჰქონდესო, და „მსოფლმხედველობის“ მძიმე სიტყვად წარმოსადგენად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსაც“ იშველიებთ; კიდევ მეტი: ასეთი საკითხი თქვენ ძველ დროს გაგონებთ და ირონიულად კითხულობთ: „ხომ არაფერი გენიშნათ. ძვირფასო მკითხველებო? ხომ არ გეცნოთ ის დაუვიწყარი „სოციალ-პოლიტიკური პროცესები“, ათეული წლების განმავლობაში რომ ხუთავდნენ ლიტერატურის სწავლების პროცესს სკოლებსა და სასწავლებლებში, ულმერთოდ რომ აქარწყლებდნენ ნებისმიერი ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის შესაძლებლობას?“ ბატონო რევაზ, რა საკადრისია ასეთი დაგვიანებული და დაუსჯელი გამბედაობა დღეს? თქვენი ნებაა, არ მოგწონდეთ მესამე საკითხი (სხვათა შორის, სასკოლო კრიტიკული სახელმძღვანელოების მოძველების გამო მასზე ჯერჯერობით ჩვენც უარი ვთქვით და ეს განვაცხადეთ კიდევაც ღია კარის დღეზე), მაგრამ მისი შემოტანა საკითხთა წრეში ჩემზე კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის რეციდივად რომ აღიქვამთ, ეს ნამეტანია: მე არც პარტიულ სამუშაოზე და არც სხვა პარტიული იდეოლოგიის საუფლო დაწესებულებაში არ მიმუშავია, (არაპარტიულს ვინ მამუშავებდა!) რომ ასეთი იდეოლოგიის გავლენა დღემდე გამომყოლოდა. სხვა რომ არაფერი, უხერხულია ასე წერა ან რა საკადრისია, რომ თქვენ, მწერალი, გამოცდაზე წინადადების გარჩევის მოთხოვნას საშინელებად სახავთ და სიტყვას არ ძრავთ ქართული ენის შემეცნებითს მნიშვნელობაზე, კმაყოფილდებით მუქი სურათის ჩვენებით, რომ ქართული ენის გრამატიკა სკოლებში ცუდად ან თითქმის არ ისწავლებაო. ასეთ დროს, ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: წერით გამოცდაზე ქართული ენის გრამატიკის ელემენტარული ცოდნის მოთხოვნამ იქნებ აიძულოს სკოლა (მოსწავლე, მასწავლებელი, რეპეტიტორი), გრამატიკის ცოდნა საჭირო და ღირსება-პრესტიჟის საქმედ გააცნობიეროს, თქვენ გულდაჯერებით აცხადებთ: „გამოცდების ეს „გრამატიზაცია“ აბსოლუტურად არაფრის მაქნისია, არავის არაფრად ესაჭიროება სპეციალისტთა ერთი მცირე ჯგუფის გარდა, რომელსაც, როგორც ეტყობა, მოსვენება დაუკარგა უჩვენოდ ვინ იმღერეთას კომპლექსმა“. ბატონო რევაზ, არ გეკადრებათ ასე წერა, არც დაუფარავი ირონია „ენათმეცნიერი რეპეტიტორებისადმი“ (ამაზე ქვემოთ) და არც ნიჰილიზმი ქართული გრამატიკისადმი („ფილოლოგიის ფაკულტეტზე რომ შევედი, ჭირის დღესავით მძაგდა გრამატიკაო“, — აცხადებთ ამაყად), რასაც ვერ ფარავს თქვენი სინდისის დამამშვიდებელი სიტყვები: „ერთადერთი, რაც უნივერსიტეტმა შემძინა, გრამატიკის, საერთოდ, ენათმეცნიერების ცოდნა აღმოჩნდა“. ნება მიბოძეთ, ეჭვი შევიტანო ამ სიტყვების გულწრფელობაშიც, რადგან ენათმეცნიერებაში განსწავლული კაცი არ იტყვის, რომ გრამატიკის საკითხი (წინადადების გარჩევა) თითქოს აბიტურიენტს ავისმომასწავებლად თავს დასჩხაოდეს: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“. მაპატიეთ, მაგრამ ამ სახარებისეული ადგილის ციტირებაში არა ჩანს გრამატიკის მაინცდამაინც თავმოსაწონებელი ცოდნა, რადგან შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ „ჯვარს აცვ“ არც ახალი ქართულია, არც ძველი და არც არსებულა არასდროს, მსგავსად თქვენ მიერ გამოცემულ „ქართულ პროზაში“ უხვად რეალიზებული „ვარქვ“, —დავამხვ“, „მომართვ“ ფორმებისა, ასეთ წვრილმანზე არაფერს ვიტყოდი, მაგრამ მინდოდა უბრალოდ მეჩვენებინა, რომ გრამატიკის ცოდნა ლიტერატორისათვის ზედმეტი სრულებითაც არ არის (სხვათა შორის, კ. კეკელიძე თვალსაჩინოდ ავლენდა ტექსტის ენობრივი მონაცემების გამოყენების საჭიროებას წმინდა ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას).

მეორეც, ქართულ სკოლებში (V-IX კლასებში) ქართულ გრამატიკას ხუთი წელი ასწავლიან (სხვა ამბავია, როგორ ასწავლიან!), ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა ამიერიდან ითვალისწინებს ქართული ენის უწყვეტად სწავლებას სკოლის დამთავრებამდე, ერთი ამბავია ატეხილი ქართული ენის სწავლების გაძლიერებაზე არაქართულ სკოლებში, ქართული ენის პრაქტიკული კურსი ისწავლება რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა ფაკულტეტზე, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს ქართული ენის სახელმწიფოებრივი და შემეცნებითი მნიშვნელობა მძაფრად ცნობიერდება. და ასეთ დროს, სხვა რომ არაფერი, უხერხულია ქართული ენის გრამატიკის ელემენტარული ცოდნის მოთხოვნა წერით გამოცდაზე ზედმეტად მივიჩნიოთ. ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ქართული ენის სწავლება სკოლაში ჯეროვან სიმაღლეზე თავისთავად დადგება ან პათეტიკური აგიტაციით? გარწმუნებთ: საგანი, რომელიც მისაღებ გამოცდებზე არსად ბარდება (ჰუმანიტარული ფაკულტეტის გამორიცხვით), სერიოზული შესწავლის ობიექტი ვერ იქნება. ამიტომ ვფიქრობთ, წერით გამოცდაზე გრამატიკის ელემენტარული ცოდნის მოთხოვნამ ეს დედასაგანი, საჭირო, აუცილებელი და პრესტიჟული უნდა გახადოს. ამაზე შეიძლება დავა? და თუ ეს უდავოა, ის უნდა მოეთხოვოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ ახალგაზრდას. სამწუხაროდ, თქვენსავით ბევრი სხვა ლიტერატორიც ფიქრობს, თითქოს გრამატიკა იმისთვის იყოს მოწოდებული, რომ მხოლოდ „ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა შესძინოს მოსწავლეებს“. არა. ასე ოციოდე საუკუნის წინ ფიქრობდნენ ფილოლოგიური გრამატიკის ავტორები, თორემ კარგა ხანია გაცნობიერდა, რომ გრამატიკა უზარმაზარ გავლენას ახდენს პიროვნების სულიერი წყობის, მისი სააზროვნო სისტემის ფორმირებაზე და, ვ. ჰუმბოლტის სიტყვებისა არ იყოს, მთლიანობაში შესაცნობელი ენა გვაუწყებს, არა მარტო იმას, თუ რისი გამოხატვა შეუძლია მას, არამედ იმასაც, თუ რას შთააგონებს, რის სურვილს აღძრავს თავისი შინაგანი ძალით მფლობელში. ეს ჭეშმარიტება ინტუიტურად ჰქონდა გამოვლენებული ათი საუკუნის წინ იოანე-ზოსიმეს თავის მეხიანურ ესსეში („ქებაი და დიდებაჲ...“) და დღესაც არ გვმართებს მისი დავიწყება.

ბატონო რევაზ, თქვენი ნებაა, გრამატიკა გიყვარდეთ ან გძულდეთ, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა კორექტულობის დაუცველად მკრეხელობაა. ან როგორ შეძელით, რამ ან ვინ შთაგაგონათ, რომ გამოცდაზე ქართული გრამატიკის ელემენტარული ცოდნის მოთხოვნის უკან ენათმეცნიერ რეპეტიტორთა მდაბიო ზრახვები იფარებოდეს — სურვილი აბიტურიენტ მოწაფეთა მონადირებისა. პირველად მოჩვენებით თავდაჯერილობით, ჭორი მე არ დამბრალდესო, წერთ: „ბოროტი ენები ამბობენ: მომავალი აბიტურიენტების ერთმა ნაწილმა უკვე იხუვლა, ენათმეცნიერ რეპეტიტორთა კარს მიაწყდაო. ერთობ სიმპტომატური იქნება, თუკი გამართლდა ეს ხმები“. მაგრამ მოთმინება არ გყოფნით, ამ ხმების გამართლებას დაელოდოთ და არაერთგზის ამჟღავნებთ გულისტკივილს, ვაითუ ლინგვისტებმა ჭარბად დაირჩინონ მოწაფეებიო. ცუდია ცილისწამება, მაგრამ უფრო ცუდია საზოგადოების დეზინფორმაცია. ხომ შეიძლება, თქვენმა განცხადებამ უბირ მკითხველს აფიქრებინოს, რომ ენათმეცნიერებსა და ლიტერატორებს ხელჩართული ბრძოლა ჰქონიათ აბიტურიენტთა გადმოსაბირებლადო? ზნეობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, დანაშაულია სიტყვა ფილოლოგის ასე დამდაბლება, ენათმეცნიერისა და ლიტერატორის ასე აშკარა კონიუნქტურული დაპირისპირება. მაგრამ წერითი გამოცდის ახალი მოდელის უარყოფის ჭარბი ჟინი ხელს გიშლით, იყოთ მართალი და კორექტული, დაუმსახურებლად სტკენთ გულს ცნობილ მასწავლებელს, ქალბატონ თამარ ხოშტარიას, როცა მოგყავთ მისი სიტყვები, კოლეგებისადმი მიმართული: „ჩვენი 30 მოსწავლიდან რამდენს შეუძლია ახალი მოთხოვნებით გამოცდის ჩაბარება, პატივცემულო კოლეგებო? ათს? ხუთს? თუ მხოლოდ ერთს? მაშინ ლოგიკური, ბუნებრივი და სამართლიანია, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს მხოლოდ ის ერთი!“ ამ შესანიშნავი მასწავლებლის პატიოსნად ნათქვამს თქვენ, საზოგადოების გასალიზიანებლად გამიზნულ ასეთ კომენტარს უკეთებთ: „ის ერთიც ვერ მოხვდება, ქალბატონი ნათელა ენათმეცნიერ რეპეტიტორთან თუ არ მოემზადა საგულდაგულოდ“. ამას ჰქვია, შარო, საიდან მოდიხარო.

რაც შეეხება თქვენს შემაშფოთებელ პროგნოზს, გამოცდის ახალი მოდელით ჩატარების შემთხვევაში 30-დან ერთიც ვერ მოხვდება უმაღლეს სასწავლებელშიო, თავადაც იცით, არ არის სწორი და, თუ მაინც ამბობთ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ როგორმე უარყოფითად განაწყოთ საზოგადოება ამ მოდელის მიმართ. მე არ შემიძლია თქვენსავით ზუსტად ვიწინასწარმეტყველო, გამოცდის ახალი მოდელით ჩატარებისას აბიტურიენტთა რამდენი პროცენტი ჩაიჭრება, არც უადგილო ძიძაობა შემიძლია, მაგრამ ერთი კი გადაჭრით შეიძლება ითქვას: ჩაიჭრება ის, ვისაც სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ცოდნა არ აღმოაჩნდება. მაგალითისათვის ერთ ფაქტს მოვიყვანთ: თბილისის ერთ-ერთ კარგად ცნობილ სკოლაში სახალხო განათლების სამინისტროს რეკომენდაციით საცდელი წერა ჩატარდა: 31 მეთერთმეტეკლასელს საწერ დავალებად მიეცა თემები, 30-ს კი— საკითხები. შედეგი? — თემების დამწერთაგან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 28-მ (გადაწერა გამორიცხული იყო და იმიტომ!), საკითხების დამწერთაგან — 26-მა. ესაა სამწუხარო, მაგრამ მართალი სურათი, რომელშიც ორი ჭეშმარიტება ჩანს, ერთი: საკითხებით წერა ზედმეტად რთული სრულებით არ არის; მეორე: დღეს რომ შესაძლებელი იყოს წერითი გამოცდის დღემდე არსებული მოდელის ობიექტურად რეალიზაცია, მისი შეცვლის საჭიროების საკითხი მწვავედ არც დაისმებოდა. მაგრამ დღეს ეს არ ხერხდება და თავს ნუ მოვიწონებთ ლამაზი, მაგრამ გაცვეთილი სიტყვებით, რომ გამოცდები უნდა ტარდებოდეს მაქსიმალური ობიექტურობით. საქმეს არ შველის არც კაზუისტური ცდა ამ საკითხის ირგვლივ მოკამათეთა შორის მოჩვენებითი ზავის ჩამოგდებისა. თქვენ კითხულობთ: „არსებობს წერითი გამოცდის დღემდე მოქმედი არასრულყოფილი მოდელი და მის პარალელურად გაჩნდა ახალი, ასევე არასრულყოფილი მოდელი. რა აზრი აქვს ერთი არასრულყოფილი მოდელის მეორე არასრულყოფილი მოდელით შეცვლას?“ — ის აზრი აქვს, ბატონო რევაზ, რომ წამხდარი საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრას. თქვენც ხომ იცით, რომ დღემდე არსებულმა მოდელმა თავისი არსებობის დიდ მანძილზე მთლიანად გამოამჟღავნა თავისი ავ-კარგი, განიცადა საგრძნობი დეფორმაცია და ლამის გამოცდის ფარსად იქცა. კარგა ხანია ვიცით მისი ნაკლი და დღემდე ვიტანთ. ახალი მოდელი კი რეალურად პრაქტიკით ჯერ არ შემოწმებულა და წინასწარ გამოგვაქვს განაჩენი. ეს დაუფარავი ტენდენციურობაა. ლოგიკური და სამართლიანი იქნებოდა, ამ მოდელის ავ-კარგზე გვემსჯელა პრაქტიკაში მისი თუნდაც ერთხელ გატარების შემდეგ. ვამბობ გულწრფელად: ახალი მოდელის მხარდამჭერთა თუ სადღეისოდ მის უარმყოფელთა აქამდე გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული ყველა შენიშვნა მეტნაკლებად ანგარიშგასაწევია, რადგან პროფესიონალთა გულისტკივილსა და საფიქრალს გამოხატავს. მაგრამ ამის თქმა არ შემიძლია თქვენს წერილზე, რომელსაც ახალი მოდელის მხოლოდ ხელაღებით უარყოფის რეზონიორული პათოსი მსჭვალავს და, ამდენად, რაიმე პოზიტიურს არ შეიცავს, რომ საქმეს წაადგეს. თქვენ, როგორც მწერალს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ღამე მამლის ყივილის გარეშეც თენდება და პურს მეპურეები აცხობენ.

ეროვნული

# ობიექტურად - განვსაჯოთ

## გიორგი გოგოლაშვილი

ბუნებრივია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ახლებურად ჩატარების თვალსაზრისს ჰყავს მომხრეც და მოწინააღმდეგეც. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: ობიექტური შეფასება განსახილველი საკითხისა საქმეს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება და პირიქით, არაობიექტური მიდგომა პრობლემისადმი მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ბატონ რევაზ თვარაძის წერილი „რას სჩადიხართ, ბატონებო?!“ (22 მარტი, 1991 წ.). ჩვენი სურვილიც დისკუსიაში მონაწილეობისა ამ წერილმა აღძრა.

ვთქვათ და, შევადგინოთ ბილეთი იმ საკითხების მიხედვით, რომლებსაც გვთავაზობს პროფ. კ. დანელია:

1. ლომ-ვეფხის დახოცვის ეპიზოდი (შინაარსი);
2. „ვისაც გსურთ“ (იდეურ-მხატვრული ანალიზი);
3. ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები;
4. ...(ამ საკითხის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებ);
5. აფორიზმი (მაგალითად: ავსა კაცსა ავი სიტყვა...).

ნუ მივაქცევთ ყურადღებას ბატონ რ. თვარაძის მიერ ამ მოდელის ავტორის საწინააღმდეგოდ ამამხედრებელ მოწოდებას — „ვაი იმ აბიტურიენტებს, მარქსისტული ესთეტიკის სქემებში ვინც ვერ ჩაჰედავს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ თუ „ოთარაანთ ქვრივს“ — რადგან ასეთი რამ არც თქმულა და არც შეიძლება თქმულიყო. ნურც შემოთავაზებული მოდელის წინააღმდეგ ამამხედრებელ სხვა კითხვებს მივაქცევთ ყურადღებას (მაგალითად: „რატომ უნდა მიიყვანონ წინასაინფარქტო მდგომარეობიდან მაინცდამაინც ინფარქტამდე აბიტურიენტები?“) და დავუკვირდეთ შემოთავაზებულ საკითხებს.

შეიძლება თუ არა ის დავასკვნათ, რომ „გამომცდელის უპირველესი საზრუნავია, მარჯვედ ჩაუსაფრდეს აბიტურიენტს და იმნაირი ხაფანგები დაუგოს, ეშმაკმა ვერ მოახერხოს იქიდან თავის დაღწევა?“

სხვა ვარიანტი შევადგინოთ იმ სათაურთაგან, რომლებიც მოდელის ავტორმა შემოგვთავაზა: 1. ავთანდილის შებრძოლება მეკობრეებთან (შინაარსი); 2. „რად მყვედრი კაცსა“ (იდეურ-მხატვრული ანალიზი); 3. ქართული რომანტიზმის სპეციფიკა..., 5. აფორიზმი (ან ანდაზა)...

სპეციალისტმა განსაჯოს, შეიძლება თუ არა ამის მიხედვით დავასკვნათ: „ამნაირი ავტორი, თუკი საშუალება მიეცით, სიამოვნებით დაიყვანს მთელ სიტყვაკაზმულ მწერლობას უსახურ სოციოლოგისტურ სქემებამდე, ხოლო გამომცდელის როლში თუ აღმოჩნდა, გინდ ქართული ლიტერატურა ჩაგიბარებიათ მისთვის და გინდ — პოლიტეკონომია“. გვაქვს კი ამგვარი განგაშის ატეხის საფუძველი: „რას სჩადიხართ, ბატონებო?! რამდენ უბედურებას გამოიწვევს არსებული მოდელის აგრე ხელაღებით შეცვლა“?. რა ვქნა, ვერ ვხედავ კავშირს ამგვარ დასკვნებსა და მსჯელობის საგნად ქცეულ საკითხებს შორის.

აქ დასახელებულ საკითხთაგან რომელი არღვევს „იმ ელემენტარულ ლოგიკას“, „რომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა მოეთხოვოს, **რასაც სწავლობდა და როგორც სწავლობდა** სკოლაში. ამ ელემენტარული წესის დარღვევის უფლება არავის აქვს, რაგინდ მაღალი სამეცნიერო თუ თანამდებობრივი რეგალიების მფლობელიც უნდა ბრძანდებოდეს (ხაზი რეცენზენტისაა — გ. გ.)“.

არავის შეუთავაზებია აბიტურიენტისათვის „ოთარაანთ ქვრივიდან“ ქისების სახელების ჩამოთვლა (ეს იმ მოარულ ამბავს ჰგავს, აბიტურიენტს ჰკითხეს, რა ჰქვია გოგია უიშვილის ძაღლსო და ჩაჭრესო). „ხუთი ქისა“ ერთ-ერთი მოზრდილი თავია ნაწარმოებისა და მისი შინაარსის მოთხრობას სთხოვენ. ეს ორი სხვადასხვა რამაა, მოგეხსენებათ...

შეიძლება არ დავეთანხმოთ თვალსაზრისის ავტორს ამა თუ იმ საკითხის დასათაურების თაობაზე, მაგრამ განა ტრადიციული მეთოდით შეთავაზებული საგამოცდო თემები არ იწვევდა კამათს? მაგრამ...

მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, კამათის რეალური საფუძველი სარეცენზიო წერილის მიღმა უნდა ვეძებოთ. ამის საფუძველს იმ ბრალდებებისა და დასკვნების გააზრება ქმნის, რაც რეცენზიაშია წარმოდგენილი. და თუ ასეა, მაშინ რეცენზენტს ისიც უნდა ეთქვა, რა არის ის, რამაც ამ წერილის დაწერა განაპირობა. ვიტყვი შევცდი-მეთქი, თუ დამარწმუნებს ვინმე, რომ პროფ. კ. დანელიას მიერ წარმოდგენილ საკითხთა იმგვარი შეფასება შეიძლება, როგორც ბატონი რ. თვარაძე გვთავაზობს.

შეიძლება თუ არა ეწოდოს პროფ. კ. დანელიას თვალსაზრისს „ჯიქურ დაყენებული“ და უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებას — „ფიცხელი?“

მკითხველს შევახსენებ საკითხის დასმისა და განხილვის თანმიმდევრობას (ამის თაობაზე წერდა პროფ. კ. დანელია კრიტიკის საგნად ქცეულ წერილში): თბილისის უნივერსიტეტის რექტორატის წინადადებით ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა შეიმუშავა ქართულში წერითი გამოცდის ალტერნატიული მოდელი. მკითხველს ამის შესახებ ეცნობა 1989 წლის 6 დეკემბერს „მისაღები გამოცდები — კვლავ „აქილევსის ქუსლი“ („სახალხო განათლება“). იმავე საკითხს ეხებოდა ავტორის (კ. დანელიას) სტატია „მისაღები გამოცდები: მისი შუქ-ჩრდილები“ („თბილისი“, 1990 წ., 13 სექტემბერი); 1990 წლის 5 იანვარს განათლების სამინისტროში სპეციალური თათბირი მიეძღვნა დასმული საკითხის განხილვას (თათბირს ესწრებოდნენ სამინისტროს ხელმძღვანელობა, ქართული ენისა და ლიტერატურის 1989 წლის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, პროფესორ-მასწავლებლები, საშუალო სკოლის პედაგოგები); 1990 წლის 16 სექტემბერს განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტისა და უმაღლესი სკოლების სამართველოს თათბირზე კვლავ დაისვა ეს საკითხი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერით გამოცდაზე **ტრადიციული თემები შეიცვალოს საკითხებით.** ყოველივე ეს ეცნობა მკითხველს 1990 წლის 25 ოქტომბერს („ახალგაზრდა ივერიელი“); 1990 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის რექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება...

როგორც ვხედავთ, საკითხის დასმას, მის შესწავლასა და განხილვას სპეციალისტთა წრეებსა და პრესაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მოულოდნელობით გამოწვეული „შოკის“ საფუძველი აქ არ ჩანს.

გარდა ამისა, ამგვარად, საკითხების მიხედვით, ჩატარდა მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბოლო ორ წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში; საკითხები შესთავაზეს თემების ნაცვლად უცხო ენათა ინსტიტუტშიც, რაც დადებითად შეფასდა და არავის უთქვამს, რომ ეს იყო „ყოვლად უაზრო ექსპერიმენტი, რომელსაც გაუთვალისწინებელი შედეგები უხვად მოჰყვება“. რეცენზენტს ეს ფაქტიც უნდა გაეანალიზებინა და მის შედეგებზეც ემსჯელა. თუ მხოლოდ უნივერსიტეტის აბიტურიენტთა ბედზე ზრუნვაა საქმე და ტექნიკური უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის მრავალათასიანი არმია აბიტურიენტებისა არ გვადარდებს? რატომ არ დაინტერესდა შემოთავაზებული თვალსაზრისის მოწინააღმდეგე რეცენზენტი ამ ფაქტით? ანდა, რამ გამოიწვია და რა იყო მიზანი ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში ჩატარებული რეფორმისა? ახალგაზრდობის ბედით შეშფოთებული მოღვაწისათვის მხოლოდ უნივერსიტეტის ახალგაზრდობა არ უნდა იყოს ზრუნვისა და ფიქრის საგანი. თუ შველა სჭირდება და ილუპება ქვეყანა, ვუშველოთ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა აბიტურიენტებსაც. თუმცაღა იქ ყველაფერი მშვიდად წარიმართა (ინფარქტი არავის მოსვლია), მაგრამ...

ასეთ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას, „ბოროტ ენებზე“ დაყრდნობა — ლიტერატორ-რეპეტიტორებს გაექცნენ აბიტურიენტები და ენათმეცნიერებს მიაწყდნენო — უხერხულია...

უფრო სერიოზული ის მოტივებია, რამაც ეს თვალსაზრისი წარმოშვა და რაც ასე არ მოსწონს რეცენზენტს. გავიხსენოთ, პროფ. კ. დანელია წერს: „თუ გვინდა, გამოცდამ რეალური შინაარსი დაიბრუნოს, ტრაფარეტებად ქცეული **თემები** (რომელთა გართულებაზე ხშირად თავს იტეხენ კომისიის თავმჯდომარეები) **უნდა შეიცვალოს** კონკრეტული **საპროგრამო საკითხებით**“. საგამოცდო თემები რომ ტრაფარეტებად იქცა, ვფიქრობთ, არავისთვის არაა სადავო. 40-50-იან წლებში „დაშპარგალკებული“ თემები შემოაქვთ გამოცდებზე. რეცენზენტი ბრძანებს: „აქ მთავარი ის არის ალბათ, ინდიფერენტული, დოყლაპია ან, კიდევ უარესი, უსინდისო გამომცდელები არ ადგენენ თავს აბიტურიენტებსო“. გეთანხმებით, მაგრამ ყოველთვის არის კი შესაძლებელი იმ „შპარგალკის“ მიგნება ან ჩამორთმევა? არაერთი უსიამოვნო ინციდენტი მომხდარა „შპარგალკის“ გამო, მილიციაც კი ჩარეულა საქმეში. ეს არაა მხოლოდ გამომცდელთა „ინდიფერენტულობაზე“, „დოყლაპიობასა“ და „უსინდისობაზე“ დამოკიდებული. ახალი მოდელი გვაძლევს თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ „შპარგალკოსანთა“ რაოდენობა? მინიმუმამდე-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ვეთანხმები რეცენზენტს: „ბუნებაში არ არსებობს იმგვარი საგამოცდო თემა (პროფ. კ. დანელიას მიერ პანაცეად მიჩნეული „საკითხების“ ჩათვლით), რომლის „დაშპარგალკება“ ვერ მოახერხოს დახელოვნებულმა აბიტურიენტმა თუ მისმა გულშემატკივარმა“. გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ერთად თავმოყრილ საკითხთა „დაშპარგალკება“ მოხდეს წინასწარ. სირთულე „დაშპარგალკებულ“ საკითხთა მოძებნა-გამოყენებისა და მოსალოდნელ საკითხთა გამოცნობის უიმედობა ბევრს აალებინებს ხელს „შპარგალკაზე“ და წიგნისკენ მიახედებს. თუნდაც ამიტომ ღირს საკითხების შემოტანა.

კიდევ ერთი მოტივი: პროფ. კ. დანელია წერს ცოდნის შეფასების არსებულ კრიტერიუმთა მოძველებაზე, არასრულყოფილებასა და არასტაბილურობაზე. „მართალია, — ბრძანებს ავტორი თვალსაზრისისა, — ინსტრუქცია თითქოს განსაზღვრავს, რა სახის და რა რაოდენობის შეცდომებზე დაიწეროს ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ სხვადასხვაგვარი შეფასებისათვის დასაშვებ შეცდომათა რიცხვით მაჩვენებლებს შორის ისეთი ფართო მიჯნა თუ კორიდორია, რომ თავისუფლად შეიძლება მოხდეს უზუსტობა შეფასებაში ერთი ქულის ფარგლებში“. ვისაც მისაღებ გამოცდებთან საქმე ჰქონია, არ შეიძლება ამ აზრს არ დაეთანხმოს. პროფ. კ. დანელია წერს: „აბიტურიენტის მიერ ხუთივე კითხვაზე გაცემული პასუხები **ცალ-ცალკე** შეფასდება ხუთბალიანი სისტემით, ბალების ჯამი გაიყოფა ხუთზე და გამოიყვანება ერთი საბოლოო შეფასება“... ამბობენ, რომ იქ, სადაც უკვე ამ მეთოდით მოხდა შეფასება, პრაქტიკულად სიზუსტე მეტი იყოო; იქ, სადაც ამგვარი ექსპერიმენტი ჩატარდა, ამგვარ მეთოდზე უარი არ უთქვამთ. რატომ?

რეცენზენტის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე შემოთავაზებული მოდელის მეოთხე საკითხია: წინადადების გრამატიკული (სინტაქსური და მორფოლოგიური) გარჩევა. „გამოცდების ეს „გრამატიზაცია“, — ბრძანებს ბატონი რ. თვარაძე, — აბსოლუტურად არაფრის მაქნისია და არავის არაფრად ესაჭიროება სპეციალისტთა მცირე ჯგუფის გარდა...“ მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ენათმეცნიერებისადმი რეცენზენტს კარგი დამოკიდებულება ჰქონია, მაინც აღიზიანებს „ერთი მცირე ჯგუფი“ (რატომ?). ამას კი აღნიშნავს ავტორი, მაგრამ პრობლემასთან ალბათ კავშირი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამ საკითხის შემოტანის უაზრობაზე ვრცლად მსჯელობს და ასე „ასაბუთებს“: „დიახ, ბატონებო, წერითმა გამოცდამ ქართული ენის პრაქტიკული ცოდნა უნდა გამოავლინოს და არა მორფოლოგიისა და სინტაქსის ნიუანსების თვითმიზნური ცოდნა, მორფოლოგიისა და სინტაქსის ის ნიუანსები საერთოდ არავისთვის არ არის საჭირო ქართული ენის მომავალ სპეციალისტთა გარდა“. ვინ, სად და როდის მოითხოვა, ანდა რას ნიშნავს „მორფოლოგიისა და სინტაქსის ნიუანსების თვითმიზნური ცოდნა?“ ვინ, სად და როდის თქვა, რომ საჭიროა „აბიტურიენტმა ზედმიწევნით იცოდეს, ვთქვათ, უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის თეორიული რაობა“. წინადადების პრაქტიკული გარჩევა განა ამას გულისხმობს? რეცენზენტი მისაღებ გამოცდაზე ქართული ენის ცოდნის შემოწმების პრინციპული წინააღმდეგია ამ მოტივითაც: „სკოლებში გრამატიკა ცუდად ისწავლება და ამ უბრალო მიზეზის გამო აბიტურიენტთა დიდმა უმრავლესობამ ასევე ცუდად იცის გრამატიკის საკითხები, იმდენად ცუდად, რომ ამ დიდ უმრავლესობას გრამატიკაში წერითი გამოცდა გამოუვალ მდგომარეობაში მოაქცევს“. რა, სკოლაში ლიტერატურა კარგად ისწავლება (თქვენვე ბრძანებთ: „რარიგ სავალალო დონეზეა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაშიო“)? მაშინ ლიტერატურასაც ნუ მოვკითხავთ და რაც კარგად ისწავლება, იმ საგანში გამოვცადოთ. მაგრამ რა ისწავლება დღევანდელ სკოლაში კარგად? თანაც, ვილაც რომ არ ასწავლის კარგად და სადღაც რომ არ ისწავლება რიგიანად, ამის გამო საგანი უნდა უარვყოთ?

იქნებ სწორედ მისაღებ გამოცდაზე თუ მოვთხოვთ აბიტურიენტს ქართული ენის ცოდნას, ამან ცოტა მაინც შეუწყოს ხელი დედაენის რიგიან სწავლებას სკოლაში?!

ესეც რომ არ იყოს, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის ცოდნის მოთხოვნის საკითხი პროფ. კ. დანელიამ დასვა? რაც ეს საგანი არსებობს, ქართული ენის საკითხების ცოდნის მოთხოვნა ყოველთვის იგულისხმებოდა. ვისაც მისაღები გამოცდების პროგრამაში ჩაუხედავს, დაგვეთანხმება, საგანს ჰქვია „ქართული ენა და ლიტერატურა“; პირველ ნაწილს — „ქართული ენა“, ხოლო მეორე ნაწილს — „ქართული ლიტერატურა“. იქვე ვკითხულობთ: „ქართული ენის ცოდნის შესამოწმებლად გამოსაცდელს ეძლევა კითხვები გრამატიკის კურსიდან ქვემოთ მოყვანილი პროგრამის ფარგლებში და ერთი წინადადება მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევისათვის“. ეს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პროგრამის მოთხოვნაა. ვფიქრობთ, ისიც მოგეხსენებათ, პროგრამას სპეციალისტები ადგენენ და განათლების სამინისტრო ამტკიცებს...

შემოთავაზებული თვალსაზრისის მიხედვით, სიახლე მხოლოდ ისაა, რომ პროფ. კ. დანელიამ წერით გამოცდაზე წინადადების პრაქტიკული გარჩევის შემოტანა ივარაუდა. აქამდე „ქართული ენა“ ზეპირ გამოცდაზე ბარდებოდა, თანაც უფრო რთულად, ვიდრე წერით გამოცდაზე მოეთხოვება აბიტურიენტს. ზეპირ გამოცდაზე „ქართული ენიდან“ ჩვეულებრივ [illegible] ის საგამოცდო ბილეთში: ერთი — თეორიული (ვთქვათ, „კონტაქტის რაობა“) და მეორე — წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევა. ისიც უნდა ითქვას, რომ წერით გამოცდაზე ენობრივი საკითხის შემოტანა არ არის საპროგრამო მოთხოვნის დარღვევა — პროგრამაში არაა მითითება იმის თაობაზე, მხოლოდ ზეპირად ჩაბარდესო „ქართული ენა“...

გართულდა ვითომ საქმე? არა მგონია! მას, ვისაც ზეპირი გამოცდისთვის საგანი მზად აქვს, ამგვარი წერა არ გაუჭირდება და, მით უფრო, არც ინფარქტი დაემართება. ჩვენ მშობლისა და რეპეტიტორის პოზიციიდან კი ნუ ვიდავებთ, იმ აბიტურიენტს ვკითხოთ, ვინც პროგრამის მიხედვით მოამზადა საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ და გამოცდის ჩაბარებას ეპირება...

ერთ ღირსსაცნობ ფაქტსაც გავიხსენებ: გასულ წელს მშობლებმა დებოში ატეხეს, რთული თემები მიეცათო აბიტურიენტებს; თვითონ აბიტურიენტები ამშვიდებდნენ აღშფოთებულ მშობლებს, არაა რთული თემები. ვიცი, მკითხავენ, ვინც მხოლოდ წერით გამოცდას აბარებდა, იმისთვის ხომ რთულდებაო საქმე. ყოველმა ქართველმა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტობას ეპირება, ქართული ენა იმდენად კი უნდა იცოდეს, რომ სახელი და ზმნა გაარჩიოს ერთმანეთისაგან!

გაიოლებული ცხოვრების მოსურნე დაინტერესებული პირი შეიძლება რეცენზენტის მხარეზე დააყენოს ამგვარმა მსჯელობამ: „რა აუცილებლობის ძალით უნდა მოვთხოვოთ მას (ე. ი. აბიტურიენტს — გ. გ.) ზედმიწევნით იცოდეს, ვთქვათ, უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის თეორიული რაობა, რასაც პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სწორმეტყველებისა და მართლწერისათვის?“ მაგრამ აქ რეცენზენტს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ „უშუალო თუ შუალობითი კონტაქტის“ ცოდნას მნიშვნელობა აქვს „სწორმეტყველებისა და მართლწერისათვის“: დღევანდელ სამწერლობო ენაში **გააკეთებია** და **დააწერია** ტიპის ფორმათა მომრავლება ამ ცოდნის (უფრო სწორად, უცოდინარობის) შედეგია.

ასე რომ, თუ მისაღებ გამოცდებზე ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის საკითხებს მოვკითხავთ, ეს ქართველ მოზარდს გარკვეულწილად დედაენისადმი დამოკიდებულებას შეუცვლის — მისი შესწავლის აუცილებლობას დაუსახავს მიზნად... ამიტომ ვერ დავეთანხმები რეცენზენტს, რომ ენობრივი „საკითხი ულოგიკოდ და უადგილოდ არის ჩაკვეხებული წმინდა ლიტერატურულ საკითხთა შორის“.

თავისი აზრის განსამტკიცებლად პატივცემული რეცენზენტი ერთ ირონიულ ვარიანტსაც გვთავაზობს: „მომავალი ივანე ჯავახიშვილიც რომ იყოს, მომავალი პავლე ინგოროყვა ან დიმიტრი უზნაძე, ის თუ ვერ გაიხსენა ზუსტად, ოთარაანთ ქვრივის ხუთი ქისიდან თითოეულს რა სახელი ერქვა... ამას ისიც თუ დაემატა, რომ, თავისდა ჭირად, მაინცდამაინც ლექსის „ვისაც გსურთ“ იდეურ-მხატვრული გაანალიზება ვერ მოახერხა... ბედის ირონია იქამდე მივიდეს, რომ მესამე საკითხსაც ბევრი ვერაფერი მოუხერხოს, რამეთუ არჩევანი არც აქ ეძლევა, სურს თუ არა, „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება“ უნდა დაწეროს მაინცდამაინც..., ხოლო მომავალმა დიმიტრი უზნაძემაც ამ უბრალო მიზეზის გამო (კარგად რომ არ ასწავლიან სკოლაში — გ. გ.) არ იცის გრამატიკა, უკეთეს შემთხვევაში ხეირიანად არ იცის“..., „მორჩენილა მისი საქმე“. ნუთუ მართლა სჯერა ბატონ რ. თვარაძეს, რომ აბიტურიენტმა, რომელმაც არ იცის „ოთარაანთ ქვრივის“ შინაარსი, ვერ შეძლებს ლექსის „ვისაც გსურთ“ იდეურ-მხატვრულ ანალიზს, ვერ უპასუხებს საკითხს „სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულება“, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევს ქვემდებარესა და შემასმენელს, მისგან ან ივანე ჯავახიშვილი გამოვა, ან — პავლე ინგოროყვა და ან — დიმიტრი უზნაძე? მეეჭვება!

# 33-ის სასამართლო პროცესი 1942 წელს

## ლეო კვაჭაძე









კოტე ჯოგლიძე, გივი თარგამაძე, ავქსენტი უთურგაიძე, მიხეილ საბაშვილი.

გაზეთ „კომუნისტის" 1990 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ აკაკი სურგულაძის წერილი „თუ აქ დავეცე დაუტირელი", სადაც შთამბეჭდავად არის წარმოჩენილი მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედყოფილი ჯარისკაცის — ლეგიონერ ილია შენგელიას ტრაგიკული ცხოვრება და პოეტური შემოქმედება. წერილს ახლავს საკმაოდ ვრცელი მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: „1942 წელს თბილისში დააპატიმრეს და საომარი კანონმდებლობით (ტრიბუნალი) გაასამართლეს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა ჯგუფი: მიხეილ კაციტაძე, გიორგი ახობაძე, თურმან შანშიაშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, აბო ფარეშიშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ჯოგლიძე, გივი თალგამაძე, ზურაბ მისაბლიშვილი, ანტონ ყურუა, ვახტანგ შიხაშვილი, გიორგი ბერძენიშვილი და სხვები. მათ ბრალად დასდეს სამშობლოს ღალატი და უმკაცრესი სასჯელი მიაგეს — უმრავლესობა დახვრიტეს. მცირე ნაწილი გადაასახლეს. გადასახლებულთაგან მხოლოდ ერთი ვ. შიხაშვილი დაუბრუნდა უნივერსიტეტს 1956 წელს. მაგრამ ფიზიკურად და მორალურად ისე მოტეხილი, რომ მალე გარდაიცვალა". რამდენიმე მსჯავრდადებულის შესახებ მინაწერში მცირეოდენი დამატებითი ცნობებიც არის წარმოდგენილი. დასასრულს აღნიშნულია, რომ 1956 წელს მათი რეაბილიტაცია მოხდაო.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 33 ბრალდებული გაგვასამართლა. მათ შორის იყვნენ მინაწერში დასახელებული ახალგაზრდები ორის გამოკლებით. მე, როგორც განსასჯელთა შორის მოხვედრილი, თავს მოვალედ ვთვლი, ბრალდებულთა ვინაობისა და სასამართლო პროცესის შესახებ საზოგადოებას უფრო ზუსტი და სრული ცნობები მივაწოდო. რამდენიმე მსჯავრდადებულის შესახებ საჭირო ცნობებს დაინტერესებული მკითხველი ქალბატონ თინათინ თუშმალიშვილის წერილში ამოიკითხავს. აქ საჭიროა აღვნიშნოთ:

ანტონ ყურუა და გიორგი ბერძენიშვილი არ იყვნენ განსასჯელთა შორის. ისინი 1937 წელს დაუპატიმრებიათ და დაუხვრეტიათ;

მსჯავრდადებულთა შორის იყვნენ გივი თარგამაძე, ზურაბ მისაბიშვილი, აბო ფარესიშვილი (და არა: გივი თალგამაძე, ზურაბ მისაბლიშვილი, აბო ფარეშიშვილი);

განსასჯელთა შორის, გარდა უნივერსიტეტის ასპირანტებისა და ერთი სტუდენტისა, იყვნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორი მეცნიერი თანამშრომელი — დოცენტი თინათინ გონიაშვილი და ასპირანტი გივი თარგამაძე; ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი თ. თუშმალიშვილი; აგრონომი ავქსენტი უთურგაიძე; რამდენიმე უნივერსიტეტდამთავრებული (არა ასპირანტი), მათ შორის ვიყავი მეც, საშუალო სკოლის მასწავლებელი;

გადასახლებულთაგან მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ: თ. გონიაშვილი, კ. ბუაჩიძე, გ. კალანდაძე, ა. უთურგაიძე, ვ. შიხაშვილი... ა. ფარესიშვილი, ი. ლაპიაშვილი და გ. ციბალაშვილი 1943 წელს დაღუპულან ციმბირსა თუ უზბეკეთში. რა ბედი ეწია დანარჩენ ხუთს, არ ვიცი;

მსჯავრდადებულთა რეაბილიტაცია სხვადასხვა დროს - მოხდა (1956, 1978, 1988 წლებში).

ტრიბუნალის სხდომები ჩატარდა უზენაესი სასამართლოს შენობაში (ყოფილი ათარბეგოვის ქ. 32), მესამე სართულზე, დახურულ კარებში. თავმჯდომარე იყო კრასნოდარელი ვინმე ფომინი, მდივანი — პეტროსიანი, გამომძიებელი — ერთი უშნო, დაბალი, ჯუჯა კაცი, გვარად მარქაროვი. აი, ესენი წყვეტდნენ საქართველოს დედაქალაქში 33 ახალგაზრდა ქართველის ბედს.

ბრალდებულთა დაპატიმრება დაწყებულა 1942 წლის იანვრის დამდეგს (ჯარის ნაწილებში), და დამთავრებულა მარტის ბოლოს თუ აპრილის დასაწყისში. სასამართლოში დახურული მანქანებით დაგვყავდით (ქალები — ციხიდან, მამაკაცები — შინსახკომიდან). ტრიბუნალის სხდომები დილით იწყებოდა და ზოგჯერ ისე გვიან მთავრდებოდა, რომ ქალაქი უკვე ჩაბნელებული იყო და სასამართლოს კიბეზე (ეზოდან) სიბნელეში გვიხდებოდა ჩამოსვლა. მგლისთვალება ბადრაგებს ხიშტწამოგებული თოფები ჩვენკენ ჰქონდათ მოღერებული და გვაძგერებდნენ, თუ ოდნავ შევყოვნდებოდით.

30 პატიმარი ერთად ვისხედით სასამართლოს დარბაზში, ქალები — მოშორებით, ამაღლებულ ადგილას, მესამე თუ მეოთხე რიგში. იმათგან მოშორებით იჯდა ავადმყოფი გიორგი იმერლიშვილი.

სასამართლო პროცესი 9 სექტემბერს დაიწყო და 20 სექტემბერს დამთავრდა. ბრალდებულებს თავი მხნედ ეჭირათ (გარდა გ. იმერლიშვილისა). საბოლოო სიტყვა უმეტესობამ ქართულად წარმოთქვა. უგერგილო თარჯიმანი უთარგმნიდა ტრიბუნალს. დამცველი არავის ჰყოლია. სხდომებს ხშირად გამომძიებელიც ესწრებოდა. მახსოვს, ერთმა ბრალდებულმა უარყო წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენება, მაგრამ გამომძიებელი რომ დაინახა, ხელი ჩაიქნია და განაცხადა: ისე იყო, როგორც დაკითხვის ოქმშიაო. უკმაყოფილების მიზეზად ზოგიერთი მსჯავრდადებული ცოდვილ 1937 წელს ასახელებდა.

სამხედრო ტრიბუნალმა წამოგვიყენა 58-2, 58-10 (ნაწ. II) და 58-II მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებები. საბრალმდებლო დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ სოციალისტური წყობისადმი მტრულად განწყობილმა ახალგაზრდებმა მეორე მსოფლიო ომის დაძაბულობის პერიოდში სცადეს შეექმნათ და კიდეც შექმნეს სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა მთავრობის დამხობას საქართველოში შეიარაღებული აჯანყების გზით და კაპიტალისტური ძალაუფლების აღდგენას ფაშისტური გერმანიის პროტექტორატის მეშვეობით.

ესა თუ ის ისტორიული მოვლენა შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა თვალსაზრისით, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა პოზიციიდან განიხილავს მას. პატრიოტ ქართველთა 1942 წლის შეთქმულება გამომძიებლისა და სამხედრო ტრიბუნალის მიერ კაცთმოძულის თვალით არის დანახული და სატანური სიმკაცრით შეფასებული. ნამდვილად კი მსჯავრდადებულთა ფიქრის, განსჯისა და თავდადების საგანი იყო უაღრესად კეთილშობილური, პატრიოტული: თუ ფაშისტური გერმანიის არმია, რომელმაც ადვილად გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვრები და პირველ ხანებში დიდ წარმატებას აღწევდა, საქართველოს მოადგებოდა, აქტიურად ემოქმედათ, რომ ჩვენი ქვეყანა ომის ცეცხლში არ გახვეულიყო, მოსახლეობა არ გაწყვეტილიყო, ჩვენი სოფლები და ქალაქები არ განადგურებულიყო, მოეპოვებინათ თავისუფლება, აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. იმის თაობაზე, რომელ ძლიერ სახელმწიფოსთან რა სახის ურთიერთობა უნდა ჰქონოდა თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას, ყველა ერთი აზრისა არ ყოფილა. მაგრამ ფაქტია, რომ მსჯავრდადებულთა საქმიანობა სიტყვებში გაცხადებულ ჩანაფიქრს არ გასცილებია, იარაღი არ გამოუყენებიათ, აჯანყება არ მოუხდენიათ. უფრო მეტიც: როცა გერმანელთა ცელვზხებურმა ომმა მარცხი განიცადა და ომის სასწორმა რყევა დაიწყო, მათი განწყობილებაც შეცვლილა, მაგრამ ბოროტი გამცემის დასმენით ისინი დააპატიმრეს და უმკაცრესი სისასტიკით დასაჯეს.

სასამართლო პროცესზე იგრძნობოდა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი ძიების დროს ერთნაირი სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ზოგიერთი მსჯავრდადებული როგორც წინასწარი ძიების დროს, ისე სასამართლო პროცესზეც უფრო მეტს ამბობდა, ვიდრე ნამდვილად იყო, ვიდრე უნდა ეთქვა, რაც, ვფიქრობ, სამხედრო ტრიბუნალის მიერ ბრალდებულთა მიმართ სასჯელის გამკაცრებას უწყობდა ხელს.

განაჩენი 20 სექტემბერს გამოგვიცხადეს, ღამით, დაახლოებით 10 საათზე, შინსახკომის მიწისქვეშა ოთახსა თუ სარდაფში. შემზარავი, შემაძრწუნებელი ღამე იყო. ბადრაგებშემორტყმულნი გაოგნებულნი და დაზაფრულნი ვიდექით ტრიბუნალის წინაშე და დაძაბული ყურადღებით ვისმენდით სატანურ განაჩენს: 17 რჩეულ ახალგაზრდას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა გამოუცხადეს, 13-ს — გადასახლება სხვადასხვა ვადით, ხოლო სამი — ქალბატონი თ. თუშმალიშვილი, ალ. არეშიძე და მე გაგვამართლეს. განაჩენს ყველა სულისშემძვრელი დუმილით შეხვდა... ბოლოს თითქოს რაღაც იმედის ნაპერწკალმაც გაიელვა: სიკვდილმისჯილებს უფლება დაუტოვეს, მოსკოვისათვის შეწყალება ეთხოვათ.

სარდაფიდან გამოგვიყვანეს. რამდენიმე წუთს მის წინ გაგვაჩერეს. დადგა განშორების მძიმე წუთები. ჩემი მეგობარი ზურაბ მისაბიშვილი ისეთი მაღალი ზნეობის კაცი იყო, რომ სიკვდილმისჯილმა კმაყოფილება გამოხატა ჩემი გამართლების გამო, თანაც გულისტკივილით აღნიშნა, რომ ერთი მასწავლებლისაგან ფული ჰქონდა ნასესხები და ვალი გადაუხდელი რჩებოდა. დამავალა, სად და ვისთან მისულიყავი, რომ ეზრუნათ სიკვდილმისჯილთა შეწყალებისათვის. ვგონებ, მეორე დღესვე ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდებოდით. ეს არ გამართლდა: მხოლოდ სამი თვის შემდეგ გაგვათავისუფლეს და, სამწუხაროდ, მისი დავალებაც ვერ შევასრულე. ოქტომბრის შუა რიცხვებში ზურაბი სიზმრად ვნახე. ერთად ვიყავით, დამაშორეს და იმ გზით წაიყვანეს, რა გზითაც ჩემი ძმა იმ ავად მოსაგონარ 1937 წელს. ვერაფერი ნუგეში იყო. მართლაც, მოსკოვს ისინი არ შეუწყალებია და 1942 წლის 17 ოქტომბერს განაჩენი აღუსრულებიათ. საქართველომ დაკარგა ღირსეული შვილები: ახობაძე გიორგი მიხეილის ძე, ბათიაშვილი რომან თევდორეს ძე, ბურდიაშვილი დიმიტრი ისაკის ძე, თარგამაძე გივი რაფიელის ძე, თორაძე ლევან ივანეს ძე, იმერლიშვილი გიორგი სიმონის ძე, იმერლიშვილი მიხეილ იასონის ძე, იმერლიშვილი სოლომონ ანდროს ძე, კაციტაძე მიხეილ ილიას ძე, მისაბიშვილი ზურაბ ნიკოლოზის ძე, საბაშვილი მიხეილ მიხეილის ძე, ქადაგიძე გიორგი ივანეს ძე, შავიანიძე შალვა ნაუმის ძე, შანშიაშვილი თურმან მოსეს ძე, ძიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე, ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, ჯოგლიძე კონსტანტინე სერგოს ძე.

აი, ის 13 ახალგაზრდაც, რომელთაც გადასახლება მიუსაჯეს: არსენიძე გიორგი ვიქტორის ძე, ბუაჩიძე კიტა მიხეილის ძე, გერგიშვილი სიმონ სიმონის ძე, გონიაშვილი თინათინ ბაგრატის ასული, იმერლიშვილი იოსებ გრიგოლის ძე, იმერლიშვილი ისაკ სიმონის ძე, კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, კოკილაშვილი გრიგოლ ივანეს ძე, ლაპიაშვილი ივანე თევდორეს ძე, უთურგაიძე ავქსენტი გრიგოლის ძე, ფარესიშვილი აბო ნიკოლოზის ძე, შიხაშვილი ვახტანგ ივანეს ძე, ციბალაშვილი გიორგი გიორგის ძე. ამათგან 5 წლით გადასახლება მიუსაჯეს თ. გონიაშვილს, ათ-ათი წლით — ა. ფარესიშვილსა და ივ. ლაპიაშვილს, დანარჩენებს — შვიდ-შვიდი წლით. დასახელებულ პირთაგან კარგად ბრძანდება ბატონი კ. ბუაჩიძე, რომელიც თავისი კომედიებითა და 1990 წელს გამოქვეყნებული „შავი წიგნით" კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის.

მსჯავრდადებულთა ნაწილი კომკავშირელი იყო, ერია პარტიის წევრიც.

წინასწარ ძიებისა და სასამართლო პროცესის მასალები რამდენიმე ტომს შეიცავს. როცა ეს მასალები საფუძვლიანად იქნება შესწავლილი, უფრო ნათელი გახდება, რა იყო და როგორ, ვის როგორ ეჭირა თავი წინასწარი ძიების დროს, ვინ წამების რა გზა გაიარა და სხვა. ამჟამად ზედმეტი არ იქნება წინასწარი ძიებისა და ტრიბუნალის სხდომებზე მიღებული შთაბეჭდილებისა თუ გარეთ მოძიებული მასალის მიხედვით მკითხველს დამატებითი ცნობები მივაწოდო რამდენიმე მსჯავრდადებულის შესახებ:

გონიაშვილი თინათინ (1913-1988). ჩემი თაობის სტუდენტი გახლდათ: მე 1930 წელს დავამთავრე თბილისის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მან — მომდევნო წელს საენათმეცნიერო განხრით. გამოირჩეოდა ნიჭით, განათლებით, ენების ცოდნით, ბეჯითი შრომით. გარდა საენათმეცნიერო დისციპლინებისა, გატაცებული იყო პროფესორ გრიგოლ წერეთლის ლექციებით ანტიკურ ლიტერატურაში. 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. იყო ენიმკის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1939-1942 წწ. კითხულობდა ჩაჩნური ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების შესავლის კურსებს თბილისის უნივერსიტეტში, იკვლევდა ჩაჩნურ-ინგუშურ ენებს. მისი შრომების მეტი წილი სწორედ ამ ენებს ეხება. იყო ნიჭიერი, ფართო ინტერესების მქონე ენათმეცნიერი. მიუსაჯეს 5 წელი. გაათავისუფლეს ვადამდე 1948 წელს. სამშობლოში დაბრუნდა მომდევნო წელს. 1946 წლიდან კვლავ დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღდგენილ იქნა ენიმკში, ხოლო შემდეგ გარდაცვალებამდე იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1953 წელს მოეხსნა ნასამართლობა. 1957 წელს მიიღო რეაბილიტაცია. დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე.

თარგამაძე გივი (1916-1942). გივის მამა, რაფიელი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადაუსახლებიათ შუა აზიაში. მეუღლესთან გაჰყოლია და გივი იქ დაბადებულა. რაფიელი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის კვლავ გადაუსახლებიათ, მოუხდია სასჯელი და სამშობლოში დაბრუნებულა. გივი პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღზრდილი. 1939 წელს თავის უახლოეს მეგობარ ა. ფარესიშვილთან ერთად დაუმთავრებია თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. პროფესორ არამ მარტიროსოვის გადმოცემით, მათი მოხსენებები ენათმეცნიერების საკითხებზე სპეციალისტთა ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებდა. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ასპირანტი. გივის დაპატიმრების შემდეგ დაიბადა მისი მემკვიდრე. სასამართლო პროცესზე რომ დაგვყავდით, როგორღაც გააგებინეს ეს ამბავი და ვაჟის შეძენით გაახარეს. გივის მეუღლე, ქალბატონი თამარ კველიშვილი იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, რომელიც დიდხანს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ამჟამად რომ სულხან-საბა ორბელიანის სახელობისაა. მათი ვაჟი, ვახილი, თბილისის უნი-

ვერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელია. გივის სიცოცხლეს განაგრძობენ შვილი და ოთხი შვილიშვილი.

**იმერლიშვილი გიორგი** (1917-1942). უნივერსიტეტის ასპირანტი, ისტორიკოსი, ერთ-ერთი მთავარი ბრალდებული. მის ნაცნობთა გადმოცემით, იყო ნიჭიერი, შრომისმოყვარე და კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა. სასამართლო პროცესზე იგი დიდად ნაცემ-ნატანჯი და დაუძლურებული ჩანდა. სულიერად დაძაბულს, დაავადმყოფებულს სხეულის ტკივილიც უსაშველოდ აწუხებდა. დროდადრო ხელს მუცელზე იჭერდა და ისე საცოდავად გმინავდა, რომ თავად დატანჯულ-შესაბრალისებს ძალზე გვეცოდებოდა. დანარჩენ იმერლიშვილთაგან, ვგონებ, ორი გიორგის ახლო ნათესავი იყო.

**კალანდაძე გიორგი** (1912-1979). იყო პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე. ლექსების გამოქვეყნება დაიწყო 1934 წლიდან. 1939 წელს გამოსცა ლექსთა კრებული („ლექსები"). სამშობლოში დაბრუნდა 1949 წელს, მაგრამ ერთხანს თბილისში ცხოვრების ნება არ ჰქონდა. რეაბილიტაცია მიიღო 1958 წელს. გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1974). გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსთა კრებული და გამოკვლევები: „ქართული ხალხური ბალადა" (1957), „ეგნატე ნინოშვილი" (1959), „გიორგი ლეონიძის შემოქმედება" (1967). გადატანი სასამართლო პროცესზე. დაუახლოვდი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. თავმდაბალს, კეთილსა და უბოროტოს ბევრი რამ დარჩა უთქმელი. აკი ერთ ბოლოდროინდელ ლექსში წერდა კიდეც: „რამდენი რამ მაქვს მე სათქმელი, გაფრენილა და ბნელში დანთქმულა, რაც ჯერ არვისგან ქვეყნად არ თქმულა. რამდენი სიტყვა — განძი კეთილი, რამდენი გრძნობა, აზრი ნათელი დრომ მდუმარების შლამში გარია".

**მისაბიშვილი ზურაბ** (1916-1942). ზურაბი შესანიშნავი ოჯახის შვილი იყო: მამა, ბატონი ნიკო, ქუთაისის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, 1937 წელს დაიღუპა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ შვილი გახდა ტირანიის მსხვერპლი. დედა, ქალბატონი ეკატერინე, ხათნო ქალი, ჩინებული პედაგოგი, ძვირფასი მეუღლისა და შვილის დაკარგვით დატანჯული, 1967 წელს გარდაიცვალა. ზურაბის და ტექნიკური უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის წევრია. ჰყავს ორი შვილი.

ზურაბი ზრდილი, კეთილი, ფაქიზი გულის ახალგაზრდა გახლდათ. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო. სკოლაცა და უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა. 1938 წელს ისტორიის მასწავლებლად დაინიშნა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში, სადაც მე ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი. იქ დავმეგობრდით. 1941 წელს თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. ხელმძღვანელი იყო პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე, რომელიც ზურაბზე დიდ იმედს ამყარებდა. უნივერსიტეტში დაუახლოვდა სხვა ასპირანტებს და გახდა მათი თანამოაზრე.

ზურაბი იყო ბრწყინვალე მასწავლებელი, მოსწავლეთა საყვარელი მოძღვარი. მისი სახე, როგორც მასწავლებლისა, კარგად არის ნაჩვენები ჩვენი მაშინდელი მოსწავლის — მწერალ თენგიზ გოგოლაძის რომანში („ჟამი ჩვენი"), სადაც იგი ლევან მისაბიშვილად არის დასახელებული.

**საბაშვილი მიხეილ** (1916-1942). მიხეილის დის, ქალბატონ თალიკოს გადმოცემით, მათი მამა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაუხვრეტიათ. ძმას წარჩინებით დაუმთავრებია თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა 1935 წელს. იმავე წელს შესულა სამედიცინო ინსტიტუტში. ნიჭიერი, დინჯი და შრომისმოყვარე მიხეილი გატაცებული ყოფილა ჰუმანიტარული დისციპლინებით. მეორე კურსიდან თავი მიუნებებია სამედიცინო ინსტიტუტისათვის და ჩარიცხულა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თანაც უმუშავია კორექტორად „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში. IV კურსის სტუდენტი დაუპატიმრებიათ 1942 წლის 21 მარტს. ვიცნობდი როგორც დინჯს, თავდაჭერილს, კარგად ზრდილსა და საიმედო მომავლის მქონე ახალგაზრდას.

**უთურგაიძე ავქსენტი** (1912-1968). დაბადებულა სოფელ ალვანში (თელავის რ.). დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიუღია, საშუალო — თელავში. 1931-32 სასწავლო წელს ყოფილა ფშავის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი. 1938 წელს დაუმთავრებია თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი. უმუშავია მთავარ მეღვინედ ქუთაისსა (1938-1939) და კარდანახის (1939-1941) ღვინის ქარხნებში, 1941 წლის ივლისიდან ყოფილა მეთაურად ავჭალის სამხედრო შტაბში. იყო პარტიის წევრი. მიუსჯეს 7 წელი. ხირსის კოლონიის უფროსის მოთხოვნით ციხიდან გაუყვანიათ კოლონიის ნაკვეთებზე სამუშაოდ. 1949 წელს გაუთავისუფლებიათ. ამის შემდეგ (სხვადასხვა დროს) უმუშავია მთავარ მეღვინედ ხირსის, კარდანახისა და კაჭრეთის ღვინის ქარხნებში, 1966 წლიდან გარდაცვალებამდე — მებაღეობა-მევენახეობის ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციაში ლაბორატორიის გამგედ.

**ქადაგიძე გიორგი** (1914-1942). დაიბადა სოფელ ზემო ალვანში, მეცხვარის ოჯახში. საშუალო განათლება თელავში მიიღო. რამდენიმე წელს უმუშავია დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად სოფლებში — ინგეთში, ლეჩურსა და ხორეჯოში. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამის შემდეგ ერთხანს უმუშავია მშობლიური სოფლის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1940 წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი მიხეილ ზანდუკელი. ლექსების წერა 11 წლიდან დაუწყია. უთარგმნია პუშკინის, ლერმონტოვისა და ჰაინეს ლექსები. მისი რამდენიმე ლექსი შარშან დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის" მე-4 ნომერში, სადაც გ. ქადაგიძის დაღუპვის თარიღად, ნაცვლად 1942 წლისა შეცდომით 1948 წელია დასახელებული. აქ გთავაზობთ გიორგის ერთ პატარა ლექსს „კიდევ აღსდგება ბუნება".

კიდევ აღსდგება ბუნება. ზამთრისგან გაწვალებული, ტყის პირში ია ამოვა — ფეშტამალ აფარებული. მთისკენ გაიწევს ხარლაღი. მზის ეშხით გალაღებული. მალლით მოსკდება მდინარე. მრისხანე. გაავებული, ღრეობას იწყებს სიცოცხლე. სიკვდილზე გამარჯვებული.

**ძიძიგური**

**ძიბვაშვილი გიორგი** (1917-1942). იყო სამტრედიის რაიონიდან. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის განყოფილება. ასპირანტი, ნიჭიერი პოეტი. პროფესორ ეთერ არჯევანიძის გადმოცემით, იყო ენამოსწრებული, ბეჯითი, თავმდაბალი, კეთილი. წერდა გამოცანებსა და ეპიგრამებსაც. ქალბატონ თ. თუშმალიშვილის თქმით, თარგმნიდა ინგლისელ პოეტთა ლექსებს. ერ. ტატიშვილს უყვარდა და მაღალ შეფასებას აძლევდა მის თარგმანებს. ლექსები უწერია მის უმცროს ძმასაც, რომელიც ომში დაღუპულა. შვილების დაკარგვით გამწარებულ დედას თავი ჩამოუხრჩვია. აქ მკითხველს მოვაგონებ გიორგის ერთ ლექსს, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი თაობის" 1988 წლის მე-8 ნომერში.

**ვაჟას აჩრდილი**

მე ვაჟას შაირს როგორ ვკადრებ — მამაა ჩემი, ბუნების კარი გამომიღო ოცნებამ მისმა: მთის შვილი იყო და ბარს უთხრა მთიელის კდემით ყვავილთა კვნესა, ჩიტის სიბრძნე, გველის თილისმა... ბევრს ახსოვს თურმე გადმომდგარი კავკასის თავზე, ჩახედავს ხევებს, ელვასავით ჩაჰკრავს, ჩაელავს... იგრძნობენ მთებიც ჩაუქრობელ სინათლით სავსე და მქუხარ ხმებით შეჰმღერებენ უკვდავ ფშაველებს, და მერე, როცა განთიადი ღრუბელს მეწამულს, ალმასის კლდეზე შემორჩენილს გაადნობს ღრუბელს, — დაჰყვება არაგვს, გადაუვლის ცოდვილ წიწამურს, ნიშს, სადაც ერთხელ მას უფროსი ძმა დაუღუპეს, და მზესთან ერთად ჩაეხვევა მთაწმინდის უბეს!

**ხიმშიაშვილი კოტე** (1917-1942). 1940 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის განყოფილება. იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კათედრის ასპირანტი, ნიჭიერი პროზაიკოსი. დაგვიტოვა მშვენიერი მოთხრობები და ერთი რომანი. „ლამაზი, თვალტანადი ჭაბუკი — კოტე ხიმშიაშვილი შორიდანვე იქცევდა მნახველის ყურადღებას. იგი თავის ტოლ სტუდენტებში მარტო გარეგნობით კი არა, განათლებით, დახვეწილი მანერებითა და ბუნებრივი კეთილშობილებით გამოირჩეოდა", — წერდა გრ. აბაშიძე კ. ხიმშიაშვილის 1984 წელს გამოქვეყნებული კრებულის წინასიტყვაობაში. „კოტე ხიმშიაშვილმა პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საზოგადოებისა და მწერლების ყურადღება. ის ერთბაშად რჩეულთა შორის აღმოჩნდა" (რ. ჯაფარიძე. ჟურნ. „მნათობი", № 2, 1981, გვ. 109).

კოტეს არ დარჩენია მემკვიდრე. მეუღლე, ქალბატონი ნუნუ ქადეიშვილი, ფრანგული ენის კათედრის დოცენტია თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო კოტეს და, ქალბატონი დოდო ვადაჭკორია, მწერალია.

**ჯობლიძე კოტე** (1915-1942). დაიბადა სოფელ კულაშში (სამტრედიის რ.). იქ დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, თბილისში — პედაგოგიური ტექნიკუმი. უნივერსიტეტი დაამთავრა 1940 წელს. ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდა პროფესორ მიხეილ ზანდუკელის ასპირანტი იყო, უმეგობრია ტერენტი გრანელთან. კოტეს გულითადი მეგობარი ყოფილა ასპირანტი შალვა შავიანიძე (1917-1942), შვილი ქუთაისელი სასულიერო პირისა.

ახლა თავს ნებას მივცემ, ცოტა რამ თვით ამ წერილის ავტორის შესახებაც მოგახსენოთ. მე, როგორც ჩემი მეგობარი ზურაბ მისაბიშვილი, რეპრესირებული ოჯახის შვილი გახლდით. ჩემი უფროსი ძმა, გრიგოლ კვაჭაძე, თბილისის უნივერსიტეტის 20-იანი წლების სტუდენტთა შორის ერთი რჩეულთაგანი იყო. 1928 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1934 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან, მაგრამ 1937 წლის 14 დეკემბერს კვლავ დააპატიმრეს და სამუდამოდ გადაწყვეტილებით სიცოცხლე მოუსწრაფეს. დიქტატურის მსახვრალ ხელს ვერც მე ავცდი. უძმოდ დარჩენილს ზურაბი მიწევდა ძმობას. დღე არ გაივლიდა, ერთმანეთი არ გვენახა. ჩვეულებრივ ის მოდიოდა ჩემთან (მე მასზე ექვსიოდე წლით უფროსი ვიყავი). ასპირანტურაში ჩარიცხვის შემდეგ ისე ხშირად ველარ ვხვდებოდით ერთმანეთს. ხანდახან მე მივდიოდი მასთან. იქ ზოგჯერ ერთი თუ ორი ზურაბის უნივერსიტეტელი ამხანაგიც დამხვედრია, მაგრამ ჩემი თანდასწრებით სახაიდუმლო არაფერი თქმულა. ზურაბის გულითადი მეგობარი იყო ასპირანტი მიხეილ კაციტაძე, მომხიბლავი ვაჟკაცი, დინჯი და თავდაჭერილი, რომლის მამულიშვილური გულის ფეთქვა და სულის სისპეტაკე სასამართლო პროცესზეც იგრძნობოდა. თებერვლის ბოლო რიცხვებში ზურაბი და მიშა წუხდნენ რომელიღაც ასპირანტის დაპატიმრების გამო. მიშა მალე ჯარში გაიწვიეს. ზურაბს მღელვარება ემატებოდა, თითქოს გრძნობდა, რომ საფრთხე თანდათან უახლოვდებოდა. მარტის შუა რიცხვებში მშობლებთან უნდა წავსულიყავი სოფელ ლახამულაში (მესტიის რ.). სამხედრო კომისრისაგან ქალაქიდან გასვლის ნებართვა ხელთ მქონდა. სამგზავრო ბილეთიც ავიღე. წასვლის დღეს ზურაბი ძლიერ წუხდა, ნერვიულობდა. იმ დღეს იყო ლია ცის ქვეშ ჩვენი ბოლო შეხვედრა. მე მას ვუთხარი: ჩემო ზურაბ, შენ თუ რამე შეგემთხვა, მე გარეთ არავინ დამტოვებს-მეთქი. სანუგეშო ვერაფერი მითხრა. ასეც მოხდა: ზურაბი ქუთაისში წასულიყო დედასთან და იქ დაეპატიმრებინათ, მე — ლახამულაში 28 მარტს. მესტიაში ამიყვანეს, ორიოდე დღე-ღამე გომურის მსგავს საპატიმროში მამყოფეს. სვანეთიდან შინსახკომის ერთმა სულმდაბალმა, ზნედაცემულმა თანამშრომელმა წამომიყვანა — აკაკი შონიამ. ზუგდიდში ღამე ერთ პატარა ოჯახში გამათევინა. ჩემი ახალი თბილი ხელთათმანები იქ გაქრა. არ შეიძლება პატიმარს ფული ჰქონდესო, შინიდან გამოტანებული 200 მანეთი გამომართვა და თბილისში, შინსახკომის კომენდატურაში როგორღაც გაუჩინარდა და ის ფული მიითვისა. იქ ტანისამოსის შესანახ კარადაში ჩამკეტეს (აბანოებში რომ არის, ისეთში). დაბინდებისას ერთ პატარა საკანში შემიყვანეს, სადაც ორი პატიმარი იყო. ერთი იჯდა, მეორე, წვერმოშვებული კაცი, იდგა. მივესალმე და დავჯექი. ცოტა ხნის შემდეგ თავი ავწიე, შავწვერმოშვებული კაცი ვიცანი და წამოვიძახე: ბატონო მიხეილ! დიახ, ის წვერმოშვებული კაცი ჩემი საყვარელი მასწავლებელი ბატონი მიხეილ ზანდუკელი გახლდათ. ის ღამე ერთად გავატარეთ. შაქრის ნატეხი მიწილადა. მეორე დილით სხვა საკანში გადაიყვანეს.

გამომძიებელმა ჩემგან მხოლოდ ერთი პასუხი მიიღო: დამნაშავე არა ვარ და არც სხვათა დამნაშავეობის შესახებ ვიცი რამე-მეთქი. აგვისტოს დასაწყისსა თუ შუა რიცხვებში (თარიღი არ მახსოვს) ბრალდების მუხლი შეიცვალა. ეს ახალი მუხლი რას გულისხმობს-მეთქი, ვკითხე გამომძიებელს. აჯანყებასო, მიპასუხა. დიდად გამიკვირდა, მაგრამ რა უნდა მექნა. ხელი მოვაწერე რომ ბრალდებას გავეცანი. რამდენიმე დღის შემდეგ, განთიადისას, გამომძიებელთან ამიყვანეს. მიმითითა, რომელ სკამზე დავმჯდარიყავი. ცოტა ხნის შემდეგ იქ ზურაბი შემოიყვანეს. საშინელმა შინაგანმა მღელვარებამ შემიპყრო. ნუთუ ზურაბი... იგი მოშორებით დაჯდა. აბა, დაიწყეო, მიმართა გამომძიებელმა. ზურაბმა თქვა: ერთხელ, ლეოსთან რომ ვიყავი, სიტყვა ჩამოვუგდე, რომ საჭიროა მოქმედება-მეთქი. ლეომ მითხრა: თუ თავი არ გებრალება, დედაშენი მაინც შეიცოდეო. მე ძალა მოვიკრიბე და ზურაბის ნათქვამი არ დავადასტურე. იგი სიმართლეს არ შეესაბამება-მეთქი. ჩემი პასუხის მოსმენისას ზურაბს თვალები გაუბრწყინდა და თქვა: ყურძენი გვქონდა ნაყიდი, ლეო მის გასარეცხად გადიოდა ოთახიდან სამზარეულოში და ჩემი ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევიაო. ეს იყო და ეს. სასამართლოში რომ შევხვდით ერთმანეთს, ზურაბმა მითხრა: გამომძიებელი მეუბნებოდა, ლეო ყველაფერს აღიარებს და შენ რატომ იტანჯავ თავსო. ვიცი, ზურაბმა ჩემი გულისთვის ბევრი რამ გადაიტანა.

შემდეგ გიორგი ახობაძე დამიპირისპირეს. დიდად გამიკვირდა: მას მხოლოდ სახით ვიცნობდი და ჩემზე რა უნდა თქვას-მეთქი. აი, რა თქვა გიორგიმ: ერთხელ, ზურაბთან რომ ვიყავი, იქ ლეო მოვიდა. რადიოთი გადმოსცემდნენ, რომ საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენო. მე ეს არ მესიამოვნა და რადიო გამოვრთეო. ჩემი გაოცება მხრების აჩეჩვით გამოვხატე, თან დავსძინე: ასეთი რამ ჩემთვის უცნობია-მეთქი. იყო კი მსგავსი რამ ნამდვილად? არა მგონია. ვფიქრობ, გამომძიებლის დაჟინებით მოთხოვნას გიორგიმ იძულებითი გამონაგონით უპასუხა.

საქართველოს თავისუფლებისათვის დახვრეტილ-წამებულთა აჩრდილები განაგრძობენ სიცოცხლეს ქართველი ერის უკვდავებასთან ერთად. აქ კი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი თინათინ თუშმალიშვილი და მე ზოგიერთი მსჯავრდადებულის შესახებ ვერაფერს ვამბობთ, ან მეტად ძუნწ ცნობებს ვაწვდით მკითხველს*. [illegible] გვაპატიონ! ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში საიდუმლო საცავები გაიხსნება, ბევრ რამეს აეხდება ფარდა და პირუთვნელი ადამიანები ყველას სათანადო პატივს მიაგებენ, ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენენ.

ჩვენი ერის ისტორია მუდამ სისხლითა და ცრემლით იწერებოდა. სამწუხაროდ, ახე გრძელდება დღესაც. უსამართლობამ, ბოროტებასა და უზნეობაზე აგებულმა პოლიტიკურმა სისტემამ ათასობით მამაცი და კეთილშობილი მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ეროვნული მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდანვე მეტნაკლებად თავს იჩენდა და არგანელებულა თვით მძვინვარე მეორე მსოფლიო ომის დროსაც. იმ დროის სხვა საგულისხმო ფაქტებთან ერთად ამისი ნათელი დადასტურებაა 1942 წლის შეთქმულება, 28-ის სასამართლო პროცესი, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს.

გთხოვთ, ჰონორარი გადაირიცხოს მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

---

* ქ-ნ. თ. თუშმალიშვილის წერილი დაიბეჭდება უახლოეს ნომერში (რედ.).







კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, ზურაბ მისაბიშვილი.



გ. ახობაძე, თ. შანშიაშვილი, მ. კაციტაძე.

# გული დამწყდა

თეიმურაზ დოიაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც ნიჭიერ და განათლებულ ლიტერატორს. ამდენად, ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული მისი წერილი „სიმართლე მწუხრია, სიმართლე მზეა“, ჯანსულ ჩარკვიანის პოეზიას რომ ეხება.

მწერალმა მწერალს ყველაფერი შეიძლება უთხრას, ოღონდ საამისოდ შესაფერი ფორმა და ტონი უნდა იყოს შერჩეული, რათა გაკრიტიკებულმა პირისუფლური თანადგომა იგრძნოს. დამცინავი დამოკიდებულება და ჩაცირკვეტება არაფრით არ არის გამართლებული. ასე ყველასა და ყველაფრის გაბიაბრუება შეიძლება.

ხსენებული წერილის დეტალებს მე არ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ — აქ არსად ჩანს კრიტიკოსის კეთილმოსურნე თვალი, რომლისოდაც ყოველგვარ შენიშვნასა თუ რჩევას აზრი და ფასი ეკარგება. ამ ტიპის წერილებში ავტორის ნიჭიერება და ერუდიცია, როგორც წესი, ძნელად ვლინდება, რაც, სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ დადასტურდა.

რამდენადაც ვიცი, ადრე, თეიმურაზ დოიაშვილი არ იყო ასე აგრესიულად განწყობილი ჯანსულ ჩარკვიანის მიმართ და საფიქრებელია, თვალსაზრისის ასეთი მკვეთრი შეცვლის მიზეზი რაღაც წყენა გახდა, ზოლო პროფესიონალ კრიტიკოსს არავისგან არ ეხწავლება, რომ, როცა საქმე მწერლის შემოქმედების შეფასებაზე მიდგება, იგი ყოველგვარ წყენაზე მაღლა უნდა დადგეს.

წლეულს ჯანსულ ჩარკვიანს დაბადებიდან სამოცი წელი უსრულდება. მან თვითონაც კარგად იცის, რომ დღესდღეობით საქართველოში საზეიმო განწყობილება არ სუფევს, განსაკუთრებულ ყურადღებას არც თავად მოითხოვს, მაგრამ არც ისე მოქცევა ივარგებს, კაცს გაჩენის დღე დავაწყევლინოთ.

მე არც ჯანსულ ჩარკვიანის პასუხზე მინდა კონკრეტულად ვილაპარაკო, საკმაოდ მწვავე და სუსხიან პასუხზე, ზემოთ ნახსენებ წერილს რომ მოჰყვა. მის მდგომარეობაში ჩაყენებული კაცი, ბუნებრივია, გულმშვიდი ვერ დარჩებოდა და სიტყვას იხერიგად ვერ აწონიდა. ერთი კია — ერთმანეთის ასე დაუზოგავად გამეტება კარგს არას გვიქადის; შინაური და გარეშე მტრებისგან დაჭიჭგნილი, სამშობლოს ძნელბედობით ისედაც ნერვებდაწყვეტილი ჩვენი ხალხი ასეთი დაუნდობელი შეხლა-შემოხლის მოწმე არ უნდა გავხადოთ. ცხადია, ამ შემთხვევაში მეტი პასუხისმგებლობა მას ეკისრება, ვინც ამგვარ შეუფერებელ დავას წამოიწყებს.

თავში ნათქვამი უნდა გავიმეორო; თეიმურაზ დოიაშვილთან წლების განმავლობაში ახლო ურთიერთობა მაქვს. მას ბევრი რამ კარგი და სასარგებლო გაუკეთებია და მომავალში, იმედია, უფრო მეტს გააკეთებს. ოღონდ პირდაპირ მინდა ვუთხრა — მსგავსი წერილები მას ვერაფერს შემატებს, საერთო საქმეს კი წაახდენს. ეს რომ მარტო ჩემი აზრი იყოს, ხმას არ ამოვიღებდი. ძნელად თუ მოიძებნება ქართული მწერლობის მოყვარული, ამ წერილის პათოსი და მიზანდასახულობა რომ მოეწონდეს. მეც შევწუხდი და გული დამწყდა, როცა იგი წავიკითხე. ასე მგონია, დრო რომ გავა, თვითონ ავტორსაც შეაწუხებს ამგვარი წერილის არსებობა. დასანანი იქნება, მისი შესაძლებლობები სხვა დროსაც ასეთ რამეებზე რომ დაიხარჯოს.

ემზარ კვიტაიშვილი



1991 წელი,

9 აპრილი

მურმან ჩაჩუას ფოტო.

# ყურადღება!

ივანე ჯავახიშვილის [illegible]ლობის თბილისის სახელმწიფო [illegible]ივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მხატვრული და სამეცნიერო თარგმანის განყოფილება მიმდინარე წლის ივნისში ატარებს პირველ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: „ლინგვისტიკა თარგმანის სამსახურში“.

გთხოვთ, თეზისები მოგვაწოდოთ აპრილის ბოლომდე, შემდეგი მისამართით: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №14, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსი, მე-12 კაბინეტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი.

# წერილი რედაქციას

თქვენს გაზეთში ა/წ იანვარში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ პარიზის ქართულ-ევროპულმა ინსტიტუტმა 1990 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად პრემიებით აღნიშნა ლიტერატურული ნაშრომები, როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა. დაჯილდოვებულთა შორის ვიხილეთ ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედია, რამაც ჩვენ — მისი ყოფილი მოწაფეები განსაკუთრებით გაგვახარა. ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომელიც მოსწავლეებს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდათ. იგი გვასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, მაგრამ მისგან ჩვენი ქვეყნის ერთგულებასაც ვსწავლობდით. ამ სიყვარულით აღიზარდა ჩვენს გიმნაზიაში არაერთი სახელოვანი მამულიშვილი. აკად. ნ. კეცხოველის ცნობილი მოგონებებიც საკმარისი იქნებოდა ქ-ნ სოფიოს ამ დიდი ღვაწლის დასაფასებლად. სოფიო ჩიჯავაძის ხიბლს არაერთხელ აუქლერებია იოსებ გრიშაშვილის პოეტური ჩანგიც. მარტო „ლერწამი ხარ“ რად ღირს!

ქნ-მა სოფიომ გულმხურვალედ გაიზიარა თავისი მეუღლის — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის — სპირიდონ კედიას ბედი, და მასთან ერთად დარჩა ემიგრაციაში. მოსწყდა თავის ძვირფას სამშობლოს, ნათესავ-მეგობრებს, მაგრამ შინაგანმა შემართებამ გააძლებინა, და იგი მეორედ შესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

14 აპრილს მას 106 წელი უსრულდება. დაბადებიდან 100 წელი ქ-ნ სოფიოს პირადად მიულოცა პარიზის მერმა და მას საფრანგეთის დედაქალაქის საპატიო მოქალაქეობა უბოძა.

გთხოვთ, ქ-ნ სოფიო ჩიჯავაძის ყოფილ მოწაფეთა და თაყვანისმცემელთა სახელით, ნება დაგვრთოთ, მივულოცოთ მას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დაბადების დღე, სიმხნევე, სიხარული ვუსურვოთ მრავალჟამიერ!

ნინო რამიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ნუნუ კეცხოველი, ქეთევან ანანიაშვილი, ნინო ცხომელიძე, მარგო ციციშვილი, რუსუდან კლიმიაშვილი, ვალია მუჯირი, ელენე ჩაჩანიძე, ნინო პაატაშვილი, მაგდა ფალავანდიშვილი, მზია გაქრაძე, მანანა ხიდაშელი, თამაზ სულაძე.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, ბიბი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი ბესო ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილე — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივანი — 99-87-10
განყოფილებები — 99-72-89; 99-71-82; 99-08-65. 95-36-68.

რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
გამოდის პარასკევით